ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 174 (12 549) 26 ივლისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 13 დღე

## პირველ ტურში: ფიორენტინა-იუვე, სამპდორია-ინტერი

სერია A. კალენდარი
»»» 6

## მესი ცუდად იქცევა

ინტერვიუ დიეგო მარადონასთან
»»» 8-9



# ორშაბათს კუპერი თბილისში იქნება

სამწვრთნელო საკითხი
»»» 2



# ზაზა ფაჩულია მზადებას შეუდგა

...საქართველოს ნაკრებთან ერთად შესარჩევ ჯგუფში ირლანდიის, სლოვაკეთის, ლუქსემბურგისა და შვედეთის ნაკრებები მოხვდნენ. ამ გუნდებში არაერთი მაღალი დონის კალათბურთელია, ამიტომ პირველი ადგილის დაკავება ჩვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს...

...ორი კვირაა, ფიზმომზადების დარბაზში შევედი და კუნთების მომაგრებას ვცდილობ. მართალია, საქმე ფიზიკურ დატვირთვას ეხება, მაგრამ ვარჯიში ძალიან მსიამოვნებს...

როდის შეუერთდება ქართველი ცენტრი ეროვნულ ნაკრებს?

»»» 12




# სარეცხი მანქანა, სავაჭრო ნიშნით ლაციო

ფეხბურთი და მაფია
»»» 10

სამწვრთნელო საკითხი

# ორშაბათი მძიმე დღეა: ალმასკომს კუპერი დაემატა

**ორშაბათს** ექტორ რაულ კუპერი თბილისში მოდის - ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციისგან შევიტყვეთ, რომლის უმაღლესი ორგანო, აღმასრულებელი კომიტეტი იმავე დღეს, 28 ივლისს შეიკრიბება.

აქამდე ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ორი მთავარი კანდიდატი იყო - **პეტარ სეგრტი და ფოლკერ ფინკე.** ახლა კი აღმასკომის თხუთმეტი წევრი სამ კანდიდატზე იჭმუნვებს.

ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** კუპერის აგენტთან სალაპარაკოდ რამდენი დღის წინათ მადრიდში რომ იყო ჩასული, ადრეც გაუწყეთ. კუპერი იმ დროს არგენტინაში გახლდათ, ახლა კი უკვე მადრიდშია, რათა საქართველოში დროულად ჩამოვიდეს. ჯერ უცნობია, რომელი რეისით გამოემგზავრება ექტორ რაული საქართველოში, თუმც ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება - კუპერს დროის დეფიციტი არ შეექმნება.


ექტორ კუპერი

*"აღმასკომის სხდომა 28 ივლისს კი გაიმართება, მაგრამ ეს ხელს არაფერში შეგვიშლის. კუპერთან იმავე დღეს გვექნება საქმიანი შეხვედრა და ნაკრების მწვრთნელის საკითხს, ალბათ, მეორე დღეს გადაწყვეტს აღმასკომი. 28 ივლისს კი აღმასკომის სხდომა 12 საათზე დაიწყება,"* - გვითხრა ფეხბურთის ფედრაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ.**

თუ კუპერი გახდება ჩვენი ნაკრების მთვარი მწვრთნელი, საინტერესოა ვინ იქნება მისი ასისტენტი - რომელიმე ქართველი სპეციალოსტი, თუ კუპერი თვითონ შეარჩევს თანაშემწეებს.

*"კუპერი თვითონ შეარჩევს ასისტენსტს, თუმც მას მხოლოდ ერთი და ორი თნაშემწე არ ეყოლება და ის თანახმაა, რომ სამწვრთნელო შტაბში ქართველიც იყოს,"* - განგვიმარტა ქავთარაძემ.

მაშ ასე, ორშაბათს თბილისში კუპერს ველით.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# ნალჩიკს ფეხი დაუცდა

**რუსეთის** პრემიერლიგაში ნალჩიკის „სპარტაკი" „ხიმკის" ესტუმრა და მარცხი განიცადა – 0:2. სამივე ქართველი ლეგიონერი სასტარტო შემადგენლობაში იყო, **ალექსანდრე ამისულაშვილმა და გოგიტა გოგუამ** 90-90 წუთი ითამაშეს, ხოლო **დავით სირაძე** 59-ე წუთზე შეცვალეს. მატჩის ბედი, ალბათ, მე-20 წუთზე გადაწყდა, როცა მასპინძელთა ფორვარდი დაცვის ცენტრში ამისულაშვილის მეწყვილემ, **მიოდრაგ ჯუროვიჩმა** საჯარიმოში წააქცია. ჯუროვიჩი გააძევეს, პენალტი კი **ფლორინ შოავამ** გოლად აქცია. მე-40 წუთზე ამისულაშვილს შეეძლო ივლისში მეოთხე გოლის გატანა - ალეკომ მასპინძელთა საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და დაარტყა, რომ არა მცველი, რომელმაც ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, ანგარიში გათანაბრდებოდა. 59-ე წუთზე, დავით სირაძე **ფელიპეთი** შეცვალეს. სხვათა შორის, იმ დროისთვის „სპარტაკის" თავკაცი **იური კრასნოჟანიც** გაძევებული იყო. ნალჩიკელები 20 ქულით მე-6 ადგილზე არიან. „ხიმკიმ" კი ამ მოგებით თავი უკანასკნელ ადგილს დააღწია. „ჩემპიონატ რუმ" ტრადიციულად შეფასები ჩამოურიგა მოთამაშეებს. ქართველებში ყველაზე კარგი შეფასება ამისულაშვილს შეხვდა – 5,5, გოგუას თამაში 5 ქულით შეფასდა, სირაძის – 4,5-ით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დუბლებში საუკეთესო

**გუშინ,** უკრაინის ჩემპიონატის მეორე ტურის ცენტრალურ მატჩში „დნიპრომ" კიევის „დინამოს" უმასპინძლა. სამწუხაროდ, მატჩის განაცხადში კიდევ ვერ მოხვდნენ **ჯაბა კანკავა** და **სანდრო კობახიძე.** სამაგიეროდ, ორივემ ითამაშა წინა დღით ამ გუნდების დუბლების მატჩში (1:2). შეხვედრის 35-ე წუთზე კანაკავამ საგოლე პასი მიითვალა, მან კუთხურიდან თავზე „დაასვა" ბურთი **კონოპლიანკას.** საერთოდაც, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი დუბლების მატჩში საუკეთესო იყო. „დინამოს" დუბლებში არ გამოჩენილა **დავით იმედაშვილი.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ჯაბა კანკავა

ვიტ ჯორჯიას მეტოქე

# სპარტაკი ნაგებული მოდის


გუშინდელი დუნაისკა სტრედა-ტრნავა

**სლოვაკეთის** ვიცე-ჩემპიონი ტრნავის „სპარტაკი" თბილისში ყურებჩამოყრილი ჩამოდის – გუშინ, გორგონ ლიგის მეორე ტურში „ვიტ ჯორჯიას" მეტოქე „დუნაისკა სტრედამ" 3:0 გაანადგურა. სტუმრები 66-ე წუთამდე იცავდნენ კარს მშრალად, შემდეგ კი ტრნაველთა გოლკიპერმა **ჰრდინამ** სამი გოლი გაუშვა. „სპარტაკს" ორი ტურის შემდეგ 3 ქულა აქვს. ხუთშაბათს „სპარტაკი" „ლოკომოტივის" სტადიონზე უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში „ვიტ ჯორჯიას" ესტუმრება. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი ტრნავაში 2:2 მორჩა, ქართულმა გუნდმა ბოლო 16 წუთში გაუშვა ორი გოლი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ზესტაფონმა გურულად ისპარინგა

"ზესტაფონს" 31 ივლისს უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი აქვს უნგრულ "დიორ ეტოსთან" და ამ შეხვედრისთვის ზესტაფონში ემზადება. გუშინ ფეროელებმა ლანჩხუთის "გურია" ისტუმრეს და 4:1 დაამარცხეს.

"ზესტაფონიდან" გოლები გაიტანეს: **ირაკლი ძარიამ** (19), **ბექა გოცირიძემ** (44, 48) და **ზურაბ იონანიძემ** (89).

თემურ მახარაძის გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **რ. კვასხვაძე, უ. ლობჟანიძე (მაკარიანი, 52), თოდუა (ზ. ლობჟანიძე, 52), სანტოსი (ბოიომო, 46), ვიეირა (ნ. კვასხვაძე, 37), დაუშვილი, ძარია (გორგიაშვილი, 59), ონიანი (ლონლაძე, 46), ჩასემი (ლომაშვილი, 55), გელაშვილი (იონანიძე, 56), გოცირიძე (ჟონატასი, 72).**

**დავით თავართქილაძე**

გორის დილა

# პირველი ლიგაც საოცნებო გაგვიხდა

**საქართველოს** უკვე მეოცე ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი მოადგა კარს და ამ ხნის მანძილზე რაც გორის „დილამ" სიდუხჭირე და სიცოცხლის შესანარჩუნებლად ბრძოლები გადაიტანა, ალბად ვერც ერთი ქართული კლუბი ვერ დაიტრაბახებს. შიდა ქართლელები ერთადერთხელ მოხვდნენ ევროტურნირებზე (ინტერტოტოს თასზე). თავდაპირველი ჩემპიონატებისას სატურნირო ცხრილის „ოქროს შუალედში" ასრულებდნენ ასპარეზობას, შემდეგ უმეტესწილად გასავარდნ ზონაში და სამწუხაროდ ახლა, უმაღლესი კი არა პირველი ლიგაც სანატრელი გაუხდათ.

ერთ დროს ჩვენი ჩემპიონატის ერთობ კოლორიტული კლუბის ბოლო წლების უცვლელ გოლკიპერს თამაზ ილურიძეს გორის უქმად მყოფ სტადიონზე შევხვდით, სადაც ქვედა ლიგაში სათამაშოდაც კი აღარ ემზადება გუნდი.

**— თამაზ, უკანასკნელი წლებში „დილის" უკიდურესმა გაჭირვებამ შენზეც გადაირა...**

— თორმეტი წელია, გუნდში ვარ და „დილა" მეტწილად გადასარჩენად იბრძოდა. ბოლო წლებში რამდენჯერმე უმაღლესი ლიგის დატოვების კანდიდატები ვხდებოდით, მაგრამ ხან ვბრუნდებოდით, ხან გვაბრუნებდნენ. ფედერაცია ალბათ რაღაცებზე თვალსაც ხუჭავდა, ტრადიციებს ანგარიშს უწევდა... მათთან არაფერი გვაქვს გორელებს სასაყვედურო. რამენაირად ყველას უნდა მოენდომებინა და როგორმე გადაგვერჩინა გუნდი.

**— შარშან 200 ათასი გამოგინახათ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მაგრამ არც ამან უშველა გუნდს. შეიძლებოდა გამოსავალის მონახვა?**

— განწირულებს სეზონის ბოლოს ხან ადგილობრივი ხელისუფლება გამოგვიწვდიდა დახმარების ხელს, ხან რომელიმე ბიზნესმენი და დაშლას გადავრჩებოდით ხოლმე. გორის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 200 ათასიც ბევრი არ იყო, მაგრამ გუნდის გადარჩენა შეიძლებოდა. არ იყო საჭირო სხვა ფეხბურთელების დამატება, აქცენტი ადგილობრივ კადრებზე უნდა გაკეთებულიყო. უნდა მოეხერხებინათ კობა ხანიშვილის, მიშა თაყაძის და ქართულ გუნდებში მოთამაშე სხვა გორელების დაბრუნება. ისინი სულაც არ ითხოვდნენ განსაკუთრებულ ანაზღაურებას და თანაც მეტი თავდადებით იბრძოლებდნენ მშობლიური გუნდისთვის. მეტიც, ბექა ჩიტაიას გაშვება შეიძლებოდა, როცა გუნდს თავდამსხმელი არ ჰყავდა? დამეთანხმებით, არც ის არის სწორი, როდესაც ფეხბურთელს სეზონის იმ პერიოდში ეუბნები საჭირო არ ხარო, როცა უკვე გუნდსაც ვერ გამოიცვლის.

**— შენ თუ აპირებ კარიერის გაგრძელებას. გასული სეზონის დასაწყისშიც ფაქტიურად შეშვებული იყავი ფეხბურთს, მაგრამ კარში ისევ დადექი.**

— გუნდს რომ დასჭირდა, დავდექი. უკანასკნელ წლებში ველოდი შემცვლელს, რომელსაც სიამოვნებით გადავულოცავდი პირველი გოლკიპერის ადგილს. შარშან დავინახე, რომ კეჩხუაშვილი საიმედო მეკარედ იზრდება და „დილა!" გამოადგებოდა. შინ „ლოკომოტივთან" მატჩში წართმეული ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვების მერე კარში დადგომა ალაც მომნდომებია. გემახსოვრებათ, ბოლო წამებზე აშკარა თამაშგარედან რომ გაგვიტანეს ბურთი. მაშინ „ლელომაც" დაწერა და მეც პირველად ვნახე ჩვენი გულშემატკივრების ცრემლი. იმ მატჩის მოგება უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დიდწილად დაგვეხმარებოდა.

**— ... და ახლა ისიც არავინ იცის, პირველ ლიგაში თუ მაინც ითამაშებს გორის „დილა".**

— მერწმუნეთ, დღევანდელი მდგომარეობა უკიდურესად მაწუხებს. მთელი კარიერა ხომ „დილაში" გავატარე. გული მტკივა, რომ შიდა ქართლის მთავარი გუნდისთვის უმაღლესში კი არა, პირველ ლიგაში თამაშიც სათუოა. ეს ხომ ფაქტიურად ჩვენთან ფეხბურთის სიკვდილს ნიშნავს. არადა, „დილას" 14-15 წლის ფეხბურთელთა გუნდმა ქვეყნის ასაკობრივ პირველობაზე იჩემპიონეს. მათი კარიერისთვის ხომ რიგიანი ადგილობრივი კლუბის არსებობა უბრალოდ აუცილებელია. მინდა, ადგილობრივ ხელისუფლებას მივმართო, რომ რამენაირად დაეხმარონ კლუბს. დარწმუნებული ვარ, გუბერნატორმა ლადო ვარძელაშვილმა არ იცის, რა მდგომარეობაშია „დილა", თორემ ასე აბსოლუტურად უმოქმედოდ არ იქნებოდა გუნდი. ჩანს, კლუბის პრეზიდენტსაც რაღაცამ აუცრუა გული, თორემ რაც მე ამ გუნდში ვარ, მიშა ლურსმანაშვილივით გულიანად არავინ მოპყრობია საქმეს. ნეტავ, სიტუაცია გამოსწორდეს და თუ საჭირო გავხდი, ისევ დავუბრუნდები „დილას". მთავარია, სულისკვეთება დავინახო და უხელფასოდ ვითამაშებ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური დავით მაისურაძე, ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე. ნომრის მორიგე რედაქტორი შალვა ბიბილაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები. ინტერვიუ მიხეილ აშვეთიასა და გიორგი ნავალოვსკისთან

# ანჟელები მახაჭყალასა და ნაკრებზე



მიხეილ აშვეთია



გიორგი ნავალოვსკი

**რუსეთის პირველ დივიზიონში ახალი სეზონი დღეს განახლდება. ამ ლიგაში მახაჭყალის "ანჟი", რომელშიც ერთბაშად შვიდი ქართველი ფეხბურთელი ირიცხება, მეორე ადგილზეა და პრემიერლიგაში ალზევების ერთ-ერთი პრეტენდენტია. პირველ დივიზიონში პაუზა იყო და ჩვენი ლეგიონერებიც თბილისში იმყოფებოდნენ. ვისარგებლეთ შემთხვევით და თბილისიდან გამგზავრებამდე ქართული შვიდეულიდან ორ მოთამაშეს, მიხეილ აშვეთიასა და გიორგი ნავალოვსკის გავესაუბრეთ.**

## რა მოხდა აშვეთიასა და ტოპმიოლერს შორის

- ამჟამად კარგ ფორმაში ვარ, ისე, როგორც ადრე, მოსკოვის "ლოკომოტივში" თამაშისას ვიყავი. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ახლა მეტად გამოცდილი ვარ.

**- რკინიგზულ კლუბში თამაშისას ეროვნულ გუნდშიც გიწვევდნენ, ახლა კი კარგა ხანია ნაკრების მაისურა აღარ გცმია...**

- კი, მაგრამ სანამ ნაკრებს კლაუს ტოპმიოლერი წვრთნიდა, ვიცოდი, რომ აღარ გამომიძახებდა...

**- რატომ?**

- მისთვის არასასიამოვნო თემაზე ვესაუბრე.

**- მაინც რა მოხდა?**

- ფარერებთან თბილისური მატჩის მეორე ტაიმისას ჩემი სათქმელი ვუთხარი. როცა ტოპმიოლერმა სამივე შეცვლა გააკეთა და გამოჩნდა, რომ მე აღარ მიწევდა თამაში, მივედი და ვუთხარი, უკვე მერამდენე მატჩია მიძახებ და თამაში არ მიწევს, თუ არ გინდა რომ მათამაშო, ტყუილად ნუღარ გამომიძახებმეთქი. ფარერებთან თბილისში რომ არ გათამაშებს ნაკრების მწვრთნელი, აბა, ვისთან უნდა გათამაშოს?

**- რატომ? იტალიასთან თბილისში ითამაშე და კარგადაც გაისარჯე...**

- კი, მაგრამ მერე აღარ მათამაშებდა. არადა, ვარჯიშებზე მაქებდა, მიმანიშნებდა, რომ მენდობოდა, მაგრამ... ფარერებთან შეცვლაზე თამაშსაც აღარ ვიმსახურებდი?

ერთი სიტყვით, ტოპმიოლერს ჩემი სათქმელი ვუთხარი და წავედი...

**- როგორ თუ, წახვედი?**

- თამაშის დამთავრებამდე გასახდელს მივაშურე, გამოვიცვალე და შინ წავედი. მას მერე ტოპმიოლერის განვრთნილ ნაკრებში გამოძახებას აღარც ველოდი.

**- კლაუს ტოპმიოლერის ხანა დამთავრდა - გაქვს იმედი, რომ ეროვნულის ახალი თავკაცი გამოგიძახებს?**

- კლუბში რაც შემიძლია, ვთამაშობ, გოლები გამაქვს, დანარჩენი კი ნაკრების ახალი მწვრთნელის გადასაწყვეტია. შესაძლოა, ჯობდეს კიდეც ჩემი თაობის ფეხბურთელებმა ნელ-ნელა გზა ახალგაზრდებს დავუთმოთ.

**- ნაკრებზე ვსაუბრობთ და ბარემ აქვე გკითხავ - ეროვნულ გუნდს ახალი თავკაცი ჯერ არ ჰყავს. რამდენიმე კანდიდატის გვარმა გაიჟღერა, შენი აზრიც საინტერესოა მათზე...**

- თემურ ქეცბაიას დანიშვნა უპრიანი იქნებოდა. აშკარად ეტყობა, რომ მზარდი მწვრთნელია...

**- "ანჟიში" ბევრი გოლი გაიტანე. ლიგის ბომბარდირობას ხომ არ უმიზნებ?**

- 18 მატჩში 8 გოლი მაქვს გატანილი. ბოლო ოთხი თამაში ტრავმის გამო გამოვტოვე. ლიგის მეგოლეებში მოწინავე ოთხეულში ვარ, პირველადგილოსანი ოთხი გოლით მისწრებს: მოკლედ, ვნახოთ...

## ასე მგონია, სეგრტი მოედანზეც ჩვენთანაა

- "ანჟი" პრემიერლიგაში გადასვლის პრეტენდენტია და ბოლომდე ვიბრძოლებთ. მონდომება არ გვაკლია, კლუბი ფინანსურადაც ნორმალურადაა და იმედია, პრემიერლიგაში გადავალთ.

**- კონკურენტებზე რას გვეტყოდი?**

- პირველ დივიზიონში რამდენიმე გუნდი ერთი დონისაა. სხვაობა ისაა, რომ ზოგს მეტი ფინანსები აქვს. უშუალო კონკურენტებად "როსტოვის" გარდა "ყუბანს", "ურალსა" და "ალანიას" მივიჩნევთ.

**- შენთვის ეს ლეგიონერობის სადებიუტო სეზონია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ გაგვჭირვებია...**

- გუნდში ადაპტაციისთვის სეზონისწინა მოსამზადებელი შეკრება მაქსიმალურად გამოვიყენე. თავდაპირველად ფიზიკურ მომზადებაში გამიჭირდა, მაგრამ მალევე დავძლიე. ერთი სიტყვით, რთული პერიოდი გადავლახე და ახლა სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელად ვითვლები.

**- მთელი ფლანგის კონტროლი არ გიჭირს?**

- უმთავრესად მარცხენა მცველად ვთამაშობ. ამ ფრთაზე ნახევარმცველადაც მამწესებენ ხოლმე, მაგრამ ძალზედ იშვიათად. სტაბილურად მიწევს თამაში, დისკვალიფიკაციის გამო მხოლოდ ერთი შეხვედრა გამოვტოვე.

**- "ანჟიში" ერთბაშად შვიდი ქართველი ხართ. შესაძლოა, ქართველების ასეთი სიმრავლე ვინმეს არც კი მოსწონდეს...**

- პატივისცემისა და დაფასების გარდა, არაფერი გვიგრძვნია. მახაჭყალა ძალიან დიდი ქალაქი არაა, თითქმის ქუთაისის ხელაა. შეიძლება ითქვას, რომ ხალხი ფეხბურთით ცხოვრობს. ქუჩაში გვცნობენ და გვამხნევებენ, აბა თქვენ იცით, პრემიერლიგაში უნდა გადახვიდეთო.

**- ახლა სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. ლატვიასთან ამხანაგურ მატჩში 21-წლამდელებში იყავი. იქიდან ორ თვეში კი უკვე ეროვნულში მოგიწია თამაში...**

- მართალია, ეროვნული ნაკრები სხვა დონეა, უკეთეს მომზადებას მოითხოვს, მაგრამ მონდომების ხარჯზე არ გამიჭირდება. თუ ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცი მენდობა, იმედს ნამდვილად არ გავუცრუებ.

**- როგორ ფიქრობ, ვინ იქნება ეროვნულის ახალი თავკაცი?**

- კანდიდატებიდან პეტარ სეგრტის გარდა არავის ვიცნობ, რომელზეც შემიძლია გითხრათ, რომ მონდომებული მწვრთნელია. სწრაფად აზროვნებს, ფეხბურთელებს მარტივად და გასაგებად გვიხსნის დავალებებს, ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევა ეხერხება. ემოციურია, სულ მითითებებს გვაძლევს, გვამხნევებს. ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მაქვს, სეგრტი ჩვენთანაა მოედანზე. ფინკეს ხელში კი კობიაშვილს, იაშვილს, ცქიტიშვილს, ხიზანეიშვილსა და სხვა ქართველ ფეხბურთელებს გამოუვლიათ. შესაბამისად, ფინკემ კარგად უნდა იცოდეს ქართველი ფეხბურთელის ფასი. რა თქმა უნდა, ეს საკითხი ფეხბურთელების კი არა, ფედერაციის გადასაწყვეტია.

**დავით ცაბაძე**

## იტალიამ დრო დაგვიდგინა

მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევის პირველ საგარეო შეხვედრას საქართველოს ეროვნული ნაკრები იტალიასთან უდინეში გამართავს. აპენინელებმა მატჩის დაწყების დრო დაადგინეს - 20:50 საათი იქაური დროით.

ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ შესარჩევის პირველ მატჩში ჩვენი გუნდი 6 სექტემბერს ირლანდიას უმასპინძლებს.

ტრანსფერი

## ფარფალია დესნაში ჩაირიცხა

მცველი **გიორგი ფარფალია** უკრაინის პირველ დივიზიონში მოასპარეზე ჩერნიგოვის "დესნაში" ჩაირიცხა. მან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფარფალია გუნდის ოფიციალურ განაცხადში უკვე შეიყვანეს.

უკრაინის პირველ დივიზიონში უკვე დაიწყო ახალი სეზონი. სასტარტო ტურში ჩერნიგოველებმა "ფენიქს ილიჩევეცთან" შინ 0:0 ითამაშეს. ფარფალია მატჩის განაცხადში კი იყო, მაგრამ თამაში არ მოუწია. მეორე ტურში "დესნა" "პრიკარპატიეს" სტუმრად 29 ივლისს დაუპირისპირდება.

**ვახტანგ კოპალეიშვილის** მწვრთნელობისას ფარფალია 18-წლამდელთა ნაკრების საკვანძო ფეხბურთელი იყო. 1986 წელს დაბადებულ ფარფალიას "თბილისში", "მერანში", "ოლიმპიკსა" და ხობის "კოლხეთში" უთამაშია.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

## იაშვილი მინსკში მოსწონთ

### აგვისტომდე პასუხი იქნება

თითქმის ერთი კვირაა, რაც 23 წლის **სანდრო იაშვილი** მინსკის "დინამოში" ვარჯიშობს. გუშინ, პოპულარულმა გამოცემა "პრესბოლმა" ჩვენებური ფორვარდი ასე მოიხსენია:

*"მინსკის "დინამოში" ტესტირებას გადის შვეიცარიული "თუნისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი სანდრო იაშვილი. გასულ სეზონში "თუნის" რიგებში იაშვილმა 19 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. შარშანწინ, თბილისის "დინამოში", სანდრო იაშვილმა 30 მატჩში 27 გოლი შეაგდო და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და ფეხბურთელი გახდა".*

ჩვენი ინფორმაციით, იაშვილი მინსკის "დინამოში" მწვრთნელთა მოწონებას იმსახურებს. თუმცა მისი საკითხი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. დღეს ბელორუსში ჩემპიონატის მეორე წრე იწყება. მინსკის "დინამო" თანაქალაქელ "ლოკომოტივს" მასპინძლობს და ალბათ, იაშვილის ტრანსფერი ამ მატჩისთვის ვერ მოესწრება. ბელორუსში სატრანსფერო ფანჯარა 31 ივლისს იხურება და შესაბამისად, იაშვილის საკითხიც მანამდე უნდა გაირკვეს.

**დავით ცაბაძე**



სანდრო იაშვილი

ეროვნული ჩემპიონატი

# საიუბილეო და უჩვეულო

..."ბორჯომის" მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე** პირდაპირი კაცია და ხშირად ისეთ მწარე სიმართლეს ამბობს, ბევრს რომ არ სიამოვნებს. თუ არ ვცდებით, ამ გაზაფხულზე თქვა: *"საქართველოს ჩემპიონატს კი არა, ჭაბუკთა ლიგის გათამაშებას ვატარებთ".*

ეგრეა - აქედან ყველა გარბის, გუნდებიც იშლებიან და არსებობას წყვეტენ; ამ დროს კი ზოგიერთი საფეხბურთო ჩინოსანი ჯიუტად გვიმტკიცებს - საქართველოში ფეხბურთი აღმავლობის გზაზეაო. ამას საკლუბო დონეზე ამბობენ, თორემ, სანაკრებოზე "საკამათო" არაფერი უნდა იყოს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ფარერებს ხომ გავასწარით?! ისე, ფარერების კუნძულების ფეხბურთი აღმავლობის გზაზე რომ არის, სოფელ რუნავიკის გუნდმაც დაამტკიცა: სამი ძირითადი (?) მეკარე არ ჰყავდა და თბილისის "დინამოს" მაინც მოუგო. შესაძლოა, "დინამოს" ახალი დამრიგებელი **რაინერ ცობელი** მომავალ მეტოქეს (ათენის "პანათინაიკოსს") რაიმეს უმალავდა, **გიორგი მერებაშვილის** არყოფნაც დანაკლისია, მაგრამ ასეთ მეტოქესთან მარცხს გამართლება მაინც არა აქვს (ისე, როგორც ოთხი წლის წინათ "ვიტ-ჯორჯიამ" რომ 0:3 წააგო ასევე ფარერების "ტორსჰავნთან").

"რუნავიკისგან"ასეთმა ალიყურმა, ცოტა არ იყოს, პესიმისტურადაც განგვაწყო: რამდენიმე დღეში ხომ "ზესტაფონმა" და "ვიტ-ჯორჯიამაც" უნდა ჩაატარონ უეფას თასზე განმეორებითი მატჩები. თანაც, **თემურ მახარაძისა** და **რამაზ მუმლაძის** გუნდებმა გასვლითი შეხვედრები ფრედ ითამაშეს და ვშიშობთ, ფეხბურთელებმა კონცენტრაცია არ დაკარგონ. რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, რომ სამივე ქართულმა გუნდმა ევროტურნირებზე ,რაც შეიძლება, მეტი ეტაპი გაიაროს; მაგრამ, აქვე, ცოტა არ იყოს, გაუგებრად გვეჩვენება ის გადაწყვეტილება, ჩვენი ჩემპიონატი ლამის აგვისტოს ბოლოსკენ რომ უნდა დაიწყოს. "დინამოს", "ზესტაფონსა"და "ვიტ-ჯორჯიას"სპარინგმატჩები არ სჭირდება? ანუ, დაგვეწყო ჩემპიონატი აგვისტოს დასაწყისში და ევროტურნირებზე მოასპარეზე ჩვენს გუნდებს სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობაც არ ექნებოდათ. მაგრამ, აი, მთავარსაც მივადექით: ვის ხარჯზე ან როგორ უნდა დავიწყო?



ქართული გუნდების უსახსრობა ეროვნულ ჩემპიონატში ცარიელი ტრიბუნების პირდაპირპროპორციულია

ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე თითქმის თვეა დარჩენილი და უკვე ცნობილია, რომ ერთი გუნდით ნაკლები იასპარეზებს. თანაც, გუნდსაც ხომ გააჩნია - "ამერმა" არსებობის შვიდი წელიწადის განმავლობაში იმდენს მიაღწია, ბევრ გუნდს რამდენიმე ათეული წელიწადიც რომ არ ეყოფოდა. მოკლედ, საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატს გუნდების უჩვეულო რაოდენობით ვხვდებით - 11-გუნდიანი პირველობა ჯერ არასდროს გვქონია. არადა, არ დაგიმალავთ და ამ საიუბილეო ჩემპიონატს დიდი ინტერესით ველოდით: აქამდე ხომ არასდროს ყოფილა, რომ გუნდები ერთმანეთს სამჯერ უნდა შეხვედროდნენ. ეს მოდელი პირველად (12-გუნდიანი ჩემპიონატი სამ წრედ) რამდენიმე წლის წინათ, დანიაში დაინერგა; ტურების რაოდენობაც (33) ოპტიმალური იყო, მაგრამ ევროპაში მიმდევრები მაინც არ გამოუჩნდნენ. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში კი, ლამის "ნახევარი" ევროპა ამ მოდელზე გადავიდა და დღესდღეობით თორმეტგუნდიანი და სამწრიანი ჩემპიონატი აქვთ: ირლანდიას, ხორვატიას, სლოვაკეთს, ალბანეთს, ჩერნოგორიას, მოლდოვას, მაკედონიას. თანაც, თითქმის ყველა ამ ქვეყანაში ეტაპობრივად ხდებოდა უმაღლეს ლიგაში გუნდების შემცირება.

უფრო ნაკლებგუნდიანი ჩემპიონატები არ ტარდება? შვეიცარიაში, ავსტრიაში, ლატვიაში, მალტასა და სლოვენიაში ათგუნდიანი ჩემპიონატებია, ლიტვასა და სომხეთში კი სულაც რვარვა გუნდი თამაშობს უმაღლეს ლიგაში. ნამდვილად არ გვინდა ჩვენი პროგნოზი გამართლდეს, მაგრამ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ საქართველოშიც სულ მალე შვიდ-რვაგუნდიანი ჩემპიონატი გვექნება. ანუ, იმის თქმა გვინდა, რომ თუ სასწრაფოდ რაიმე ბერკეტი არ ამოქმედდა, კატასტროფის წინაშე დავდგებით. ეტყობა, საქართველოს პროფესიულ ფეხბურთის ლიგაში ობიექტურად აფასებენ შექმნილ ვითარებას და ჩემპიონატის დაწყების ვადაც ასე იმიტომ გადაწიეს. ამ შემთხვევაში კლუბების ხელმძღვანელებს მეტი დრო დარჩებათ, რომ თავიანთი გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს ელემენტარული პირობები შეუქმნან.

კიდევ ვიმეორებთ, სასწრაფოდ "რაღაც" არის მოსაფიქრებელი, თორემ რეალურად რომ ვთქვათ, ხუთი-ექვსი კლუბი თუ დააკმაყოფილებს ლიცენზირების პირობებს. რაღა შორს მივდივართ - ორი თვეც არ გასულა წინა სეზონის დასრულებიდან და უმაღლესი ლიგის სამმა უილბლომ ("ბათუმი", "მერანი", "დილა") შესაძლოა, პირველ ლიგაშიც ვერ იასპარეზოს! ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები მოდის ზუგდიდიდან, ბორჯომიდან; ჰოდა, ამის მერე გაახსენდება კი ვინმეს, რომ ქუთაისს, ფოთს, ლანჩხუთს, სამტრედიასა და ბათუმს უმაღლეს ლიგაში გუნდები აღარ ჰყავთ? მეორე მხრივ, საქართველოს პროფესიულ ფეხბურთის ლიგასაც არ გაემტყუნება - უეფას კანონებით მოქმედებს და ლიცენზირების პირობების შესრულებასაც ამიტომ ითხოვს. ანუ, ტრიბუნებზე ინდივიდუალური სკამები, მოწესრიგებული გასახდელები (სასურველია, ცხელი წყლით), პრესლოჟა, ფინანსური გარანტიები და მეტ-ნაკლებად ვარგისი მოედანი; თორემ, იმას ხომ არ ითხოვენ, გინდა თუ არა, ტაბლოც მუშაობდეს ან პროჟექტორები იყოს დამონტაჟებულიო...

.მოკლედ, ჩემპიონატის დაწყებამდე თვეა დარჩენილი და ასეთი ბუნდოვანი მდგომარეობა არ გვახსოვს, როდესმე ყოფილიყოს. მაშინაც, 1992-93 წლებში, როცა დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, ჩემპიონატი არ შეწყვეტილა. ერთხელ ისეთი შემთხვევაც იყო, რომ რუსთავის "გორდა" დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში ვერტმფრენით ჩავიდა, თანაც ვერტმფრენი პირდაპირ სტადიონზე დაეშვა, ფეხბურთელებმა უმალ გასახდელს მიაშურეს, გამოიცვალეს და რამდენიმე წუთში თამაშიც დაიწყო...

...1990 წლიდან მოყოლებული ჩემპიონატის როგორი მოდელი აღარ მოვსინჯეთ; ჯერ, 18-გუნდიანით დავიწყეთ, მერე, ორი სეზონი 20-გუნდიანი იყო; 1992-ში, საომარი მოქმედებების გამო ოჩამჩირის "ამირანი", გალის "მზიური" და ხობის "კოლხეთი" რომ გამოაკლდა, 17 გუნდილა დარჩა; 1993 წელს ახალი სისტემა შემოვიღეთ: აღმოსავლეთში 11 გუნდი და დასავლეთის 9 გუნდი პირველ ეტაპზე; ორივედან 5-5 საუკეთესო კი მეორე ეტაპზე... ნული ქულით იწყებდა ასპარეზობას. ამ სიახლემ არ გაამართლა და ამის მერე ზედიზედ 5 სეზონი "კლასიკური" მოდელი გვქონდა: 16-გუნდიანი ორ წრედ. 1999 წელს ისევ სიახლე გველოდა: 16 გუნდი დაყოფილი ორ ჯგუფად და მეორე ეტაპზე გადაყოლილი განახევრებული ქულები - არც ეს გამოდგა იდეალური ვარიანტი. მომდევნო ოთხი სეზონი უკვე 12-გუნდიანი ჩემპიონატი გვქონდა, ოღონდ აქაც ორ ეტაპიანი - ზედა ექვსეული მედლებისთვის იბრძოდა, ქვედა - უმაღლესში ადგილის შენარჩუნებისთვის. 2004 წელს კვლავ სიახლე გველოდა - პირველად და უკანასკნელად ათგუნდიანი ჩემპიონატი ოთხ წრედ (შვეიცარიისა და ავსტრიის მოდელი). 2005-ში ყველა გავაოცეთ: ევროპაში გუნდების შემცირების ტენდენცია რომ იყო გახურებული, ჩვენ უმაღლესი ლიგა... 16-მდე გავზარდეთ. მერე, ორი სეზონი 14-გუნდიანი გვქონდა და ბოლოს, საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატს განახლებული სტრუქტურით უნდა შევხვედროდით. არა უშავს, თორმეტის მაგივრად თერთმეტი იქნება (დღესდღეობით, ასეა) და ვიმედოვნებთ, რომ "შუა გზაზე" ჩემპიონატს არავინ მიატოვებს...

**გია ტუხაშვილი**

*P.S. კინაღამ დაგვავიწყდა, გვეთქვა, რომ ჩვენთვის ასე "საინტერესო"ფარერების ჩემპიონატში ათი გუნდი მონაწილეობს. "რუნავიკის" მაგალითმა კი კიდევ ერთხელ დაადასტურა უტყუარი აქსიომა - რაოდენობა არ ნიშნავს ხარისხს...*

# ცხადაძის სტანდარდული გოლები



ბაჩანა ცხადაძე

**კახა ცხადაძის** გაწვრთნილი ბაქოს "სტანდარდი" სეზონისწინა მოსამზადებელ შეკრებაზე ბულგარეთშია, სადაც ერთ-ერთ სლოვაკურ გუნდს გაეჯიბრა და 4:0 დაამარცხა. "სტანდარდიდან" ორი გოლი ცხადაძემ გაიტანა, იუწყებიან აზერბაიჯანული წყაროები.

ცხადაძე მოთამაშე-მწვრთნელი არ გამხდარა და უნდა ვივარაუდოთ, რომ გოლები მისმა ვაჟმა გაიტანა - **ბაჩანა ცხადაძე** უგუნდო იყო და მამამისს "სტანდარდში" უნდა მიეყვანა. ახლა დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ უმცროს ცხადაძეს ჯერ არ გაუფორმებია კონტრაქტი "სტანდარდთან", თუმც უამისოდაც შეეძლო ეთამაშა საკონტროლო შეხვედრაში.

ბაჩანა ცხადაძე ბოლნისის "სიონის", თბილისის "ამერისა" და "ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელი იყო.

# ბათუმსა და აჭარას პრეზიდენტიც აღარ ჰყავს

ჯერაც გაურკვეველია, რა ბედი ელის პირველ ლიგაში დაქვეითებულ "ბათუმს", რომელიც უსახსროდაა დარჩენილი. შევიტყვეთ, რომ ახლახან კლუბის წარმომადგენლები ბათუმის მერიას ეწვივნენ და დახმარება სთხოვეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, "ბათუმს" ქალაქის მთავრობა დაეხმარება და გუნდი პირველ ლიგაში თამაშს მოახერხებს.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით "ბათუმის" გუნდის უფროსს, **მევლუდ ცინარიძეს** დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა, რომ:

*- კლუბის დამფუძნებელი აჭარის ფეხბურთის ფედერაციაა, რომლის პრეზიდენტმა დავით თავართქილაძემ განცხადება დაწერა გადადგომის შესახებ - ის უცხოეთში მიდის სწავლის გასაგრძელებლად. 29 ივლისს აჭარის ფეხბურთის ფედრაციის აღმასკომის სხდომა გაიმართება და "ბათუმზეც" გაირკვევა რაღაც-რაღაცები. წინასწარ არაფრის თქმა არ მსურს და ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით.*

**დავით თავართქილაძე**

ყოველთვიური სპორტული ჟურნალი




თქვენთვის წერს ავტორთა ნაკრები:
გია ახვლედიანი. ილია ხაზუნაშვილი. კოტე გოგიშვილი.
ლაშა გოლუაძე. გოჩა კაჯაიაია. მამუკა კვარაცხელია.
დავით კოვზირიძე. მერაბ მამულაშვილი.
ზვიად ხეჩინაშვილი. დათო ტურაშვილი
კაპიტანი გიორგი გორგოძე

# ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი
# მსაჯები და მსაჯობა

დასაწყისი „ლელო" №88-დან

**გერმანიის** რეგიონალლიგის "ოლდენბერგი" ეთამაშებოდა "სანკტ-პაულის". მსაჯი აშკარად ემხრობოდა სტუმრებს. მასპინძლების რუსმა მოთამაშემ მატჩის შემდეგ მსაჯს "იდიოტი" უწოდა. მსაჯმა ეს ოქმში აღნიშნა. საქმის გარჩევის დროს ლეგიონერმა თავის დაძვრენა სცადა: *"მე ჩემს პოლონელ კოლეგას რუსულად ვუთხარი მსაჯი მოდისო "იდიოტ"-ო"*. კომისიის თავმჯდომარე წიგნიერი კაცი გამოდგა და დოსტოევსკი წაკითხული ჰქონდა. იდიოტი აფრიკაშიც იდიოტია ბრძანა გამრჩევმა. რუსი დაისაჯა.

**სკანდალით** დამთავრდა 32 წლის კანადელი საფეხბურთო მსაჯი ქალის **სონე დენაკურტის** დებიუტი. ბრაზილიაში "სან-პაულუსა" და "პალმეირასის" მატჩის შემდეგ, რომელსაც სონე სჯიდა, მაყურებელი ისეთ რამეს ყვიროდა, რომ ერთმა კორესპონდენტმა განაცხადა: "წარმოდგენაც არ მქონდა, რომ პორტუგალიურ ენაში ამდენი ბილწი სიტყვა იყო!"

**ერთხელ,** სახლიდან გამოსულმა **ჯორჯ ბესტმა** თავისი ავტომანქანა ვერ იცნო. ავტომობილი ფეხბურთელის ეგზალტირებული თაყვანისმცემელი ქალების პომადის ფენით იყო დაფარული. კოცნის შედეგად, რასაკვირველია!

**ჭეშმარიტად** ლომის ძალა აქვს რუსეთელ მინი-ფეხბურთის მსაჯს **ლომ ალი იბრაჰიმოვს**. გერმანიაში ჩატარებული მსაჯების ტურნირის დროს, მან ისეთი ძალით დაარტყა პენალტი, რომ მოწინაალმდეგის მეკარემ ბურთზე რეაგირება ვერ მოასწრო, ბურთი თავში მოხვდა და გაითიშა.

**2004 წელს** მოლდოვაში საფეხბურთო თრილერი დატრიალდა. ერთ-ერთი მატჩის დროს გუნდის პრეზიდენტი, ვინმე **მაკავეი** გამოუდგა მსაჯს... ჯიპით! მსაჯმა თავს უშველა მოხერხებული ფინტების წყალობით. მაკავეი პოლიციამ შეიპყრო. შედეგი: პრეზიდენტს 2000 აშშ დოლარი გადაახდევინეს. მის გუნდს 0:3 დაუფიქსირეს. მსაჯი გადამალეს.

**ყვარელში** არის უნიკალური სტადიონი. იგი ძველ ციხესიმაგრეშია განლაგებული. გვერდითი და პირითხაზები ქვის კედლებთანაა გახაზული. ტრიბუნები ქონგურებზეა მიშენებული. მაყურებელი ალაყაფით შედის სტადიონზე. მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი მაინც მსაჯთა გასახდელი ოთახია - იგი განლაგებულია ყოფილ ტყვია-წამლის საწყობში, რომელსაც ისეთი სისქის კედლები აქვს, რომ მისი დანგრევა თანამედროვე ქვემეხებითაც გაძნელდება.

## საფეხბურთო რეკორდები

**ფენომენალური** რეკორდის მფლობელები არიან უნგრელები. თავად განსაჯეთ: ყველა დროის ბომბარდირთა სამეულს სათავეში უდგას **ფერენც პუშკაში** (511 გოლი უმაღლეს დონეზე), მეორეც უნგრელია **იმრე შლოსერი** (417), მესამე - **დეულა ჟანგელერი** - 416 გოლი. თანაც პუშკაშმა და შლოსერმა ორ-ორი სეზონი გამოტოვეს. მათ გარდა პირველ თხუთმეტეულში კიდევ ორი უნგრელია **ფერენც სუსა** (VII ადგილი) და **იოზეფ ტაკაჩი** (XIV). კაცობრიობის გოლეადორების ასეულში კი 15 (!) ოსტატია პატარა დუნაისპირა ქვეყნიდან. მეორენი კი, სხვათა შორის, შოტლანდიელები არიან - 11 ბომბარდირი. ესეც შთამბეჭდავია!

**ფერენც პუშკაში** არა მარტო უნიკალური ბომბარდირია (82 გოლი ნაკრების 88 მატჩში), არამედ ერთადერთია მსოფლიოში, ვინც საშხაპეში სველი საპნის ნაჭერს კენწლავდა!

**პორტუგალია** ფანტასტიკური რეკორდის მფლობელია. ანგოლელი წარმოშობის თეთრკანიანმა ფორვარდმა **ბაპტისტა დე სეიშაშ პეიროტეირუმ**, დღემდე განუმეორებელ შედეგს მიაღწია: მას უმაღლესი დივიზიონის 330 მატჩში, თითოში საშუალოდ 1.68 გოლი გაჰქონდა (პელეს მაჩვენებელია - 0.98...).

**სხვადასხვა** სიგრძის ფეხები არა მარტო განთქმულ **გარინჩას** ჰქონდა. ჩრდილოირლანდიელი თავდამსხმელის **ჯიმი ჯონსის** კოშმარული ისტორია, ჭეშმარიტად უნიკალურია. თავისი კარიერის გარიჟრაჟზე ფორვარდი მოწინაალმდეგე გუნდის ფანებმა შეიპყრეს და იმდენი ურტყეს ფეხში, სანამ იგი სისხლიან მასად არ აქციეს... შემდეგ ოპერაცია. ფეხი დამოკლდა. სირბილი კი არა, სიარული უჭირდა საცოდავ ჯიმის. მაგრამ, ვერ მოგართვეს! სამი წელიწადი გმირულად ივარჯიშა ირლანდიელმა. აღიდგინა ფორმა და 17 წლის განმავლობაში 332 (!) ბურთი გაუტანა მეტოქეებს. ძნელი სათქმელია, რომელ ადგილს დაიკავებდა მსოფლიოს 100 უდიდესი ფორვარდების სიაში ჯონსი, ხულიგნების სიველურე რომ არა და მაინც, 23-ე ადგილი ურიგო შედეგი არ გახლავთ ყოფილი ინვალიდისთვის.

**სტატისტიკური პარადოქსი** - განთქმული ინგლისელი გოლეადორის **დევიდ უილსონის** (254 გოლი) დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები უცნობია...

**გამოჩენილმა** შვედმა ბომბარდირმა **სვენ იუხანსონმა** (252 გოლი) 15 წლის განმავლობაში, თავისი კლუბის "ელფსბორგის" შემადგენლობაში ყველა (!) თამაში ჩაატარა 1928-42 წწ.

**დაუჯერებელი** ბიოგრაფია აქვს ბელგიელ ფეხბურთელს **ბერნარ ფორხოფს** (281 გოლი 100-იანთა კლუბში). იგი "ლიერსის" მოთამაშე გახლდათ და იმავდროულად ვან ხოფის ფსევდონიმით... "ლირუს" კლუბის ღირსებას იცავდა! საბოლოო ჯამში, **"ჩაავლეს"**...

**პატარა ურუგვაის** შედეგები საკონტინენტთაშორისო თასზე გასაოცარია: 8 ფინალიდან მათი მონაწილეობით - 6 მოიგეს!

რუმინელი მეკარის **დუკადამის** გმირობა საარაკოა: ჩემპიონთა თასის ფინალში, დამატებითი დროის ამოწურვის შემდეგ დანიშნული პენალტების სერიაში, სტიაუას გოლკიპერმა ხუთივე (!) დარტყმა მოიგერია! **ჩაუშესკუ** აღფრთოვანებას ვერ მალავდა!

**მსოფლიოში** უნიკალური ტიტულის მფლობელია ურუგვაელი **რუბენ პასი**. იგი გახლავთ "მუნდიალიტოს" საუკეთესო მოთამაშე. 1980 წელს იბეროამერიკის ამ პატარა ქვეყანაში ჩატარდა 1930 წლის პირველ მსოფლიო ჩემპიონატში მასპინძლების გამარჯვებისადმი მიძღვნილი ტურნირი, იმ გუნდებს შორის, რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს (მხოლოდ ინგლისელებმა აარიდეს თავი ბრძოლას). გაიმარჯვეს ურუგვაელებმა. ფიფას მაშინდელი პრეზიდენტის **ჟოაო აველანჟის** განკარგულებით, შემდეგი ასეთი ტურნირი მხოლოდ 2030 წელს ჩატარდება, მასპინძელთა გამარჯვების 100 წლის თავზე. მანამდე კი, რუბენს შეუძლია მშვიდად იძინოს, საუკეთესოს ტიტულს მას ვერავინ შეეცილება.

**ცნობილი** პარაგვაელი "არტილეირო" - ბომბარდირი **არსენიო პასტორი ერიკო** უმაღლესი დივიზიონის გუნდში ...15 წლის ასაკში ჩარიცხეს მთავრობის საგანგებო ნებართვით. პირველივე ჩემპიონატში მან ზრდადასრულებულ ძიებს 15 მატჩში 12 ბურთი გაუტანა (სულ კარიერაში 331 გოლი).

**დღემდე** ფეხბურთელებში (კაცებშიც და ქალებშიც) თმების სიგრძის რეკორდის მფლობელია სამოცდაათიანი წლების არგენტინის ეროვნული ნაკრების ვარსკვლავი **რუბენ ჰუგო აიალა**. მისი შემყურე ბევრი მანდილოსანი შურით სკდებოდა.

**ბევრისთვის** ყველა დროის საუკეთესო მეკარე **იაშინს** ერთ თამაშში 7 (!) ბურთიც გაუშვია, კუთხურიდანაც და მოწინაალმდეგის მეკარის მიერ თავისი საჯარიმოდან დარტყმულიც...

**ამერიკის** შეერთებული შტატების ფეხბურთი რომ არ ბრწყინავს, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ამ სფეროში ეს ქვეყანა მაინც პატივისცემის ღირსია. და აი, რატომ. შოტლანდიური წარმოშობის იანკიმ **არჩილბალდ სტარკმა** ერთ სეზონში (1924-25 წწ.) 67 (!) ბურთი გაიტანა და 300 გოლი 10 წლის განმავლობაში, ე.ი. საშუალოდ 30 ერთ სეზონში!

**უნიკალური** პიროვნებაა არგენტინელი **მარტინ პალერმო** - მან ერთ თამაშში სამხრეთ ამერიკის პირველობაზე სამი პენალტი გააფუჭა. ბოროტი ენები ამბობენ, მეოთხესაც გააფუჭებდაო, რომ დაენიშნათ... სამაგიეროდ, მანვე მეტოქეთა კარში ბურთი 61 (!) მეტრიდან გაიტანა! ასეთ მანძილზე ისრის სროლაც კი დიდი საქმეა.

**"ბოკა ხუნიორსისა"** და "რივერ პლეიტის" შეხვედრაში კი ასეთი რამ მოხდა: ბოკელმა პალერმომ უჩვეულო ტრიუკი ჩაატარა - კარის ხარიხას ტანმოვარჯიშესავით ჩაავლო ხელები, აიწია და ჩამოწოდებული ბურთი ბადეში გაახვია. იცოდა კაცმა, რომ ყველაფერი რაც აკრძალული არ არის, ნებადართულია.

**კარიერის** განმავლობაში გატანილი გოლების რაოდენობით პირველია ბრაზილიელი **ა. ფრიდენრაიხი** - 1329 (!!!) გოლი. ეტყობა, რამდენიც დაარტყა, იმდენი გაიტანა იმ დალოცვილმა!

**სხვათა შორის,** თბილისს ეკუთვნოდა ქალთა ფეხბურთის მატჩზე დასწრების რეკორდი. 80-იანი წლების ბოლოს დედაქალაქში ერთმანეთს შვედეთის ორი გუნდი შეხვდა. სტადიონი გაიჭედა - 75 000. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მეორე რეკორდი. თამაშის დასასრულისთვის ტრიბუნებს, სულ რამდენიმე ათასი "მექალთანე" შემორჩა...

**დიდი ხნის** განმავლობაში, ყველაზე დაკოცნილი ქანდაკების ავტორი იყო ფრანგი იუველირი ლეფევრი. მან დაამზადა ნიკეს ოქროს კანდაკება. კომენტარები ზედმეტია.

**პირველობას** ურუგვაელებს ვერავინ წაართმევს. მათ პირველი მსოფლიო ჩემპიონატიც ჩაატარეს, პირველი საკონტინენტთაშორისო თასის მატჩიც და ჯერჯერობით, ერთადერთი "მუნდიალიტო" - მსოფლიო ჩემპიონთა ტურნირი.

**ყველა დროის** 100 უდიდესი ბომბარდირის სიაში შედის კვიპროსელიც - **სოტირიოს კაიფასი** ("ოქროს ბუცის" მფლობელი). სხვათა შორის, ბომბარდირი მთელი კარიერის განმავლობაში, მხოლოდ ერთ კლუბში "ომონიაში" თამაშობდა. ისე კი, თუ ვინმეს ჰგონია, რომ აფროდიტეს კუნძულზე ბურთების გატანა უფრო იოლია, ვიდრე სხვაგან, ძალიან ცდება!

**15 (!) წლის დერეკ ფორსტერი** ინგლისის უმაღლესი დივიზიონის მატჩში იცავდა "სანდერლენდის" კარს, "ლესტერსიტისთან" დაპირისპირებისას 1965 წელს. ასეთი რამ მას შემდეგ არ განმეორებულა. მექსიკელი გოლკიპერი **ანტონიო კარბახალი** კი 42 წლის ასაკში ეროვნული ნაკრების კარში იდგა!

**ყველაზე** სწრაფი ბურთი ბრაზილიაში რიველინომ გაიტანა თამაშის... მესამე წამზე. გოლეადორმა შენიშნა, რომ მოწინაალმდეგის მეკარე კარის ხაზთან ხელს ართმევდა ფოტოკორესპონდენტს. მომენტალური რეაქცია, დარტყმა, გოლი!

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება



## ივლისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში

გაგრძელება

**21 ივლისი. 1959 წელი.** ტოკიოში ამერიკელმა ვაჟმა მოცურავეებმა დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდი. 4X100 მ-ზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში მათ სენსაციური დრო 3,44,4 წთ. აჩვენეს.

**21 ივლისი. 1974 წელი.** ბელგიელი **ედი მერქსი** მეორე ველომრბოლი გახდა, რომელმაც "ტურ დე ფრანსი" მეხუთედ მოიგო.

**21 ივლისი, 1985 წელი.** ჟაკ ანკეტილისა და ედი მერქსის შემდეგ ფრანგი **ბერნარ ინო** მესამე ველომრბოლი გახდა, რომელმაც "ტურ დე ფრანსი" მეხუთედ მოიგო.

**22 ივლისი. 1894 წელი.** პარიზ-რუანის მარშრუტით მოეწყო პირველი ავტორბოლა მსოფლიოში.

**22 ივლისი. 1944 წელი.** ჰიტლერზე თავდასხმისას მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა 1936 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი ცხენოსნობაში (სამონადირეო კონკური) **ჰაინც ბრანდტი.**

**23 ივლისი. 1995 წელი.** ესპანელმა **მიგელ ინდურაინმა** ველორბოლის ისტორიაში ზედიზედ ხუთჯერ პირველმა მოიგო "ტურ დე ფრანსი".

**25 ივლისი. 1992 წელი.** ბარსელონაში დაიწყეს ზაფხულის XXV ოლიმპიური თამაშები. საქართველოს სპორტსმენები გამოდიოდნენ ე.წ. გაერთიანებულ გუნდში, რომელშიც შედიოდნენ უკვე დაშლის პირზე მისული სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკების სპორტული დელეგაციები.

**25 ივლისი. 2004 წელი.** პირველმა ველოსპორტის ისტორიაში ამერიკელმა **ლენს ამსტრონგმა** ზედიზედ მეექვსედ მოიგო "ტურ დე ფრანსი".

**27 ივლისი. 1997 წელი.** ამ დღეს რუსეთის მოქალაქემ **ვიქტორ კორჩნოიმ** ამსტერდამში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა.

**28 ივლისი. 1984 წელი.** ლოს-ანჯელესში გაიხსნა ზაფხულის XXIII ოლიმპიური თამაშები, რომელშიც მოსკოვის ოლიმპიადის საპასუხოდ არ მონაწილეობდა სსრ კავშირი და სოცქვეყნები.

**29 ივლისი. 1948 წელი.** ლონდონში გაიხსნა ზაფხულის XIV ოლიმპიური თამაშები. თამაშებზე მონაწილეობის უფლება არ მისცეს გერმანიასა და იაპონიას. ომით გამოწვეული ზარალისა და ნგრევის გამო სსრ კავშირმა უარი განაცხადა თამაშებში მონაწილეობაზე.

**29 ივლისი. 1962 წელი.** ეს დღე ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის ისტორიაში. ჟენევაში ევროპის ქვეყნის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში თბილისის "დინამოს" კალათბურთელებმა 90:83 მოუგეს მადრიდის "რეალს".

**30 ივლისი. 1932 წელი.** ლოს-ანჯელესში დაიწყო ზაფხულის X ოლიმპიური თამაშები.

## კვიმატი ობიექტივი



# იტალია. სერია A 2008/09. კალენდარი



## I წრე

### I ტური. 30-31 აგვისტო
ატალანტა-სიენა
კალიარი-ლაციო
კატანია-ჯენოა
კიევო-რეჯინა
ფიორენტინა-იუვენტუსი
მილანი-ბოლონია
რომა-ნაპოლი
სამპდორია-ინტერი
ტორინო-ლეჩე
უდინეზე-პალერმო

### II ტური. 14 სექტემბერი
ბოლონია-ატალანტა
ჯენოა-მილანი
ინტერი-კატანია
იუვენტუსი-უდინეზე
ლაციო-სამპდორია
ლეჩე-კიევო
ნაპოლი-ფიორენტინა
პალერმო-რომა
რეჯინა-ტორინო
სიენა-კალიარი

### III ტური. 21 სექტემბერი
კალიარი-იუვენტუსი
კატანია-ატალანტა
ფიორენტინა-ბოლონია
ლეჩე-სიენა
მილანი-ლაციო
პალერმო-ჯენოა
რომა-რეჯინა
სამპდორია-კიევო
ტორინო-ინტერი
უდინეზე-ნაპოლი

### IV ტური. 24 სექტემბერი
ატალანტა-კალიარი
ბოლონია-უდინეზე
კიევო-ტორინო
ჯენოა-რომა
ინტერი-ლეჩე
იუვენტუსი-კატანია
ლაციო-ფიორენტინა
ნაპოლი-პალერმო
რეჯინა-მილანი
სიენა-სამპდორია

### V ტური. 28 სექტემბერი
ბოლონია-ნაპოლი
კატანია-კიევო
ფიორენტინა-ჯენოა
ლეჩე-კალიარი
მილანი-ინტერი
პალერმო-რეჯინა
რომა-ატალანტა
სამპდორია-იუვენტუსი
ტორინო-ლაციო
უდინეზე-სიენა

### VI ტური. 5 ოქტომბერი
ატალანტა-სამპდორია
კალიარი-მილანი
კიევო-ფიორენტინა
ჯენოა-ნაპოლი
ინტერი-ბოლონია
იუვენტუსი-პალერმო
ლაციო-ლეჩე
რეჯინა-კატანია
სიენა-რომა
უდინეზე-ტორინო

### VII ტური. 19 ოქტომბერი
ბოლონია-ლაციო
კატანია-პალერმო
კიევო-ატალანტა
ფიორენტინა-რეჯინა
ჯენოა-სიენა
ლეჩე-უდინეზე
მილანი-სამპდორია
ნაპოლი-იუვენტუსი
რომა-ინტერი
ტორინო-კალიარი

### VIII ტური. 26 ოქტომბერი
ატალანტა-მილანი
კალიარი-კიევო
ინტერი-ჯენოა
იუვენტუსი-ტორინო
ლაციო-ნაპოლი
პალერმო-ფიორენტინა
რეჯინა-ლეჩე
სამპდორია-ბოლონია
სიენა-კატანია
უდინეზე-რომა

### IX ტური. 29 ოქტომბერი
ბოლონია-იუვენტუსი
კატანია-უდინეზე
კიევო-ლაციო
ფიორენტინა-ინტერი
ჯენოა-კალიარი
ლეჩე-პალერმო
მილანი-სიენა
ნაპოლი-რეჯინა
რომა-სამპდორია
ტორინო-ატალანტა

### X ტური. 2 ნოემბერი
ატალანტა-ლეჩე
კალიარი-ბოლონია
იუვენტუსი-რომა
ლაციო-კატანია
მილანი-ნაპოლი
პალერმო-კიევო
რეჯინა-ინტერი
სამპდორია-ტორინო
სიენა-ფიორენტინა
უდინეზე-ჯენოა

### XI ტური. 9 ნოემბერი
ბოლონია-რომა
კატანია-კალიარი
კიევო-იუვენტუსი
ფიორენტინა-ატალანტა
ჯენოა-რეჯინა
ინტერი-უდინეზე
ლაციო-სიენა
ლეჩე-მილანი
ნაპოლი-სამპდორია
ტორინო-პალერმო

### XII ტური. 16 ნოემბერი
ატალანტა-ნაპოლი
კალიარი-ფიორენტინა
კატანია-ტორინო
იუვენტუსი-ჯენოა
მილანი-კიევო
პალერმო-ინტერი
რომა-ლაციო
სამპდორია-ლეჩე
სიენა-ბოლონია
უდინეზე-რეჯინა

### XIII ტური. 23 ნოემბერი
ბოლონია-პალერმო
კიევო-სიენა
ფიორენტინა-უდინეზე
ინტერი-იუვენტუსი
ლაციო-ჯენოა
ლეჩე-რომა
ნაპოლი-კალიარი
რეჯინა-ატალანტა
სამპდორია-კატანია
ტორინო-მილანი

### XIV ტური. 30 ნოემბერი
ატალანტა-ლაციო
კალიარი-სამპდორია
კატანია-ლეჩე
ჯენოა-ბოლონია
ინტერი-ნაპოლი
იუვენტუსი-რეჯინა
პალერმო-მილანი
რომა-ფიორენტინა
სიენა-ტორინო
უდინეზე-კიევო

### XV ტური. 7 დეკემბერი
ატალანტა-უდინეზე
კალიარი-პალერმო
კიევო-რომა
ლაციო-ინტერი
ლეჩე-იუვენტუსი
მილანი-კატანია
ნაპოლი-სიენა
რეჯინა-ბოლონია
სამპდორია-ჯენოა
ტორინო-ფიორენტინა

### XVI ტური. 14 დეკემბერი
ბოლონია-ტორინო
ფიორენტინა-კატანია
ჯენოა-ატალანტა
ინტერი-კიევო
იუვენტუსი-მილანი
ნაპოლი-ლეჩე
პალერმო-სიენა
რეჯინა-სამპდორია
რომა-კალიარი
უდინეზე-ლაციო

### XVII ტური. 21 დეკემბერი
ატალანტა-იუვენტუსი
კალიარი-რეჯინა
კატანია-რომა
კიევო-ჯენოა
ლაციო-პალერმო
ლეჩე-ბოლონია
მილანი-უდინეზე
სამპდორია-ფიორენტინა
სიენა-ინტერი
ტორინო-ნაპოლი

### XVIII ტური. 11 იანვარი
ბოლონია-კიევო
ფიორენტინა-ლეჩე
ჯენოა-ტორინო
ინტერი-კალიარი
იუვენტუსი-სიენა
ნაპოლი-კატანია
პალერმო-ატალანტა
რეჯინა-ლაციო
რომა-მილანი
უდინეზე-სამპდორია

### XIX ტური. 18 იანვარი
ატალანტა-ინტერი
კალიარი-უდინეზე
კატანია-ბოლონია
კიევო-ნაპოლი
ლაციო-იუვენტუსი
ლეჩე-ჯენოა
მილანი-ფიორენტინა
სამპდორია-პალერმო
სიენა-რეჯინა
ტორინო-რომა

## II წრე

### XX ტური. 25 იანვარი
სიენა-ატალანტა
ლაციო-კალიარი
ჯენოა-კატანია
რეჯინა-კიევო
იუვენტუსი-ფიორენტინა
ბოლონია-მილანი
ნაპოლი-რომა
ინტერი-სამპდორია
ლეჩე-ტორინო
პალერმო-უდინეზე

### XXI ტური. 28 იანვარი
ატალანტა-ბოლონია
მილანი-ჯენოა
კატანია-ინტერი
უდინეზე-იუვენტუსი
სამპდორია-ლაციო
კიევო-ლეჩე
ფიორენტინა-ნაპოლი
რომა-პალერმო
ტორინო-რეჯინა
კალიარი-სიენა

### XXII ტური. 1 თებერვალი
იუვენტუსი-კალიარი
ატალანტა-კატანია
ბოლონია-ფიორენტინა
სიენა-ლეჩე
ლაციო-მილანი
ჯენოა-პალერმო
რეჯინა-რომა
კიევო-სამპდორია
ინტერი-ტორინო
ნაპოლი-უდინეზე

### XXIII ტური. 8 თებერვალი
კალიარი-ატალანტა
უდინეზე-ბოლონია
ტორინო-კიევო
რომა-ჯენოა
ლეჩე-ინტერი
კატანია-იუვენტუსი
ფიორენტინა-ლაციო
პალერმო-ნაპოლი
მილანი-რეჯინა
სამპდორია-სიენა

### XXIV ტური. 15 თებერვალი
ნაპოლი-ბოლონია
კიევო-კატანია
ჯენოა-ფიორენტინა
კალიარი-ლეჩე
ინტერი-მილანი
რეჯინა-პალერმო
ატალანტა-რომა
იუვენტუსი-სამპდორია
ლაციო-ტორინო
სიენა-უდინეზე

### XXV ტური. 22 თებერვალი
სამპდორია-ატალანტა
მილანი-კალიარი
ფიორენტინა-კიევო
ნაპოლი-ჯენოა
ბოლონია-ინტერი
პალერმო-იუვენტუსი
ლეჩე-ლაციო
კატანია-რეჯინა
რომა-სიენა
ტორინო-უდინეზე

### XXVI ტური. 1 მარტი
ლაციო-ბოლონია
პალერმო-კატანია
ატალანტა-კიევო
რეჯინა-ფიორენტინა
სიენა-ჯენოა
უდინეზე-ლეჩე
სამპდორია-მილანი
იუვენტუსი-ნაპოლი
ინტერი-რომა
კალიარი-ტორინო

### XXVII ტური. 8 მარტი
მილანი-ატალანტა
კიევო-კალიარი
ჯენოა-ინტერი
ტორინო-იუვენტუსი
ნაპოლი-ლაციო
ფიორენტინა-პალერმო
ლეჩე-რეჯინა
ბოლონია-სამპდორია
კატანია-სიენა
რომა-უდინეზე

### XXVIII ტური. 15 მარტი
იუვენტუსი-ბოლონია
უდინეზე-კატანია
ლაციო-კიევო
ინტერი-ფიორენტინა
კალიარი-ჯენოა
პალერმო-ლეჩე
სიენა-მილანი
რეჯინა-ნაპოლი
სამპდორია-რომა
ატალანტა-ტორინო

### XXIX ტური. 22 მარტი
ლეჩე-ატალანტა
ბოლონია-კალიარი
რომა-იუვენტუსი
კატანია-ლაციო
ნაპოლი-მილანი
კიევო-პალერმო
ინტერი-რეჯინა
ტორინო-სამპდორია
ფიორენტინა-სიენა
ჯენოა-უდინეზე

### XXX ტური. 5 აპრილი
რომა-ბოლონია
კალიარი-კატანია
იუვენტუსი-კიევო
ატალანტა-ფიორენტინა
რეჯინა-ჯენოა
უდინეზე-ინტერი
სიენა-ლაციო
მილანი-ლეჩე
სამპდორია-ნაპოლი
პალერმო-ტორინო

### XXXI ტური. 11 აპრილი
ნაპოლი-ატალანტა
ფიორენტინა-კალიარი
ტორინო-კატანია
ჯენოა-იუვენტუსი
კიევო-მილანი
ინტერი-პალერმო
ლაციო-რომა
ლეჩე-სამპდორია
ბოლონია-სიენა
რეჯინა-უდინეზე

### XXXII ტური. 19 აპრილი
პალერმო-ბოლონია
სიენა-კიევო
უდინეზე-ფიორენტინა
იუვენტუსი-ინტერი
ჯენოა-ლაციო
რომა-ლეჩე
კალიარი-ნაპოლი
ატალანტა-რეჯინა
კატანია-სამპდორია
მილანი-ტორინო

### XXXIII ტური. 26 აპრილი
ლაციო-ატალანტა
სამპდორია-კალიარი
ლეჩე-კატანია
ბოლონია-ჯენოა
ნაპოლი-ინტერი
რეჯინა-იუვენტუსი
მილანი-პალერმო
ფიორენტინა-რომა
ტორინო-სიენა
კიევო-უდინეზე

### XXXIV ტური. 3 მაისი
უდინეზე-ატალანტა
პალერმო-კალიარი
რომა-კიევო
ინტერი-ლაციო
იუვენტუსი-ლეჩე
კატანია-მილანი
სიენა-ნაპოლი
ბოლონია-რეჯინა
ჯენოა-სამპდორია
ფიორენტინა-ტორინო

### XXXV ტური. 10 მაისი
ტორინო-ბოლონია
კატანია-ფიორენტინა
ატალანტა-ჯენოა
კიევო-ინტერი
მილანი-იუვენტუსი
ლეჩე-ნაპოლი
სიენა-პალერმო
სამპდორია-რეჯინა
კალიარი-რომა
ლაციო-უდინეზე

### XXXVI ტური. 17 მაისი
იუვენტუსი-ატალანტა
რეჯინა-კალიარი
რომა-კატანია
ჯენოა-კიევო
პალერმო-ლაციო
ბოლონია-ლეჩე
უდინეზე-მილანი
ფიორენტინა-სამპდორია
ინტერი-სიენა
ნაპოლი-ტორინო

### XXXVII ტური. 24 მაისი
კიევო-ბოლონია
ლეჩე-ფიორენტინა
ტორინო-ჯენოა
კალიარი-ინტერი
სიენა-იუვენტუსი
კატანია-ნაპოლი
ატალანტა-პალერმო
ლაციო-რეჯინა
მილანი-რომა
სამპდორია-უდინეზე

### XXXVIII ტური. 31 მაისი
ინტერი-ატალანტა
უდინეზე-კალიარი
ბოლონია-კატანია
ნაპოლი-კიევო
იუვენტუსი-ლაციო
ჯენოა-ლეჩე
ფიორენტინა-მილანი
პალერმო-სამპდორია
რეჯინა-სიენა
რომა-ტორინო

მწვრთნელი

# მაკლარენის ჰოლანდიური ნავსაყუდელი

## ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი სულაც არ არის ისეთი ცუდი ტიპი, როგორადაც მას ხატავდნენ...



სტივ მაკლარენი

"თაიმსის" მიმომხილველმა ჯონათან ნორტკროფტმა სტივ მაკლარენს "ტვენტეს" მთავარ მწვრთნელად დანიშვნა მიულოცა. ჟურნალისტმა იმ სპეციფიკურ გარემოებებზე გაამახვილა ყურადღება, რაც პროვინციულ ჰოლანდიურ ქალაქებში მუშაობას ახლავს. სტატიის ავტორს არც ის დავიწყნია, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაცს ფრედ რუტენისგან შესანიშნავი მემკვიდრეობა ერგო. ამ უკანასკნელმა, მოგეხსენებათ, უფრო პრესტიჟული სამუშაო იშოვა. ის გელზენკირხენის "შალკეს" დამრიგებელია.

პატარა ჰოლანდიური ქალაქი ჰენგელო, სადაც 80 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ენსხედესთან (მოსახლეობა 160 ათასი) ახლოს მდებარეობს. ორივე ოვერიიზელის რეგიონის ნაწილია. ეს რეგიონი ჰოლანდიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და გერმანიას ესაზღვრება. პატარა და წყნარ ჰენგელოში საფეხბურთო კლუბ "ტვენტეს" საწვრთნელი ბაზა მდებარეობს.

საერთოდ, "ტვენტე" არ არის იმ დონის კლუბი, სადაც მწვრთნელმა ინგლისის ნაკრების შემდეგ უნდა იმუშაოს, მაგრამ **სტივ მაკლარენს** გარემოს რადიკალური შეცვლა არ აშინებს. სტივი იყო სერ **ალექს ფერგიუსონის** თანაშემწე სწორედ მაშინ, როცა "მანჩესტერ იუნაიტედი" ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა. შემდეგ მან "მიდლსბრო" ჩაიბარა და 2006 წლის მაისში უეფას თასის ფინალში გაალწია. შემდეგ იყო უსახური ორი წელიწადი ინგლისის ეროვნულ გუნდში და აი, მორიგი გაჩერება, "ტვენტე". *"ხანდახან მიზნის მისაღწევად ძალიან დიდი გზის გავლაა საჭირო,* – ამბობს მაკლარენი – *მე, როგორც ფეხბურთელს, საამაყო შედეგებისთვის არ მიმიღწევია, მაგრამ, მსურს, სამწვრთნელო ასპარეზზე ყველაფერი სხვაგვარად იყოს. მწვრთნელობისას, 10-დან 9 შემთხვევაში ყოველთვის ვაღწევდი მიზანს. სამწუხაროდ, ინგლისის ნაკრებში ძალიან არ გამიმართლა. კითხვაზე, თუ რა იქნება ხვალ, შემიძლია, მხოლოდ გავიღიმო. გარწმუნებთ, შემეძლო ინგლისში დავრჩენილიყავი, მაგრამ ძალების უცხოეთში მოსინჯვა გადავწყვიტე. სერ ბობი რობსონმა დამარწმუნა, რომ ძალიან მალე შევიყვარებ ჰოლანდიას, რადგან აქ არ არის ისეთი ზეწოლა და ხმაური პრესის მხრიდან, როგორიც ინგლისში. სერ ბობიმ მითხრა, რომ აქ მელის იდეალური სამუშაო პირობები, სიმშვიდე და მატჩები შაბათ დღეს. მეტი არაფერი. ასეთი სიტყვების შემდეგ გადაწყვეტილების მისაღებად დიდი დრო არ დამჭირვებია."*

მაკლარენს მართლა შეეძლო სამშობლოში დარჩენა, რადგან მას "ბლექბერნი" იწვევდა, მაგრამ ჰოლანდიელებმა მოულოდნელად სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს. სარფიანი ფინანსურადაც (მისი წლიური ხელფასი 800 ათასი გირვანქით განისაზღვრა) და სიტუაციის თვალსაზრისითაც. "ტვენტეს" პრეზიდენტ **იააპ მიუნსტერმანთან** საუბრისა და სერ **ბობი რობსონთან** კონსულტაციის შემდეგ, სტივმა გადაწყვეტილება ძალიან ადვილად მიიღო. **ფრედ რუტენმა** მას ფანტასტიკურად აწყობილი გუნდი დაუტოვა. გუნდის ფინანსურმა დირექტორმა **პიტერ სპიტმა** მაკლარენის დანიშვნის შემდეგ განაცხადა: *"გვჭირდებოდა მწვრთნელი, ვისაც ბოლომდე ჩამოყალიბებული საფეხბურთო ხედვა ექნებოდა. ისეთი სპეციალისტი, ვინც ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შანსს მისცემდა და გუნდს მთელ თავისუფალ დროს დაახარჯავდა. მაკლარენის დანიშვნის მიზანს მივაღწიეთ."*

ჰენგელოცა და ენსხედეც იმდენად პატარა ქალაქებია, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი და მწვრთნელი იქ განსაკუთრებულს ვერაფერს აღმოაჩენს. "ტვენტეში" საქმეზე კონცენტრაცია ძალიან ადვილია. მაკლარენსაც მეტი რა უნდოდა? *"დღე-ღამეში 24 საათი და კვირაში 7 დღე ფეხბურთით ვარ დაკავებული. ახლა წინასასეზონო სამზადისი გვაქვს. სამუშაო არ მელევა. ჰოლანდიური კლუბების თამაშის მანერა უნდა შევისწავლო. იმდენი საქმე გამომიჩნდა, რომ... რა დაგიმალოთ და, ბოლო ხანებში სწორედ ასეთი რეჟიმი მომენატრა, განსაკუთრებით ნაკრებიდან წამოსვლის მერე. საკლუბო მწვრთნელი ყოველთვის უფრო მეტადაა დაკავებული, ვიდრე სანაკრებო. ახლანდელი ცხოვრებით ძალიან კმაყოფილი ვარ."* მართლაც, სად არ ნახავდით ნაკრებიდან დათხოვნილ სტივს. ხან ამერიკაში მიფრინავდა ლექციების წასაკითხად, ხან წამყვან ევროპულ კლუბებს სტუმრობდა ცოდნის გასაღრმავებლად. *"ბევრად უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს მაშინ, როდესაც თავისუფალი დრო არ მაქვს. გარწმუნებთ, სანაკრებო თავგადასავალის დასრულების მეორე დღესვე მზად ვიყავი, ახალი საქმისთვის მომეკიდა ხელი,"* – ამბობს მაკლარენი.

როდესაც "გროლშ ვესტე არენას" უყურებ, ძნელი არაა, დაასკვნა, თუ რამ მოხიბლა ასე ძლიერ ინგლისელი სპეციალისტი. ენსხედეში სრული სვლით მიდის სტადიონის რეკონსტრუქცია და მალე მისი ტევადობა 12 ათასიდან 25 ათასამდე გაიზრდება. 2009 წლის ბოლომდე სტადიონი სულ მთლად 31 ათას მაყურებელს დაიტევს. თუ 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ჰოლანდიაში ჩაატარებენ, კლუბის ბოსები სტადიონს 43 ათასამდე გაზრდიან. *"ჩვენ ახალგაზრდა და ამბიციური კლუბი გვყავს. ვიცით, რას უნდა მივაღწიოთ და როგორ. გვჯერა, რომ რეგიონის ხელმძღვანელობა, ადგილობრივი კომპანიები და საბანკო სექტორი სტადიონის მოდერნიზაციის საქმეში გვერდში დაგვიდგება. ამით მთელი ოვერიიზელის განვითარებას შევუწყობთ ხელს,"* – აცხადებენ კლუბის ხელმძღვანელები.

მაკლარენს "ტვენტეს" შარშანდელი შემადგენლობიდან აღარ ეყოლება "ფეიენოორდში" გადასული **ქარიმ ელ-აჰმადი** და ჰოლანდიის ნაკრების წევრი, ან უკვე "შალკეს" წევრი **ორლანდო ენგელაარი**. გუნდს, ალბათ, გაუჭირდება ინგლისური პრემიერლიგიდან მწვრთნელისთვის მოსაწონი ფეხბურთელების გადაბირება, რადგან აქ საშუალო კვირეული ანაზღაურება 3 500 გირვანქაა. ამის მიუხედავად, მაკლარენმა პირადი კონტაქტების გამოყენებით, ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გაუფორმა საკმაოდ პერსპექტიულ ფეხბურთელს. ესაა "ჩელსის" სერბი მცველი, 19 წლის **სლობოდან რაიკოვიჩი**. "ტვენტემ" შეინარჩუნა გუნდის ბოლო წლების უცვლელი ბომბარდირი, შვეიცარიელი **ბლეზ კუფო**. აქვეა ოდესღაც მაკლარენის ხელმძღვანელობით "მიდლსბროში" მოასპარეზე ავსტრალიელი **ლუკ უილკშაიერი**. დიდი ამბიციების მიუხედავად, არც ჩემპიონატში და არც ჩემპიონთა ლიგაში მაკლარენის გუნდისგან სასწაულებს არავინ ელის. ენსხედეში კლუბის შე'აძლებლობებს ობიექტურად აფასებენ. *"ფინასური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ვერ შევედრებით "ეინდჰოვენს", "აიაქსსა" და "ფეიენოორდს", მაგრამ თავისუფლად შეგვიძლია მეოთხე-მეხუთე ადგილებისთვის ბრძოლა. შარშან რუტენმა სასწაული მოახდინა და გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა. მე კი აქ იმისთვის ვარ, რომ "ტვენტემ" შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენოს,"* – დაამატა მაკლარენმა.

"ტვენტეს" მწვრთნელს ძალიან უყვარს ახალ სამუშაო გარემოზე საუბარი. მას დაუღალავად შეუძლია, ილაპარაკოს ფეხბურთელების ტექნიკასა და ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელ პოტენციალზე, მაგრამ არ უყვარს, როდესაც წარსულს ახსენებენ. ერთადერთი კომენტარი, რაც მას ბოლო ორი წლის შესახებ გააკეთა, ეს იყო: *"ვერ მოგატყუებთ, რომ ინგლისური პრესის ჩემდამი დამოკიდებულება მომწონდა, მაგრამ თავიდანვე შეგუებული ვიყავი, რომ ასეთ დღეში აღმოვჩნდებოდი. გაიხსენეთ, სვენ გორან ერიქსონსაც ასე ეპყრობოდნენ. გარწმუნებთ, მე არ ვარ ისეთი ცუდი ტიპი, როგორის დახატვასაც თვეების განმავლობაში ცდილობდნენ."*

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ტრანსფერები

# რაიტ-ფილიპსი პორტსმუთში მიდის

## ინგლისელები მუნტარის ინტერში ყიდიან...


შონ რაიტ-ფილიპსი

**შონ რაიტ-ფილიპსი** "პორტსმუთში" გადადის. **ჰარი რედნაპი** ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს ლონდონში დაბრუნებისთანავე შეიძენს. რაიტ-ფილიპსი "ჩელსისთან" ერთად, აღმოსავლურ ტურნეში იმყოფება. ლონდონელები მოსკოვშიც შეივლიან და ორ მატჩს ჩაატარებენ. "პორტსმუთი" ფეხბურთელის სანაცვლოდ 11 მილიონ გირვანქას გადაიხდის, ზუსტად იმდენს, რამდენიც ლივერპულელი **პიტერ კრაუჩი** დაუჯდა. "პორტსმუთს" ტრანსფერში ამხელა თანხა არასოდეს გადაუხდია. რაიტ-ფილიპსი და კრაუჩი კლუბის ყველა დროის უძვირფასესი მოთამაშეები იქნებიან.

ჰარი რედნაპმა, კლუბის მფლობელ ალექსანდრ გაიდამაკის ფინანსური მხარდაჭერით, საუცხოო შემადგენლობას მოუყარა თავი. ძვირადღირებული ახალწვეულების გარდა, "პორტსმუთში" ირიცხებიან **ჯერმეინ დეფო, დევიდ ჯეიმსი, გლენ ჯონსონი** და **სოლ კემპბელი**. უკლებლივ ყველა მათგანი ინგლისის ნაკრების კანდიდატია. ბრიტანელი მიმომხილველები ხუმრობენ, **ფაბიო კაპელოს** "პორტსმუთის" საშინაო თამაშებზე დასასწრებად სეზონური აბონემენტის შეძენა მართებსო.

"პორტსმუთი" ერთ ფეხბურთელს გამოეთხოვება. განელი ნახევარმცველი **სულეიმან მუნტარი** "ინტერში" გადადის. მილანელები 12.7 მილიონ გირვანქას იხდიან. ფეხბურთელმა ინგლისელ გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა, "ინტერის" შემოთავაზებაზე უარის თქმა არ შემეძლოო.

ის "ნერაძურის" ოთხწლიან კონტრაქტზე მოურიგდა. მუნტარის ტრანსფერი იმის მანიშნებელი იქნება, რომ იტალიელებმა **ფრენკ ლემპარდზე** ნადირობა შეწყვიტეს. ესე იგი, "ჩელსის" ვარსკვლავი ლონდონელებთან ნამდვილად გააფორმებს ახალ კონტრაქტს. "პორტსმუთმა" მუნტარი გასულ ზაფხულს "უდინეზედან" შეიძინა. ინგლისელებმა 5.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ერთ წელიწადში ფეხბურთელის ფასი ორჯერ და მეტად გაიზარდა. მილანელები მას წელიწადში 3 მილიონ ევროს დაუნიშნავენ.

ინტერი

# მოურინიოს პირველი გამარჯვება

## მინიმალური ანგარიში, მაგრამ მაინც წარმატება სადებიუტო მატჩში

**ჟოზე მოურინიომ** "ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. იტალიელებმა საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე საუდის არაბეთის ჩემპიონ "ალ ჰილალს" უმასპინძლეს და მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს. მოურინიომ პირველსა და მეორე ტაიმებში სხვადასხვა შემადგენლობა ათამაშა. პირველ წუთებზე, "ნერაძურის" თავდასხმაში ვიხილეთ **ადრიანოს, ლუიშ ფიგუსა** და **მარიო ბალოტელის** ტრიო. დაცვაში არგენტინელი **ნიკოლას ბურდისოს** გვერდით, ახალბედა **დავიდე სანტონმა** და **ფრანჩესკო ბოლცონიმ** ითამაშეს. ბოლცონი პირველსავე ნახევარში შეცვალა ფრანგმა თავდამსხმელმა **ჯონათან ბიაბიანიმ**, რომელმაც გასული სეზონი სერია B-ს "მოდენაში" გაატარა.

მილანში ძალიან ცხელოდა. "ინტერმა" შეხვედრა მძიმედ ჩაატარა. სტუმრებმა გაუგონარი უხეშობით გამოიჩინეს თავი. ამიტომაც იტალიელები ფიზიკურ ორთაბრძოლებს ერიდებოდნენ. ადრიანო სქემიდან იყო ამოვარდნილი. მან მეტოქის კართან ერთი ღირებული მომენტიც კი ვერ შექმნა. "ინტერმა" გოლი ტაიმის მიწურულს გაიტანა. ბურდისო ბალოტელის ჩაწოდებულ საჯარიმოს გამოეხმაურა და თავური დარტყმით შეაგდო.

შესვენების შემდეგ, "ინტერის" შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა **ამანტინო მანსინი**. თამაშში ჩაერთვნენ **ხულიო კრუსი** და **ერნან კრესპო**. არგენტინელმა თავდამსხმელმა გოლიც შეაგდო, მაგრამ არ ჩაუთვალეს. არშემდგარი გოლისას კრესპოს ბოლო პასი **დუგლას მაიკონმა** გაუკეთა. მანსინიმ და შეცვლაზე შესულმა კიდევ ერთმა გარემარბმა **ლუის ხიმენესმა** თამაში ცოტა გამოაცოცხლეს, მაგრამ მატჩის მიწურულს ტემპი ისევ დავარდა. საბოლოოდ, უფერული, მაგრამ მაინც წარმატება არცთუ ისე ძლიერ გუნდთან. ახალი სეზონისთვის ინტენსიური მზადება გრძელდება. დასასრულს, "ინტერის" შემადგენლობა:

**პირველი ტაიმი:** ჟულიო სეზარი, სანტონი, ბურდისო, პელე, ბოლცონი (ბიაბიანი), ვიეირა, კამბიასო, ძანეტი, ფიგუ, ადრიანო, ბალოტელი.

**მეორე ტაიმი:** ტოლდო, მაიკონი, მეი, მატერაცი, მაქსველი, დაკური, სტანკოვიჩი, ხიმენესი, მანსინი, კრუსი, კრესპო.

**გოლი:** 1:0 ბურდისო (45).

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



დორტმუნდი

# კლოპომანია ვესტფალიაში

## ბორუსიას სახე დაუბრუნდა

რაოდენ ცოტა რამ არის საჭირო ბედნიერებისთვის - ის, რაც **თომას დოლმა** წელინადნახევარში ვერ მოახერხა, მისმა შემცვლელმა **იურგენ კლოპმა** ზუსტად სამ კვირაში შეძლო: დორტმუნდის "ბორუსიის" ახალმა დამრიგებელმა ვესტფალიურ კლუბს თავისი სახე დაუბრუნა და ფანებს ძალიან მოკლე დროში თავი სიგიჟემდე შეაყვარა. ცხადია, რომ არა "ბაიერნის" დამარცხება, ეიფორია არ შედგებოდა და მხოლოდ "ბაიერნის" დამარცხებაც ვერანაირად ვერ იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ "ბორუსიის" ამაყ, მაგრამ წლების განმავლობაში გაწამებულ გულშემატკივრებს მწვრთნელი ასე მალე შეეყვარებინათ. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის გახლდათ, რომ გუნდმა ფეხბურთი ითამაშა, აგრესიული და შემტევი ფეხბურთი - ზუსტად ისეთი, როგორსაც ფანები ნატრულობდნენ.

ერთი სიტყვით, პირველმა ტიტულმა დორტმუნდში კლოპომანია გამოიწვია. დაახლოებით მე-60 წუთისთვის ქომაგებმა მწვრთნელის გვარის სკანდირება დაიწყეს და ასე გაგრძელდა საფინალო სასტვენამდე. დღეს დორტმუნდელები ტურინის "იუვენტუსთან" მართავენ ტესტ-მატჩს და იოლი წარმოსადგენია, რა მოხდება, "კლოპომ" ეს შეხვედრაც რომ მოიგოს. ყოველ შემთხვევაში, "ბაიერნის" დამარცხების შემდეგ, ამ შეხვედრაზე დასასწრები ბილეთები ორმაგად იყიდება და "ბორუსია" "ვესტფალენშტადიონზე" დაახლოებით 60 000 ქომაგს ელის. მაგრამ მწვრთნელს ისიც კარგად ესმის, რომ ეიფორია სულაც არ არის სასარგებლო და შეგირდებს დამშვიდებისკენ მოუწოდებს.

"ბაიერნთან" გამორჩეული ფიგურა იყო ახალწვეული **ტამაშ ჰაინალი** - 27 წლის ნახევარმცველი, რომელმაც "ბორუსიას" "კარლსრუედან" მიაშურა. პლეიმეიქერმა იდეალური პასებიც მრავლად არიგა და ერთი გოლი თვითონ გაუტანა **მიხაელ რენზინგს** - 20 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა უზადოდ შეასრულა. ჰაინალი: *"მწვრთნელის ფილოსოფიას მივყვებით და შედეგიც სახეზეა. ის ძალიან კარგად უხსნის თითოეულ ჩვენგანს, რასაც ნიშნავს "ბორუსიის" ფორმით ფეხბურთის თამაში."*

"დორტმუნდი" ყოველთვის ძალიან ამაყი გუნდი იყო და ასეთივე ფანებიც ჰყავდა. მიუხედავად ოთხწლიანი თვლემისა, უკვე გამოჩნდა, რომ სიამაყის გრძნობა არსად გამქრალა. თანაც, კლოპი ზუსტად ის კაცია, ვინც ამ გუნდს და მის ფილოსოფიას (მდგომარეობასაც) ზედმიწევნით ზუსტად უნდა მოერგოს. ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ დორტმუნდელები უფრო და უფრო თავდაჯერებულებიც ხდებიან.

"ბაიერნთან" იდეალურად ითამაშა და თითქმის უშეცდომო იყო "ბორუსიის" დაცვის ცენტრი, სადაც 19 წლის ბიჭები, **მატს ჰუმელსი** და **ნევენ სუბოტიჩი** თამაშობდნენ. ბუნდესლიგაში ორივეს ერთად მხოლოდ 15 მატჩი აქვთ ჩატარებული. მიუხედავად ამისა, ჰუმელსმა (სხვათა შორის, "ბაიერნიდანაა" არენდით აყვანილი) და სუბოტიჩმა **მიროსლავ კლოზესა** და **ლუკა ტონის** არაფერი გააბედინეს. სუბოტიჩი: *"ჩვენთვის აბსოლუტურად სულერთია, რამდენი ვარსკვლავი აქვს მეტოქეს მკერდზე. ნაღდად არავისი გვეშინია!"*

მას მერე, რაც "ბორუსიამ" მოსამზადებელი შეკრება დაიწყო, სულ რაღაც 3 კვირა გავიდა და ცოტა არ იყოს, გასაკვირია ის, რომ გუნდი უკვე ძალიან კარგ ფორმაშია. კლოპის ბიჭები განსაკუთრებით პირველ ტაიმში გამოიყურებოდნენ კარგად. სწრაფი ტემპი, სწრაფი პასები, მუდმივად მეტოქის კარის მისადგომების ძებნა. თანაც, გუნდმა ტაქტიკურად ძალიან კარგად ითამაშა და მწვრთნელმაც რამდენჯერმე შეცვალა სტრატეგია. თავიდან, 4-4-2-ით დაიწყო, მაგრამ დროდადრო ეს ტაქტიკა 4-3-3-ად გადაკეთდებოდა ხოლმე. პირველ შემთხვევაში, ორი ფორვარდის (**პეტრიჩი-ვალდესი**) უკან ჰაინალი ირჯებოდა, მეორე შემთხვევაში კი, ჰაინალი ოდნავ უკან იხევდა, პეტრიჩი მარცხენა ფლანგზე გადადიოდა, მარჯვენა ფორვარდად კი **იაკუბ (კუბა) ბლაშჩიკოვსკი** გვევლინებოდა. თანაც, კლოპმა ძალიან მალე იყნოსა, რომ "ბაიერნს" დაცვის მარცხენა ფლანგზე, სადაც **კრისტიან ლელი** თამაშობდა, პრობლემები ჰქონდა. შესაბამისად, დორტმუნდელებმა ეს უკანასკნელი უმძიმესი წნეხის ქვეშ მოაქციეს. *"ბიჭებმა შესანიშნავად იბრძოლეს, ჩემი მითითებები ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს,"* - აღნიშნა ნამატჩევს იურგენმა.

ქება განსაკუთრებით ჰუმელსმა და სუბოტიჩმა დაიმსახურეს. ამ უკანასკნელმა, ბავარიელი ტიმ ბოროვსკის განცხადებას (*"სეზონის სტარტს აუცილებლად კარგ ფორმაში მყოფები შევხვდებით"*), შემდეგი კომენტარით უპასუხა: *"ლოგიკურად, თუ ორივე გუნდი ერთნაირად მოუმატებს, მეორე ტურშიც ჩვენ უნდა მოვიგოთ."*

შავ-ყვითელი ფერები, კლოპი, ძველი სიამაყე და ეიფორია - დორტმუნდში რაღაც ძალიან კარგი ხდება...

**გოტფრიდ ლენცი**



დორტმუნდელი კლოპი უკვე დიდი კაცია

ინტერვიუ დიეგო მარადონასთან

# მესი ცუდად იქცევა

## ლეო ლაპორტასთან უნდა მივიდეს და კატეგორიულად უთხრას, მე არგენტინელი ვარ და სამშობლოს ვჭირდებიო



**გუშინ, დიეგო მარადონა არგენტინელი ჟურნალისტების წინაშე წარსდგა. დიდი ხანია, ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას პრესკონფერენცია არ გაუმართავს. როგორც ყოველთვის, ღვთაებრივმა დიეგომ ძალიან საინტერესოდ ისაუბრა. პირველ რიგში, მან ლეო მესისა და ოლიმპიურ თამაშებზე გაამახვილა ყურადღება. მოგეხსენებათ, "ბარსელონა" არგენტინელ ვარსკვლავს პეკინში ცოცხალი თავით არ უშვებს. არგენტინის საფეხბურთო ასოციაცია კი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ლეო ოლიმპიურ გუნდში ჩართოს. დაპირისპირებამ იმდენად დიდი მასშტაბი შეიძინა, საქმეში ფიფა ჩაერთო. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური თამაშები ამ ორგანიზაციის ოფიციალურ კალენდარში არ შედის, ზეპ ბლატერმა "ბარსელონის" მესვეურებს რეკომენდაციით მიმართა, არგენტინელს პრობლემას ნუ შეუქმნით და ლეო გაუშვითო. უნდა ითქვას, რომ ეს ფრიად უჩვეულო რეკომენდაციაა, რადგან ჩვეულებისამებრ, ბლატერი თავს არიდებს ხოლმე კლუბებისთვის საკუთარი აზრის მოხვევას. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ფიფას რეგლამენტით არც ერთი გუნდი ვალდებული არ არის, ესა თუ ის ფეხბურთელი ოლიმპიადაზე მიავლინოს. ამის გათვალისწინებით, ბლატერის გამოხდომას კატალონიურმა პრესამ ფრიად მკაცრი შეფასება მისცა. იქაური ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ფიფას პრეზიდენტი ხულიო გრონდონას უმაგრებს ზურგს. როგორც იცით, არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი, ამავდროულად, ფიფას ვიცე-პრეზიდენტიცაა. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, კატალონიური მედია კლანურ გარიგებაზე საუბრობს. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა მარადონას პოზიცია ფიფას ოფიციალური პირების შეხედულებას დაემთხვა. დიეგომ პირდაპირ განაცხადა, მესის თუ სამშობლოსთვის გული უძგერს, "ბარსელონას" უარი უნდა უთხრას და პეკინში წავიდესო. ფეხბურთის ლეგენდამ სხვა საინტერესო საკითხებზეც ისაუბრა.**

**- მესის გამო ოლიმპიურმა ნაკრებმა საზოგადოების უდიდესი ყურადღება მიიპყრო. ასეთი აჟიოტაჟი მხოლო და მხოლოდ მუნდიალების დაწყებამდეა ხოლმე. შექმნილ სიტუაციას როგორ შეაფასებთ?**

- მე პირდაპირ ვიტყვი, რომ ლეო მესი ცუდად იქცევა. მას ხასიათის სიმტკიცე არ გამოარჩევს. პირადად მე, სულ სხვანაირად ვილაპარაკებდი. არგენტინელი ფეხბურთელისთვის არგენტინის ნაკრებზე მნიშვნელოვანი არაფერი არ არის. სულაც არ მაინტერესებს, ეროვნულ გუნდზეა საუბარი, ოლიმპიურ ნაკრებზე თუ დაბალ ასაკობრივ კოლექტივებზე. როცა სამშობლოდან გიხმობენ, ჩემოდნები უნდა ჩაალაგო და პირველივე რეისით გამოფრინდე. სამწუხაროდ, მესი ასე არ იქცევა.

**- სათქმელად იოლია, მაგრამ ლეომ თქვენი რეკომენდაცია რომ გაითვალისწინოს და მართლა წამოვიდეს, "ბარსელონა" მკაცრად დასჯის.**

- სისულელეა. "ბარსელონა" მხოლოდ იმ შემთხვევაში დასჯის, თუ კლუბის ხელმძღვანელობას არ დაელაპარაკება და ჩუმად გამოიპარება. მესი პირდაპირ ლაპორტასთან უნდა მივიდეს და კატეგორიულად უთხრას, მე არგენტინელი ვარ და სამშობლოს ვჭირდებიო. გამორიცხულია, ამ შემთხვევაში "ბარსას" პრეზიდენტი უარს არ ეტყვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ლეოზე გულში ბოღმას ჩაიდებს. როგორც ჩანს, ჩემს პატარა მეგობარს სწორედ ეს აშინებს. არ ვიცი, მისი საქმეა, მაგრამ მე ასეთ სიმხდალეს ვერასოდეს გავიგებ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ლეოს ადგილზე სულ სხვანაირად მოვიქცეოდი. სხვათა შორის, მოვქცეულვარ კიდეც. როცა "ბარსელონაში" ვთამაშობდი, პრიორიტეტს ყოველთვის ნაკრებს ვანიჭებდი. კატალონიური გრანდის მაშინდელი პრეზიდენტი ადამიანის გარდა ყველაფერი იყო. ლაპორტა მასთან შედარებით სათნო და გულმოწყალე კაცია. პრეზიდენტი ყველაფერს მიკრძალავდა, მათ შორის, ნაკრებში თამაშსაც. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ფიფასთვის ხმა რომ მიმეწვდინა, ცუდად წაუვიდოდა საქმე. მიუხედავად ამისა, მაინც მავიწროვებდა. ბუნებრივია, ოფიციალურად არ ამბობდა, მაგრამ პირად საუბრებში კატეგორიულად მოითხოვდა, "ალბისელესტეზე" უარი მეთქვა. ჰკითხეთ მას და დაგიდასტურებთ, ერთხელ „ბარსელონის" პრეზიდენტის თავხედობა ყელში ამომივიდა და პირში მივახალე, წადი შენი, ფეხებზე მკიდიხარ, რაც გინდა ის ქენი, მე არგენტინაში მაინც წავალ-მეთქი. ჭკუიდან გადავიდა, რადგან ასეთ პირდაპირობას არ ელოდა. ვერც მიჩივლა. იმიტომ, რომ თავად წაუვიდოდა საქმე ცუდად. მაშინვე ფიფას შევეხმიანებოდი და ვეტყოდი, რომ ნაკრებში წასვლის უფლებას არ მაძლევდნენ.

**- დიეგო, მესის ძალადობისკენ უბიძგებთ. ლეო ერთი პატარა, მორიდებული ბიჭია.**

- რა სისულელეა, მე არ მითქვამს, რომ მესი ლაპორტასთან უნდა მივიდეს და აგინოს. კარგად გაიგეთ, "ბარსელონის" ამჟამინდელი და მაშინდელი პრეზიდენტები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ლაპორტას, რა თქმა უნდა, საკუთარი ამოცანები და მიზნები აქვს. ის კატალონიელია, შესაბამისად, არგენტინის ბედ-იღბალი ნაკლებად აინტერესებს. ამ სიტუაციაში მესიმ უნდა გამოიჩინოს ვაჟკაცობა. დარწმუნებული ვარ, კატეგორიულად რომ დასვას საკითხი და ოლიმპიურ ნაკრებში გაშვება მოითხოვოს, კლუბის მესვეურები გარკვეულ პრობლემებს შეუქმნიან და ცუდი თვალით შეხედავენ. მაგრამ სამშობლოს პატრიოტი ამ მსხვერპლზე აუცილებლად უნდა წავიდეს. მესისთან ერთად ჩვენს ოლიმპიურ ნაკრებს ოქროს მედლის მოპოვება ერთიორად გაუადვილდება. ახლა თქვენ მიპასუხეთ, ჩემთვის, როგორც არგენტინელისთვის, რა უფრო მნიშვნელოვანია, ოლიმპიური ოქრო თუ "ბარსელონის" პრესტიჟი? მგონი, აქ საკითხავი არაფერია.

**- დავუშვათ, მესი ლაპორტას დაელაპარაკა და უარი უთხრა. მერე რაღას იტყვით?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თუ ლეო ოლიმპიურ ნაკრებში თამაშს მოისურვებს, აუცილებლად ითამაშებს. ის პრეზიდენტს უნდა დაელაპარაკოს. ეს არის ერთადერთი სწორი გზა. უკიდურეს შემთხვევაში, მესის მკაცრად უპასუხებენ და გააფრთხილებენ არგენტინაზე ხმა აღარ დაძრაო. ამით სიტუაცია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გართულდება, მაგრამ გამოსავალი ყოველთვის არსებობს. ბოლოს და ბოლოს, ძალიან თუ აუხირდებიან, უნდა ადგეს და სხვა კლუბში გადავიდეს. ამით "ბარსელონა" უფრო წაგებული დარჩება.

**- მესისთან პირადად დალაპარაკებას ხომ არ აპირებთ?**

- ვერ გეტყვით. მე მამამისი არ ვარ, რომ ჭკუა დავარიგო. უბრალოდ, მესის არ მესმის. საქმე ასე არ უნდა გართულებულიყო. კატალონიელებს ახლა კოზირი აქვთ, რადგან ჩაგრული კლუბის იმიჯი შეიქმნეს. თითქოს, ხულიო გრონდონა კატალონიურ გრანდს ავიწროვებს. ლეო პატარა ბიჭია და ალბათ, გამოცდილება არ ეყო. იმედია, დროთა განმავლობაში ამ გამოცდილებას შეიძენს და უფრო გაბედულად იმოქმედებს ხოლმე.

**- ჯერჯერობით არავინ იცის, მოხვდება თუ არა მესი განაცხადში, თუმცა ჩვენს ნაკრებს სხვა ძლიერი ბიჭებიც ჰყავს. არგენტინის შანსებს როგორ აფასებთ?**

- ჩემი აზრით, ტურნირის ფავორიტები ვიქნებით, მაგრამ კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ. მიხარია, რომ პეკინში რიკელმეც ითამაშებს. რომანს რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე. ის არაჩვეულებრივ ხასიათზეა და დარწმუნებულია, რომ არგენტინა ოქროს მედალს მოიპოვებს. აგუეროს დიდი იმედი მაქვს. სერხიო, შესაძლოა, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს. კონკურენცია აქაც დიდი იქნება, მაგრამ პირადად მე ვერ დავიჯერებ, რომელიმე ქვეყნის ნაკრებმა პეკინში უფრო ძლიერი ფორვარდი ჩაიყვანოს. მართლაც ფანტასტიკური შემადგენლობა გვყავს და ყველა პირობა გაგვაჩნია იმისთვის, რომ პირველ ადგილზე გავიდეთ. ოლიმპიადაზე გამარჯვება ჩვენი მომავალი თაობისთვის უმნიშვნელოვანესი საქმეა. პირადი გამოცდილებით გეტყვით, რომ ახალგაზრდულ ასაკში დიდი მატჩების მოგება მენტალიტეტს გიძლიერებს და საკუთარი შესაძლებლობების რწმენას გიმყარებს.

**- მსოფლიო ფეხბურთში დღეს კიდევ ერთი აქტუალური თემა, კრისტიანო რონალდოს მოსალოდნელი ტრანსფერი და მასთან დაკავშირებული დებატებია. რამდენიმე კვირის წინათ ფიფას პრეზიდენტმა "მანჩესტერს", ფაქტობრივად, მონათმფლობელობაში დასდო ბრალი. ბლატერის წინააღმდეგ მაშინ პელემ გაილაშქრა და განაცხადა, მულტიმილიონერი მონები მე არ გამიგიაო. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

- ძალიან გამიკვირდა, რომ პელემ ბლატერი ასე ღიად გააკრიტიკა. სიმართლე გითხრათ, აღფრთოვანებული დავრჩი. ფიფას პრეზიდენტმა აშკარად გადააჭარბა. არა მგონია, კრისტიანო რონალდო მონად გრძნობდეს თავს. მაშინ ჩემი ბავშვობის უბნის მეზობლებმა რა უნდა თქვან. დღე და ღამე ვირებივით მუშაობენ და გროშებს იღებენ. ეს არის მონობა. რონალდოს კი კვირაში თუ არ ვცდები, 200 ათას დოლარს უხდიან. შეიძლება მეტსაც. არგენტინული კომერციული კომპანიების მფლობელები არაკაცები და ნაძირალები არიან. ბუნებრივია, ყველას არ ვგულისხმობ, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მშრომელი ადამიანის ინტერესებს ფეხებზე იკიდებს. ბლატერს ვურჩევდი, ბუენოს აირესში ჩამოვიდეს და აქაური საწარმოები შემოიაროს. მონობასა და მონათმფლობელობას სწორედ აქ ნახავს.

**- დიეგო, ამჯერად თავად ხომ არ აჭარბებთ? ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მშრომელთა უფლებებიც მეტად დაცულია.**

- სრულყოფილებისგან ძალიან შორს ვართ. ერთი ჩემი ნათესავი 12-საათიანი გრაფიკით მუშაობს, მაგრამ თვეში 600 დოლარს უხდიან. თანაც, დაზგასთან შრომობს. შეიძლება დანადგარმა უმტყუნოს და სამუშაო დღე მისი სიკვდილით დასრულდეს. თქვენ იცით, რას ნიშნავს ყოველ დღე 12 საათი რისკის ქვეშ მუშაობა? 600 დოლარით კი ოჯახს ვერ შეინახავ. თუმცა, ნაწილობრივ გეთანხმებით, 5-6 წლის წინათ მას 200 დოლარსაც არ უხდიდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი პრობლემა და ბევრი უსამართლობაა. არ შეიძლება ადამიანს ამუშავებდე და უსამართლოდ ცოტა ხელფასს უხდიდე. ეს ყველაფერი იმისთვის ხდება, მშრომელი ადამიანის კუთვნილი თანხა კორპორაციების ბოსებს დარჩეთ და ხალხის ფენებში ფული არ გაჩნდეს. უსინდისო ადამიანისთვის იაფ ქვეყანაში მილიონერობას არაფერი ჯობია.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# მიუნხენში ახალი მეჰმეთი გამოჩნდა!

## ვინ არის ექიჩი, რომელმაც ბორუსიას გოლი გაუტანა?

ამას საოცნებო დებიუტი ჰქვია. *"პირველი თამაში, პირველი გოლი, შესანიშნავია!"* - განაცხადა "ბაიერნის" 18 წლის ფეხბურთელმა **მეჰმეთ ექიჩმა** დორტმუნდის "ბორუსიასთან" მატჩის შემდეგ, რომელიც რეკორდმაისტერმა 1:2 წააგო და რომელშიც შეცვლაზე შესულმა თურქმა გოლი გაიტანა. მაგრამ ექიჩი ბოლომდე ბედნიერი არ გახლდათ: *"ჩვენ ხომ დავმარცხდით. შესაბამისად, სრულყოფილი სიხარული გამორიცხულია."*

ახალგაზრდა ფეხბურთელი მატჩის შემდეგ, "ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმაც** მაგრად აქო. ეს ფეხბურთელი საერთოდ რეგიონალლიგაში, "ბაიერნის" მოყვარულებში თამაშობს ხოლმე და სწორედ კლინსმანია ის კაცი, ვინც ექიჩის ენდო და ასეთ მნიშვნელოვან თამაშში მოედანზე შეუშვა. აქამდე მეჰმეთს რეკორდმაისტერის ძირითად გუნდში არასდროს უთამაშია და მეტიც: კლინსმანამდე პირველ გუნდში არც კი უვარჯიშია. მან 70-ე წუთზე **ჰამით ალთინთოფი** შეცვალა და ზუსტად ორ წუთში, **ტონი კროოსის** ჩინებული პასით გაიტანა. ექიჩი თურქეთის 18-წლამდელთა ნაკრების წევრია.

მაშ ასე: ლეგენდარული **მეჰმეთ შოლის** კარიერის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, "ბაიერნს" ახალი მეჰმეთი ჰყავს!

ექიჩი: *"თავიდან ცოტას ვნერვიულობდი. ჩემი მისაბაძი მაგალითები ზინედინ ზიდანი და მარკ ვან ბომელი არიან. საერთოდ, ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე ვთამაშობ. მაგრამ თუ მწვრთნელი გადაწყვეტს, რომ მარჯვენა ფლანგზე უნდა ვითამაშო, ყველაფერს გავაკეთებ, რომ იმედები არ გავუცრუო. თავს არ დავზოგავ იმისთვის, რომ "ბაიერნის" პირველ გუნდში მოვხვდე და აქ ადგილი დავიმკვიდრო."*

კლინსმანმა ეს ფეხბურთელი სუპერთასისთვის განაცხადში იმის გამო შეიყვანა, რომ რეკორდმაისტერს ბოლო წამს **მარსელ იანსენი** გამოაკლდა. კლინსიმ ექიჩის დაურეკა და შეატყობინა, "დორტმუნდთან" მატჩისთვის განაცხადში ხარო. *"სიხარულისგან კინაღამ გონება დავკარგე. როცა მოედანზე შევდიოდი, კლინსმანი ჩემთან მოვიდა და მითხრა, ისიამოვნე და ყველაფერი გააკეთე, რაც შეგიძლია, აბა შენ იციო. საფინალო სასტვენის შემდეგ კი, მოვიდა და კარგი დებიუტი მომილოცა,"* - ამბობს 18 წლის ფეხბურთელი. ფაქტია, რომ ეს არ იყო ექიჩის უკანასკნელი მატჩი "ბაიერნის" მაისურით.

### ჯერჯერობით, კაპიტანი ვან ბომელი იქნება

ამასობაში, კლინსმანმა გუნდის ახალი კაპიტნის დასახელება 15 აგვისტოსთვის, ანუ, ბუნდესლიგის სტარტისთვის გადადო. მანამდე, ტესტ-მატჩებში რეკორდმაისტერს კვლავინდებურად ჰოლანდიელი ნახევარმცველი **მარკ ვან ბომელი** უკაპიტნებს. *"მოსამზადებელ შეკრებაზე გუნდის თავი ვან ბომელი იქნება. ხოლო იმ ფეხბურთელის ვინაობას, რომელიც გუნდს მთელი სეზონის განმავლობაში უკაპიტნებს, გერმანიის პირველი ტურის წინ დავასახელებ,"* - განუცხადა კლინსიმ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ჰოლანდიელს ძალიან დიდი შანსი აქვს, რომ კაპიტნის პოსტზე **ოლივერ კანის** შემცვლელი გახდეს. კლინსმანი: *"ვან ბომელი ამ პოსტისთვის ერთ-ერთი საუკეთესო კანდიდატია."* ჰოლანდიელმა ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ განაცხადა, რომ მზადაა, რეკორდმაისტერის კაპიტანი გახდეს, მაგრამ იქვე დასძინა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტიაო.

კაპიტნის დასახელება ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემაც** კლინსმანს გადააბარა. რუმენიგე: *"ბაიერნს" უცხოელი კაპიტანი არასდროს ჰყოლია, მაგრამ ჩვენ გლობალიზებულ მსოფლიოში ვცხოვრობთ და მნიშვნელობა არა აქვს, იქნება თუ არა "ბაიერნის" კაპიტანი გერმანელი."*

ვან ბომელის გარდა, კანდიდატები **ლუსიო** და **ფილიპ ლამი** არიან. ერთი სიტყვით, საბოლოო სიტყვა კლინსმანზეა.

### კლინსმანმა ჰიონესს ხელი არ გაუწოდა!

და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რაც "ბაიერნი"-"დორტმუნდის" შეხვედრის დროს მოხდა. 72-ე წუთზე, როცა ექიჩიმ გოლი გაიტანა, მიუნხენური გრანდის გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა კლინსმანს ხელი გაუწოდა და მისგან საპასუხო რეაქციას რამდენიმე წამის განმავლობაში უშედეგოდ ელოდებოდა. იურგენი თავისთვის უკრავდა ტაშს, ულისთვის ყურადღება არ მიუქცევია. შესაძლოა იმიტომ, რომ ისიც ისევე იყო დაღლილი, როგორც მისი შეგირდები. ჰო, კლინსიმ სპეციალურად სთხოვა ჰიონესს, ტრიბუნაზე ნუ გადაინაცვლებ, სათადარიგოთა სკამზე ჩემს გვერდით მოკალათდი ხოლმეო...

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და მაფია

# სარეცხი მანქანა, სავაჭრო ნიშნით ლაციო






**ახლახან** იყო, "ლაციოსა" და მის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს გარშემო აგორებულ მაფიურ სკანდალზე რომ ვწერდით. რამდენიმე დღის წინათ, რომის პოლიციამ ჩაატარა სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც 10 ადამიანი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა, პლუს ამას, სანქცია გაიცა "ლაციალეს" ყოფილი ფორვარდის, ჯორჯო კინალიას დაკავებაზეც. ფეხბურთის და მაფიის კავშირებზე დღეს უფრო ვრცლად გიამბობთ...

მოკლედ, იტალიურ ფეხბურთს სკანდალები არ ასვენებს. კალჩო და კრიმინალი განუყრელ სინონიმებად იქცა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ათასგვარი სახის სკანდალი აპენინური ბურთაობის საიმიჯო ელემენტია. ჩაწყობილი თამაშებისა, თუ მასთან დაკავშირებული დისკვალიფიკაციების, ასევე, ლეგიონერთა ყალბ პასპორტებზე ატეხილი დავიდარაბის გარდა, პრესაში ხშირად ჩნდება ინფორმაცია ამა თუ იმ კლუბის ფინანსურ კრახზე. თავის დროზე, გაკოტრების სიმწარე ისეთმა სახელოვანმა სუბიექტებმაც კი იგემეს, "ნაპოლი" და "ფიორენტინა" რომ არიან. თუმცა მათ შეძლეს წუმპიდან ამოსვლა და უდიდესწილად, ამაში მთავარი როლი ახალ მფლობელებს მიუძღვით. ხოლო სხვა, უფრო ნაკლებად პოპულარულ კლუბებს, ნამდვილად არ გაუმართლათ. აგერ, გუშინწინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ "მესინა" გაკოტრდა და სერია C-ში დაქვეითდა, ორი თუ სამი კვირით ადრე კი, ანალოგიური ხვედრი "სპეციამაც" გაიზიარა...

ფინანსურ კრიზისს ვერა და ვერ დააღწია თავი "ლაციომ". არადა, ხომ გახსოვთ 90-ანი წლების ბოლო, როცა "ბიანკოჩელესტე" სატრანსფერო ბაზრის აქტიური მოთამაშე და ერთობ ხელგაშლილი მყიდველი იყო. სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა სკუდეტოც, რომელიც "ლაციალემ" პრეზიდენტ **სერჯო კრანიოტისა** და მწვრთნელ **სვენ გორან ერიქსონის** შორის საოცრად ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად მოიგო...

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელიო, ხომ გაგიგიათ? უბედურება ყურის ძირში იყო. 2003 წელს გაკოტრდა კომპანია "ჩირო", რომლის მფლობელიც გახლდათ კრანიოტების ოჯახი, შესაბამისად, "ლაციოსაც" მძიმე დღეები დაუდგა. კლუბი ჩემპიონატში სარეგისტრაციოდ აუცილებელი თანხის მინიმუმსაც კი რის ვაივაგლახით უყრიდა თავს. ანუ, "ლაციო", ფაქტობრივად, სიკვდილს თვალებში უყურებდა. 2004 წელს, კლუბს დახმარების ხელი გაუწოდა **კლაუდიო ლოტიტომ**, რომელიც კომუნალური მომსახურების ბიზნესს ფლობს. ავად თუ კარგად, მან შეძლო რაღაც დონეზე კრიზისის დაძლევა, თუმც ფინანსური უკმარისობა დღემდე ხელს უშლის კლუბს იმაში, რომ სერია A-ს ელიტაში დაბრუნდეს. ფაქტია, ლოტიტოს შესაძლებლობები ახლოსაც ვერ მივა კრანიოტის ჯიბესთან. ან რაღა შორს მივდივართ: დღეს იმავე "ფიორენტინასა" და "ნაპოლის" მფლობელები, **ანდრეა და დიეგო დელა ვალეების** ოჯახი და **დინო დე ლაურენტისი**, გაცილებით მეტს სახსრებს დებენ თავიანთ კლუბებში, ვიდრე ლოტიტო. თავისთავად, ეს შედეგებზეც აისახება. ერთადერთი გამონათება იყო 2006/07 წლების სეზონში, როცა "კალჩოპოლის" გამო მოკვეთილი "იუვენტუსისა" და დაჯარიმებული "მილანის" ხარჯზე, "ლაციო" მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

ხელმომჭირნეობის გამო, ლოტიტო ფანებში არასოდეს სარგებლობდა ისეთი პოპულარობით, როგორითაც მისი მილანელი კოლეგები - **სილვიო ბერლუსკონი და მასიმო მორატი**. გასაგებია, რომ სინიორ კლაუდიოს საქმე არ არის ისეთი შემოსავლიანი, რასაც ტელეკომუნიკაციებისა და ნავთობის ბიზნესი იძლევა, მაგრამ ტიფოზებს, მეტადრე "ულტრასებს", ეს ნაკლებად აინტერესებთ. მათ არაერთი საპროტესტო აქციაც მოაწყვეს იმის მოთხოვნით, რომ კლუბს სახელოვანი მოთამაშეები ეყიდა, ასევე, ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა ახალი სტადიონის საკითხი...

მაგრამ უცებ, რომაულმა სცენარმა მოულოდნელი განვითარება ჰპოვა. რადიკალურად განწყობილი ტიფოზები უკვე კლუბის გაყიდვის მოთხოვნით გამოვიდნენ - "ლაციო" იმისი იყოს, ვინც მეტ ფულს დააბანდებსო. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს არ იყო სპონტანური, ასე ვთქვათ, გულიდან წამოსული აქციები, ყველაფერი კარგად დაგეგმილი და მოფიქრებული გახლდათ. ამ მოთხოვნების უკან სწორედაც რომ კლუბის პოტენციური მყიდველები იდგნენ.

შეგახსენებთ, რომ 2006 წელს ლოტიტომ მუქარის წერილები მიიღო. პრეზიდენტისგან კატეგორიულად ითხოვდნენ კლუბის გასხვისებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოტიტო მზის სინათლეს ველარ იხილავდა. სხვა გამოსავალი არ იყო, "ლაციოს" ბოსმა პოლიციას მიმართა. პოლიციამ კი უმალ გამოძიება დაიწყო და დაადგინა იმ პირთა ვინაობა, რომლებიც ლოტიტოს კლუბის აქციების დათმობას აიძულებდნენ. გამომძიებლები ამტკიცებენ, რომ მესამე პირის მეშვეობით, "ლაციოს" ყიდვას "კაზალეზის" კლანი ცდილობდა, ეს კლანი კი ერთობ მჭიდრო კავშირშია ნეაპოლის მაფიურ დაჯგუფება "კამორასთან". ძნელი არ არის იმის მიხვედრაც, რომ საქმე ეხება ფულის გარეცხვას...

მაგრამ ჯერ იყო ნიადაგის მოსინჯვა. "კაზალეზის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა **ჯუზეპე დიანამ**, რომელიც ახლა მილანის საპყრობილეშია გამომწყვდეული, ლოტიტოს შესთავაზა, "ლაციოს" ტექნიკური სპონსორი გამხდარიყო მისი ფირმა, რომელსაც ქალაქ კაზერტაში გაზგამანაწილებელი ქსელი ჰქონდა. დიანა მზად იყო, 2 მილიონი ევრო გადაეხდა იმაში, რომ ევროტურნირებსა და იტალიის თასზე "ბიანკოჩელესტე" ხსენებული ფირმის ნიშნით გამოსულიყო. ლოტიტომ უარი თქვა, რადგან წინადადება საეჭვოდ მოეჩვენა. ეჭვი კი იმან გააჩინა, რომ დიანა ფულის გადახდას ნაღდზე აპირებდა და არა ჩვეულებრივი საბანკო ოპერაციით.

მოკლედ, არანაირი გარიგება, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. გადაწყვეტილება, რომ "კაზალეზის" ხელში ჩაეგდო "ლაციოს" აქციები, მტკიცე იყო და მის სისრულეში მოსაყვანად, მაფიოზებს უკვე პოპულარული სახეებიც დასჭირდათ. ერთ-ერთ ასეთ სახედ "ლაციოს" ყოფილი ფორვარდი (მოგვიანებით პრეზიდენტიც) **ჯორჯო კინალია** მიიჩნიეს.

ამავე დროს, კლანმა შეტევა რამდენიმე მიმართულებით სცადა. მაშინ, როცა ლოტიტო ერთი-მეორის მიყოლებით იღებდა მუქარის წერილებს, კინალიამ საიდანღაც დაახეთქა, რომ "ლაციოს" სპონსორობა უნგრულ ფარმაცევტულ კონცერნ "გედეონ რიხტერს" სურდა. მაგრამ, მალევე გაირკვა, რომ კინალია ცრუობდა. CONSOB, რომელიც სახელმწიფო ორგანიზაციაა და საფონდო ბირჟების რეგულირებითაა დაკავებული, ინფორმაციის გადასამოწმებლად, თუ დასადასტურებლად, პირდაპირ "გედეონ რიხტერს" დაუკავშირდა. ფარმაცევტულმა გიგანტმა ხელები გაასავსავა - რის "ლაციო", რა "ლაციო"?! და სწორედ ამ დროს, კინალიათი სამართალდამცველებიც დაინტერესდნენ... და არამარტო დაინტერესდნენ, საბირჟო მაქინაციებისთვის მის წინააღმდეგ საქმეც აღძრეს. კინალიამ აშშ-ში მოკურცხლა, იქ, სადაც 1983 წელს, ნიუ-იორკის "კოსმოსში", ნაყოფიერი საფეხბურთო ცხოვრება დაასრულა.

ცხადია, ამ დღეებში რომში დაპატიმრებულთა შორის კინალია ვერ იქნებოდა, თუმც პოლიციამ მის დასაკავებლად სანქცია უკვე გააშანშალა. ამ დაპატიმრებულებს კი, რომელთა შორის შვეიცარიისა და უნგრეთის მოქალაქეებიც არიან, ბრალად "კამორასთვის" ხელშეწყობა ედებათ. გამოძიებამ კონფისკაცია გაუკეთა 2 მილიონ ევროს, და ეს ის 2 მილიონია, რომელსაც, "ლაციოს" აქციების შეძენის შემდეგ, მაქინატორებისთვის სუფთა 24 მილიონის მოგება უნდა მოეტანა. სად არის დანარჩენი ფული, გამოძიებამ ჯერ არ იცის. ალბათ, მიაგნებენ.

რაც შეეხება კინალიას, ის ამერიკაშია და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც იმალება. იმავე დღეს, როცა რომში გახმაურებული სპეცოპერაცია ჩატარდა, ერთ-ერთი იტალიური ტელეარხი (TG 2) "ლაციოს" ლეგენდარული ფორვარდის ინტერვიუს გადასცემდა. კინალიამ თქვა, რომ დაკავებულებს არ იცნობს და საერთოდ, წარმოდგენაც არ აქვს, რაზე ელაპარაკებიან. ვნახოთ, როგორ იჭიკჭიკებს ერთ დროს ტიფოზების ფავორიტი, თუ იტალიელი სამართალდამცველები მის ექსტრადიციას შეძლებენ.

მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

## კამორა

"კამორა" ნეაპოლის მაფიური ორგანიზაციაა. ის XVIII საუკუნიდან არსებობს. მის სტრუქტურაში შედის უამრავი დაჯგუფება, რომელიც ერთმანეთს ებრძვის, ყოველგვარი მკაცრი იერარქიის გარეშე. ყველა მცდელობა, "კამორა" ლეგენდარული "კოზა ნოსტრასავით" კარგად ორგანიზებული დაჯგუფება გამხდარიყო, ფუჭი გამოდგა. 90-ანი წლების შუიდან, გარდა ბიზნესის ტრადიციული სახეებისა, "კამორამ" ახალი საქმე გაიჩინა - ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში საწარმოო ნარჩენებს აგროვებდა. ეგრეთ წოდებული "ეკომაფიის" მოღვაწეობა ეკოლოგიური კატასტროფით დასრულდა. ეს ნარჩენები, მეტალი იქნებოდა თუ შხამ-ქიმიკატი, ლამის საცხოვრებელ კვარტლებთან მოაგროვეს და... დაწვეს.

"კამორას" საქმიანობაზე ინფორმაცია მეტისმეტად მწირია. მაგრამ ის, რომ ნეაპოლი დღესაც მის კონტროლქვეშაა, ქალაქის ქუჩებში არსებული წარწერებითაც ჩანს: "მოგვეცით ფრთები, რათა აქედან გავფრინდეთ". ყოველდღიურად, კრიმინალური გარჩევების დროს, ათეულობით ადამიანს კლავენ. 2001 წლის ივნისში, იტალიის პოლიციამ დააკავა "კამორას" ბოსი, 50 წლის მარიო ლიკარდი, რომელიც ოჯახის მეთაური გახდა მას მერე, რაც მისი ორი ძმა დილეგში გაამწესეს. დღესდღეობით, "კამორაში" 111 ოჯახური კლანია, ეს კი დაახლოებით 7 ათას ადამიანს ითვლის...

## ბუონანოტე: ნაპოლი, ან იუვენტუსი

"ტუტოსპორტის" თანახმად, "ნაპოლისა" და "იუვენტუსს" 20 წლის ნახევარმცველის, **დიეგო ბუონანოტეს** შეძენა სურთ. ის "რივერ პლეიტის" საკუთრებაა და არგენტინული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ. არგენტინელი მიმომხილველების აზრით, ბუონანოტე ისეთივე ნიჭიერია, როგორიც **ლიონელ მესი**. ზოგიერთი ექსპერტი მას ბარსელონელ ვარსკვლავზე მაღლა აყენებს.

"ტუტოსპორტი" იუწყება, რომ ნეაპოლელმა და ტურინელმა ემისრებმა "რივერის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები უკვე გამართეს. ბუონანოტეს აგენტია **ნესტორ სივორი**, "ნაპოლისა" და "იუვენტუსის" ლეგენდარული ფეხბურთელის, **ომარ სივორის** ვაჟი. "ბებერი ქალბატონი" ფეხს ითრევს. "ნაპოლის" წარმატების მიღწევის უკეთესი შანსი აქვს.

ნეაპოლელთა სასარგებლოდ მუშაობს მათი გენერალური მენეჯერის, **პიერპაოლო მარინოს** საქმიანი კავშირები სამხრეთ ამერიკაში. სწორედ ამ კავშირების წყალობით შეიძინა "ნაპოლიმ" ახალგაზრდა არგენტინელები - **ესეკილ ლავესი** და **ხერმან დენისი**, აგრეთვე ურუგვაელი **ვალტერ გარგანო**. ბუონანოტე არგენტინის ოლიმპიური ნაკრების წევრია და მომავალ თვეში პეკინში ითამაშებს.

## ჯოვინკო ტურინელებს ემუქრება

**სებასტიან ჯოვინკოს** აგენტი იმუქრება, რომ მისი კლიენტი აუცილებლად დატოვებს "იუვენტუსს", თუ ღირსეულ ხელფასს არ გადაუხდიან. ჯოვინკო იტალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. 21 წლის ყმაწვილს ტურინელებმა ახალი კონტრაქტი შესთავაზეს. ფეხბურთელი პირობებმა არ დააკმაყოფილა. მას წლიურად 500 ათასი ევრო აღუთქვეს. თუ სებასტიანი "იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში მოიკიდებს ფეხს, ხელფასს მაშინვე გაუზრდიან. "ბიანკონერი" ცეცხლს ეთამაშება. ჯოვინკოს "არსენალი" აკვირდება. **არსენ ვენგერი** პეკინის თამაშებზე ემისრების გაგზავნას აპირებს, რათა ჯოვინკოს დააკვირდეს. "იუვენტუსის" გულშემატკივრები ფეხბურთელის აზარგებას სასტიკად ეწინააღმდეგებიან. სპეკულაციების თანახმად, ლონდონელები მზად იყვნენ, ჯოვინკოში **რობინ ვან პერსიც** კი გაეცვალათ.

## მექსესის შოკური საღამო

რომაელმა მცველმა **ფილიპ მექსესმა** ნამდვილი შოკი გადაიტანა. რომის ფეშენებელურ გარეუბანში მას ავტომობილი იმ დროს გასტაცეს, როდესაც მცირეწლოვან ქალიშვილს უკანა სავარძელზე მშვიდად ეძინა. მექსესმა, მისმა მეუღლემ, **კარლამ** და ორმა შვილმა ერთად ისადილეს. ოჯახი შინ დაბრუნდა. კარლა და ოთხი წლის ვაჟი **ენცო** მანქანიდან გადავიდნენ. სანამ ფილიპი კარს გააღებდა და ავტომობილს ეზოში შეიყვანდა, მას ორი შეიარაღებული ბოროტმოქმედი დაესხა თავს. მექსესმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ კრიმინალებმა იმძლავრეს. ფეხბურთელი მანქანიდან გადმოათრიეს, საჭეს მიუსხდნენ და დიდი სიჩქარით დატოვეს იქაურობა. თავდამსხმელებმა, სავარაუდოდ, არ იცოდნენ, რომ მანქანასთან ერთად, ფილიპის ორი წლის გოგონა **ევაც** გაიყოლეს. პატარას, როგორც ვთქვით, უკანა სავარძელზე ეძინა. შეძრწუნებულმა მშობლებმა პოლიცია გამოიძახეს. პოლიცია დაუყოვნებლივ შეუდგა მანქანისა და დაკარგული ბავშვის ძებნას. ავტომობილი ერთ საათში იპოვეს. საბედნიეროდ, ევა იქიდან სალსალამათი გადმოიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. ალბერტ კუზილოვი, ძალოსნობა

# ქართული აკლიმატიზაცია



ალბერტ კუზილოვი

სპორტსმენებისთვის მთელი კარიერის განმავლობაში გარემოსთან ადაპტაციის, შეგუების ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, აკლიმატიზაციის პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მოგეხსენებათ, ტურნირები სხვადასხვა ქვეყნებში იმართება, რომელთაც განსხვავებული კლიმატური პირობები აქვთ, ამიტომ, მოსამზადებელ პერიოდში მწვრთნელთა შტაბიც და სპორტსმენებიც აკლიმატიზაციის ფაქტორსაც ითვალისწინებენ. ცხადია, საფიქრალ-გასაკეთებელი სხვაც ბევრია, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი - ოსტატ-შეგირდის შეთავსება-შეუთავსებლობა: მავანს მწვრთნელის მეთოდები არ მოსწონს, მავანს კი ისეთი მძიმე ხასიათი ალმოაჩნდება, რაგინდ ტალანტით იყოს ღვთივბოძებული, თავს გაგარიყინებს...

**ვანო გრიქუროვს**, არც ერთი ტიპის სპორტსმენი არ უკვირს - ყველანაირთან უმუშავია და როცა საჭირო იყო, მკაცრი ზომაც მიუღია, ძირითადად კი იმაზე ფიქრობდა, როგორ მოიქცა სათავისოდ ინდივიდი - შესაძლოა რთული ხასიათის, მაგრამ ნიჭიერი და აქედან გამომდინარე - პიროვნებაც. კიდევ კარგი, რომ მას ეს საქმე კარგად გამოსდის და ამიტომაც ვართ იმედიანად მომავალ ოლიმპიურ თამაშებზეც... თუმცა დიდ მწვრთნელებსაც ჰქონიათ რთული პერიოდი და გამოსავალი არცთუ იოლად უპოვიათ... ასე მოუვიდა გრიქუროვსაც...

**ალბერტ კუზილოვი** საქართველოში, ჯავის რაიონის დაბა კვაისაში დაიბადა. ორი წლის იყო ალბერტი, როცა მისი მშობლები საცხოვრებლად ვლადიკავკაზში გადავიდნენ. სპორტსაც იქ ეზიარა. მამა ძალოსანი გახლდათ, თავის დროზე ვანო გრიქუროვის მოწაფე, მამის ძმაც ძალოსანი იყო - სპორტის ოსტატი და რა გასაკვირია, რომ ალბერტს შტანგასთან ჭიდილი ბავშვობიდანვე მოუნია. ნიჭიც ალმოაჩნდა და ამ საქმიანობას სერიოზულად მიჰყო ხელი. წარმატებებიც ნელ-ნელა მოვიდა და რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებშიც მოხვდა. პირველი ნომერი არ იყო რუსთა გუნდში, მაგრამ პერსპექტივა კი უჩანდა და რუსებიც ცდილობდნენ მის შენარჩუნებას. ერთი კია - ფავორიტად არ ჰყავდათ და მეტ ყურადღებას სხვებს აქცევდნენ... ალბერტი ასეთ "ყურადღებას" კარგად ხედავდა და როცა გამოსავალზე დაიწყო ფიქრი, სწორედ მაშინ შეახვედრა ბედმა ვანო გრიქუროვს. ეს 2005 წელს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მოხდა, რომელიც სლოვაკეთის ქალაქ ტრენჩინში ჩატარდა. კუზილოვმა სლოვაკეთში ბრინჯაო მოიპოვა და ამით მიიქცია გრიქუროვის ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ვანო ალბერტის მამისა და ბიძის მწვრთნელი გახლდათ, აქამდე ისინი არსად შეხვედროდნენ ერთმანეთს. გამოცნაურების შემდეგ, ალბერტის სანაკრებო პრობლემაზეც შეიტყო გრიქუროვმა და უმალ შეაგება წინადადება - საქართველოში გადმოსულიყო და სამშობლოს სახელით ესპარეზა; ცხადია, მწვრთნელად ვანო დაუდგებოდა. *"წინადადებაზე ბევრი არ მიფიქრია, - იხსენებს ალბერტი. - რუსეთის ნაკრებში სათანადო ყურადღებას არ მაქცევდნენ, - ამისთვის გავლენიანი ნაცნობი ან ნათესავი უნდა გყოლოდა, რომელსაც ჯიბეც სქელი ექნებოდა და დაიხარჯებოდა კიდეც. ასეთი არავინ მყავდა და რახან სპორტსმენობა ჩემი არჩევანი იყო, საქართველოში წამოსვლა მიზანშეწონილად ჩავთვალე."*

თითქოს რა პრობლემა უნდა წარმოშობილიყო, მაგრამ სწორედ იმ ადგილზე იჩინა სირთულემ თავი, სადაც არავინ ელოდა, - შეგირდმა და ოსტატმა ვერ [illegible]ის ერთმანეთს.

*ვანო გრიქუროვი: "პრობლემა ის იყო, რომ ალბერტი რუსეთის ნაკრებში და ვლადიკავკაზში სხვა სტილით ვარჯიშს იყო მიჩვეული, ჩემი სტილი კი მათგან აბსოლუტურად განსხვავებულია... მე წინასწარ არასდროს ვგეგმავ ვარჯიშს - ვინ რამდენ წონაზე რა სიხშირით უნდა მივიდეს და ასე შემდეგ. ჩემი გამოცდილებისა და ცოდნის ხარჯზე უშუალოდ ვარჯიშის დროს ვილებ გადაწყვეტილებას და მოწაფის იმდღევანდელ განწყობასა და ფიზიკურ მდგომარეობას ვითვალისწინებ. ეს ალბერტისთვის ძნელად გასაგები გახდა და ხშირად ვკამათობდით კიდეც. სხვათა შორის, მსგავსი პრობლემა ჰქონდა კახი კახიაშვილსაც, როცა საბერძნეთში გადავიდა: იქაც გეგმიური, წინასწარ გათვლილი ვარჯიშები ჰქონდათ, კახი კი ჩემ იდეებს და სტილს იყო შეჩვეული. მერე და მერე ყველა ეგუება სიტუაციას და კარგად იცით, თუ კახიმ რა სიმაღლეები დაიპყრო. ალბერტის შემთხვევაშიც ამის იმედი მქონდა. თუმცა დრო მიდიოდა და რასაც ველოდით, ის შედეგი ვერ ვაჩვენეთ. მუშაობა არ შეგვიწყვეტია, მოთმინებით ველოდი, როდის დამიჯერებდა და მომენდობოდა სრულად. საბედნიეროდ, ეს დროც დადგა და საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატზე, რომელიც ორიოდ თვის წინათ გაიმართა, ალბერტმა ისეთი შედეგი აჩვენა, ყველა გაგვაკვირვა: ატაცში 183 კგ. დაძლია; დამატებით ცდაზე კი 186 დაიმორჩილა. აკვრაში კი - 230 აზიდა. იქამდე, მეორე გასვლაზე 225 კგ. აკრა, რაც საქართველოს ახალი რეკორდი იყო, რომელიც მუხრან გოგიას ეკუთვნოდა. 230-ით კი ეს რეკორდიც გააუმჯობესა. ამას გარდა, ორჭიდის ჯამშიც ორი რეკორდი დაამყარა - 408 და 413; ცხადია, აკვრის ხარჯზე. ეს რეკორდიც მუხრან გოგიას ეკუთვნოდა. საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ გამიჩნდა იმედი, რომ პეკინში სერიოზულ წარმატებაზე ფიქრიც შეიძლებოდა."*

ახალ რელსებზე გადასვლა რომ მოუწია და პროცესი რთული გამოდგა, ალბერტმა თავადაც დამიდასტურა. თუმცა ძალიან ბედნიერი ჩანდა და ამაყიც, რომ ასეთ შედეგზე გავიდა. როგორც იქნა, გრიქუროვის ვარჯიშებს ალლო აუღო, ზედ საკუთარი მონდომება, ხასიათის სიმტკიცე და ნიჭიერება დაურთო და შედეგიც გაიზარდა.

დიდ სპორტსმენობამდე ალბერტს ორიოდე ნაბიჯი უკლია. ეს ნაბიჯები რომ ყველაზე რთული გადასადგმელია, ყველამ ვიცით, მაგრამ არც აქამდე მოსვლა იყო იოლი და ამ გზის გავლაში ალბერტს მისი განსაცვიფრებელი სიდინჯე დაეხმარა. ბატონი ვანო გაოცებას ვერ მალავს: - შტანგის, სიმძიმის იოტისოდენა შიშიც არა აქვს; მისხალ ნერვიულობას ვერ შეამჩნევთ. ერთხელ, ერთ-ერთი შეჯიბრებისას, აწონვის შემდეგ საკუთარ ნომერში ისე ტკბილად დაიძინა, რომ ძლივს გავალვიძე - ლამის დაგვაგვიანდა ტურნირზე.

ამას გარდა, ძალიან კარგი ხასიათი აქვს - დინჯია და მეგობრული. ხუმრობაც იცის და სხვის ენაკვიმატობასაც აფასებს. რომ განახათ, ალბერტი, **არსენ კასაბიევი** და **რაულ ცირეკიძე** როგორ არიან შეხუმრებულები, გაკვირდებით... ისინი დიდი მეგობრებიც არიან.

და მაინც, მთავარი, რაც გვსურს ყველას, ალბერტის პეკინში გაბრწყინებაა. მაღალი შედეგი კი აჩვენა საქართველოს ჩემპიონატზე, მაგრამ მას ბევრი და ძლიერი მეტოქე ჰყავს და რეალურად ხუთეულში თუ შევა, მაგრამ ვინ იცის, რა სიურპრიზს გვიმზადებს ცხოვრება, - ეგება და ჩვენს ჯილას მკლავებმა უფრო მეტის აზიდვის შესაძლებლობა მისცეს... ნებისმიერ შემთხვევაში, ფიცარნაგზე ალბერტ კუზილოვი წელგამართული გავა; ნერვიულობა ხომ არ ჩვევია, მთავარი აკლიმატიზაციაც გავლილი აქვს და არა მგონია, პეკინის ჰაერსა და ფიცარნაგს ვერ შეეგუოს, - სხვაგვარად დიდი გამარჯვებები არ მოვა.

**ზვიად შათირიშვილი**

პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. ლომერ ჟორჟოლიანი, ძიუდო

# შრომისმოყვარეა და მიზანმიმართული



ორი ათეული წლის წინათ მთელი საქართველო შეძრა ნავერიანების ტრაგედიამ. მთას გამოექცნენ მულახიდან (მესტიის რაიონი) და ბარს მოაშურეს ბუნების სტიქიისგან ოტებულებმა. ძმები - **თენგიზ** და **თამაზ ნავერიანები** მარნეულის რაიონში დასახლდნენ. მათი დის ოჯახს საგარეჯოს რაიონის სოფელი უდაბნო ერგო საცხოვრებლად. **ლომერ ჟორჟოლიანი** (დაიბადა 1985 წელს) მაშინ ორი წლის იყო. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მისი მშობლები თამარისში გადასახლდნენ. თავად კი 12 წლისამ ბიძასთან ძიუდოში დაიწყო ვარჯიში.

მესტიის რაიონში **ბორის კახიანის** გახსნილ პირველ სასპორტო სკოლაში სრულიად ახალგაზრდა თენგიზ ნავერიანი ძიუდოს მწვრთნელად დაინიშნა. ის იყო, მუშაობაააწყო, რომ მოულოდნელმა უბედურებამ მშობლიური კუთხიდან გამოხიზნა. თუმცა, არც მარნეულში შეუქცევია საყვარელი საქმისთვის ზურგი: ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით მარნეულის ცენტრში შესანიშნავი კომპლექსური სასპორტო სკოლა გახსნა და დაიწყო მოზარდების დაფრთიანება. სწორედ აქ აიდგა ფეხი ლომერმა. თუმცა თანატოლებისგან დიდად არ გამოირჩეოდა, მაშინ იგი მე-10 კლასში იყო. 2001 წელს უმცროსმა ბიძამ - თამაზ ნავერიანმა თბილისში წამოიყვანა. ზოგიერთმა მწვრთნელმა, თითქმის ორმეტრიანი ბიჭი რომ ნახა, ბიძას ურჩია, კალათბურთზე წაიყვანე, იქ უფრო გამოდგებაო. მხოლოდ **გურამ მოდებაძე** არ დაეჭვებულა ყმაწვილის ბუნებრივ მონაცემებში - ძლიერი მკლავები აქვს და ისეთი ჩავლება შეუძლია, მისგან კარგი მოჭიდავე დადგებაო.

ასე დაიწყო ლომერ ჟორჟოლიანის სპორტული გზა. მწვრთნელთან ერთად ბიძებიც არ აკლებდნენ მზრუნველობას. თავადაც საკმაოდ შრომისმოყვარე გამოდგა. ტოლს არ უდებდა გამოცდილებს. საერთაშორისო სარბიელზე პირველ წარმატებას 2005 წელს მიაღწია - ახალგაზრდა სამბისტთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა; იმავე წელს დსთ-ს ქვეყნების თამაშებში მესამე ადგილი დაიკავა, 23 წლის ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზეც "ბრინჯაო" ხვდა, მანამდე კი საქართველოს პირველობაც მოიგო. ყველაზე სენსაციური მაინც დეკემბრის მიწურულს ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვება იყო: ნახევარფინალში **ლევან რაზმაძეს** სძლია, გადამწყვეტ პაექრობაში კი **გიორგი გუგავას** აჯობა. ამის შემდეგ თანდათან ეროვნულ ნაკრებშიც მოიკიდა ფეხი. შარშანდელი სეზონი იმით დაიწყო, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე იაპონელი **ანაის** დამარცხებით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, შემდეგ ბაქოს ტურნირი მოიგო, იტალიისა და პოლონეთის სალიცენზიო შეჯიბრებებზე მესამე ადგილები დაიკავა. უშიშრად ჩაება ევროპის ჩემპიონატში. დებიუტანტმა ზედიზედ ორი გამარჯვება იზეიმა აზერბაიჯანელ **მოვლუდ მირალიევთან** და სლოვენიელ **პრიმოჟ ფერიანთან**, შემდეგი ორთაბრძოლა რუს **რუსლან გასიმოვთან** დათმო. ამის მიუხედავად, მაინც შეეძლო კვარცხლბეკზე ასვლა, მაგრამ გზაზე **არიელ ზეევი** (ისრაელი) გადაეღობა და საბოლოოდ, მე-5 ადგილს დასჯერდა.

ასევე, ახლოს იყო მედალთან რიოდე-ჟანეიროს მსოფლიო ჩემპიონატზეც, თუმცა აქაც გამოცდილება არ ეყო. მართალია, ავსტრალიელი **ჯონ ბრენდიცკის**, სენეგალელი **ბრა ნდიაეს** და პოლონელი ევროპის პრიზიორ **პრზემისლავ იაზეკის** დამარცხება არ გასჭირვებია, მაგრამ ბრაზილიელ **ლუსიანო კორეას** ვერაფერი მოუხერხა, არადა, ერთ-ერთ ტურნირზე იგი ძლეული ჰყავდა. მერეც რჩებოდა მედლის მოპოვების შანსი. მით უმეტეს, რომ დამამშვიდებელ ჯგუფში ბელარუს ოლიმპიურ ჩემპიონ **იური მაკაროვსა** და უკრაინელ მსოფლიო პრიზიორ **ვიტალი ბუბონს** დააყრევინა ფარ-ხმალი, სამაგიეროდ, კუბელ **ორეიდის დესპენს** "ბრინჯაო" აჩუქა: თავიდან ამ ორთაბრძოლას იგებდა, თუმცა მაინც ხელმოცარულმა დატოვა ტატამი. სანუგეშოდ ის დარჩა, რომ მეხუთე ადგილთან ერთად პეკინის ოლიმპიადის საგზური დაიმსახურა, რაც დებიუტანტისგან სულაც არ არის ურიგო.

წლევანდელი სეზონიც წარმატებით დაიწყო ლომერ ჟორჟოლიანმა: თბილისის საერთაშორისო ტურნირის ფინალში ოლიმპიურ ჩემპიონ **ჯარჯი ზვიადაურს** აჯობა. აი, ევროპის ჩემპიონატზე კი ვერ იყოჩალა - მეორე წრეში ფრანგ **ჰუმბერტთან** მარცხის შემდეგ გამოეთიშა შეჯიბრებას.

**გურამ მოდებაძე:** ლომერისგან უფრო მეტს მოველოდით. სამწუხაროდ, გამოცდილება არ ეყო. ძლიერი ჩავლება აქვს, ფიზიკურად იშვიათად, რომ ვინმემ დაჩაგროს. ჭიდაობისას ჯერ კიდევ აკლია სითამამე. შვიდი წლის წინათ ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო, დღეს კი 100 კილოში ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. შრომისმოყვარეა და მიზანმიმართული, ამიტომ ოლიმპიადაზე მისგან წარმატებას უნდა ველოდოთ.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები

# ზაზა ფაჩულია ნაკრებისთვის მზადებას შეუდგა



საქართველოს ნაკრების შეკრება 25-დან 31 ივლისს გადაიტანეს. ამ თვის ბოლო დღეს "დინამოს" დილმის ბაზაზე მხოლოდ ის კალათბურთელები შეიკრიბებიან, ვისაც ეროვნულში ადგილი აქვს მოსაპოვებელი. მათგან რჩეულებს 4 აგვისტოს ძირითადი ბირთვი შეუერთდება. თუმცალა, როგორც ყოველთვის, არც წელსაა მოსალოდნელი ნაკრების ერთიანად დროულად შეკრება. არც ის ვიცით, როდის ჩამოვა შეკრებაზე ზაზა ფაჩულია, თუმცა დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ იგი ნაკრებს სექტემბერში აუცილებლად დაეხმარება. ზაზამ ვარჯიში უკვე განაახლა და იმედი აქვს, რომ შეკრებას მომზადებული შეხვდება.

ზაფხულში გატარებულ დროსა და სამომავლო გეგმებზე ფაჩულიამ საკუთარ ვებ-საიტზე (www.zazafachulia.com) გამოქვეყნებულ მონოლოგში ისაუბრა.

"რთული სეზონის შემდეგ დასვენება მეც მჭირდებოდა. ორგანიზმისთვის ყოველთვის აუცილებელია დახარჯული ენერგიის აღდგენა. გამოგიტყდებით, კარგად დავისვენე. გასულ თვეში ძირითადად მაიამიში ვიყავი, სადაც საქართველოდან ჩამოსულ მეგობრებთან ერთად დავისვენე. ახლა უკვე ატლანტაში ვარ და მომავალი სეზონისთვის ვარჯიში განვაახლე.

ორი კვირაა, რაც ფიზმომზადების დარბაზში შევედი და სიმძიმეებზე მუშაობით კუნთების მომაგრებას ვცდილობ. მართალია, საქმე ფიზიკურ დატვირთვას ეხება, მაგრამ ვარჯიში ძალიან მსიამოვნებს. მას შემდეგ, რაც 9 წლის გავხდი, დარბაზში მუშაობა ცხოვრების ნაწილად მექცა. როცა ვისვენებ, მაშინაც ვარჯიშის განახლებაზე ვფიქრობ.

როგორც ყოველთვის, წლევანდელი სეზონიც საქართველოს ნაკრების მატჩებით გაიხსნება. სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩავერთვებით. რთული შეხვედრები გველის. ჩვენს ჯგუფში მოხვდნენ ირლანდიის, სლოვაკეთის, ლუქსემბურგისა და შვედეთის ნაკრებები. ამ გუნდებში არაერთი მაღალი დონის კალათბურთელია, ამიტომ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება ჩვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

"ატლანტა ჰოქსის" NBA-ს პლეიოფში გასვლის გამო, წლეულს ვარჯიში ცოტა გვიან განვაახლე. საწვრთნელი პროცესის დაგვიანებას ერთადერთი მინუსი ჰქონდა – მონაწილეობა ვერ მივიღე ზო მურნინგის მიერ ორგანიზებულ საღამოში. ამ ღონისძიებაში შარშან ვმონაწილეობდი და იმედი მაქვს, რომ მურნინგი გაისადაც დამპატიჟებს.

ჰო, კიდევ ერთი ახალი ამბავი: გასულ კვირას პირველად დავესწარი WNBA-ს (ქალთა NBA) მატჩს და კარგად გავერთე. ატლანტელებმა "ჩიკაგოს" თავიდან 17:0 დაწინაურების უფლება მისცეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვეს. არ ვამბობ, რომ "ატლანტას" მე მოვაგებინე, მაგრამ "ჩიკაგოსთან" შეხვედრამდე ჯორჯიელებს წაგებათა სერია ჰქონდათ. ქალთა კალათბურთს ამიერიდან ხშირად დავესწრები."

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერი

# უგრეხელიძე ბოსნიიდან კმაყოფილი დაბრუნდა

**საქართველოს ნაკრების ცენტრმა დავით უგრეხელიძემ 2007-08 წლების სეზონი ბოსნიურ "ბორაჩ ნექტარში" გაატარა. იგი იქაური ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სლოვენიაში გადავიდა, სადაც სატრანსფერო საკითხებზე მუშაობდა. დათო ხომ 1999 წლიდან 2006-მდე სწორედ სლოვენიაში თამაშობდა.**

**თუმცალა, თბილისში სამი დღის უკან კვლავაც თავისუფალი აგენტის სტატუსით დაბრუნდა. როგორ აფასებს გასულ სეზონს დავით უგრეხელიძე და რას აპირებს სამომავლოდ, ამ საკითხებზე კალათბურთელი ინტერვიუში გვესაუბრება.**



- "ბორაჩ ნექტართან" ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა, რომელსაც ვადა გასული სეზონის ბოლოს გაუვიდა. ხელშეკრულების განახლებაზე კლუბის ხელმძღვანელობას არ შევხვედრივარ, ამიტომ დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ "ბორაჩში"აღარ დავბრუნდები.

**- ბალკანეთში ბოსნიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დიდი ხნით დარჩი. ახალი კლუბი ხომ არ მოძებნე?**

- ჯერ არა. ამ საკითხზე ჩემი მენეჯერი მუშაობს და მეც ძალიან მსურს, ყველაფერი მალე გაირკვეს.

**- საქართველოში დარჩენაზე ხომ არ გიფიქრია?**

- რატომ მეკითხები?

**- რუსთავის "ენერჯის"ევროტურნირებისთვის უგრეხელიძის დამატება სურსო...**

- ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია. ამიტომ ვერაფერს ვიტყვი. სადღეისოდ კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე ვფიქრობ. საქმე როგორ აეწყობა, ეს მალე გამოჩნდება.

**- რადგან რუსთაველებზე ვსაუბრობთ, ბარემ "ენერჯის" შესაძლო მეტოქე "შიროკიზე" გკითხავ. თუ ქვემოქართლელებმა უკრაინული "სუმიქიმპრომის "ბარიერი გადალახეს, სწორედ ბოსნიურ კლუბთან მოუწევთ დაპირისპირება.**

- "შიროკი" ბოსნიური კალათბურთის ერთ-ერთი გრანდია. 2005, 2006 და 2007 წლებში იგი ქვეყნის ჩემპიონი გახდა და ადრიატიკის თასზეც სტაბილურად თამაშობს. "ენერჯისთვის" ახლა მთავარი მაინც "სუმიქიმპრომია". ჯერ ეს უკრაინული ბარიერია დასაძლევი.

**- სხვათა შორის, გასულ სეზონში "შიროკის" გარდა კიდევ არაერთ ძლიერ კლუბს აჯობეთ...**

- ბოსნიის ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი "ბოსნა" გავამწარეთ. მათხავე მოედანზეც მოვუგეთ, მაგრამ "ბორაჩ ნექტარს" სტაბილურობა აკლდა.

**- კლუბის გამოსვლით ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა?**

- სეზონის დასაწყისში მიზნად ბოსნიის ჩემპიონატის რვაეულში გასვლა დაგვისახეს. რვა გუნდს შორის მოვხვდით და დასკვნით ეტაპზე მეხუთე ადგილზე გავედით. ეს დადებით შედეგად შეფასდა.

**- ბოსნიაში საკუთარი თამაშით თუ ხარ კმაყოფილი?**

- უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. სეზონის დასაწყისში ფეხი ვიტკინე და ოთხი მატჩის გამოტოვება მომიწია. შემდეგ ფორმაში შევედი და "ბორაჩს", რითაც შემეძლო, დავეხმარე. ბოსნიის ჩემპიონატი საინტერესო და დაძაბული იყო. საკმარისი გამოცდილება მივიღე, რაც სამომავლოდ აუცილებლად გამომადგება.

**- რომელ ქალაქში ცხოვრობდი?**

- "ბორაჩ ნექტარი" ბანია ლუკას გუნდია. ბოსნიის სამხრეთისგან განსხვავებით, ამ ქალაქს ომის კვალი ნაკლებად ეტყობა. ბანია ლუკა მშვიდი და ლამაზი ადგილია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სუმო. ივლისის ბაშო

# იმპერატორის თასი ჰაკუჰოს



ჰაკუჰო

27 წლის **ლევან ცაგურიას (კოკაი)** გარჯა ნაგოიას ბაშოზე ამაო გამოდგა, სუპერტურნირის მე-13 დღეს, მან მერვე მარცხი იწვნია, რითაც მაკე-კოში (ანუ ბაშოს უარყოფითი ბალანსით დასრულება) გაინაღდა. გუშინ, ქართველი ფალავანი მე-15 მაეგაშირა **კაკიძოემ** დაამარცხა, რომელიც ერთ დროს კოკაისავით კომუსუბი იყო. სასტარტო დაჯახებისას იაპონელმა ნახევარი ნაბიჯით მარჯვნივ მოასწრო გასვლა, შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო და კოკაი ოშიდაშით გაიყვანა დოჰიოს გარეთ. ლევანის ბალანსი 5-8 გახდა. დღეს კოკაის მეტოქე მე-9 მაეგაშირა **ივაკიამაა**, რაც მეტს მოიგებს კოკაი, მით უფრო ნაკლები საფეხურით დაქვეითდება ის რეიტინგში.

ნაავგო **ლევან გორგაძემაც (ტოჩინოშინი)**, არადა მას მხოლოდ ერთი მოგება აშორებს კაჩი-კოშიმდე (დადებითი ბალანსი). გუშინ, კარიერაში პირველად, ის ოს **როჰოს** დაუპირისპირდა. ქართველმა ვერ შეძლო დაჯახების მერე როჰოს შეტევის მოგერიება, რომელმაც ცაციათი ხელთ იგდო მავაში და შემდეგ მიწოლით გაიყვანა დოჰიოდან ჩვენი თანამემამულე. ტოჩინოშინს 7-6 ბალანსი აქვს, დღეს მას მონღოლი **ტოკიტენკუს** ძლევით შეუძლია კაჩი-კოშის დაბევება.

იმპერატორის თასი კი დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** კარიერაში მეშვიდედ მოიგო. მე-13 დღეს მან მე-13 გამარჯვება **კაიოს** ძლევით მოიპოვა და მდევართათვის მიუწვდომელი გახდა. ჰაკუჰო ჯერ მხოლოდ 23 წლისაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი

# მექსიკა ძვირი სიამოვნებაა

25 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე, მექსიკის ქალაქი გვადალახარა მოკრივეთა ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს კრივის ფედერაცია შეჯიბრებაზე თავიდან გუნდის გაშვებას კი აპირებდა, მაგრამ როდესაც სიტუაცია კარგად აწონ-დაწონა, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა. ამის შესახებ გუშინ საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა** გვითხრა.

- დავიწყოთ იმით, რომ რაკილა საქართველოში მექსიკის საელჩო არ არის, თურქეთის დედაქალაქ ანკარაში განთავსებულ საელჩოს უნდა მივაშუროთ, რომელიც ვიზებს საკმაოდ გართულებული პროცესით გასცემს. ამის გამო, შესაძლოა, 1-2 კვირით თურქეთში დარჩენა, ან წინ და უკან სიარული მოგვიხდეს, რაც თავისთავად განაპირობებს ხარჯებს. ამას გარდა, მექსიკაში გასამგზავრებელი ავიაბილეთები საკმაოდ ძვირი ღირს - თითოეული 1350 დოლარი. თანაც, ასეთ შორეულ ქვეყანაში რომ მიდიხარ შეჯიბრებაზე, სულ მცირე, 4-5 დღით ადრე მაინც უნდა ჩახვიდე, რათა აკლიმატიზაცია გაიარო. ადრე ჩასულებს კი ორმაგი ხარჯების გაღება მოგვიწევს. მოკლედ, მთლიანობაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ამიტომაც, ახლა ვფიქრობთ, გვიღირს თუ არა მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის გაშვება და ხომ არ ჯობია, რომ საამისო თანხა ისევ ქართული კრივის განვითარებას მოვახმაროთ.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი

# გორგოძე ბულგარელთან დამარცხდა

16 წლის **ეკა გორგოძე** ნაადრევად გამოეთიშა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს. ტურნირი ავსტრიის ქალაქ ბად ჰოფგაშტეინში იმართება. პირველი წრის დაძლევის შემდეგ გორგოძე მე-8 ნომრად განთესილ ბულგარელ **ელიცა კოსტოვას** შეხვდა. ძალზე დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება სლავს დარჩა – 6:4, 6:7 (1), 6:7 (5). შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში **ოქსანა კალაშნიკოვამ** წყვილთა თანრიგში იმარჯვა, ერთეულებში კი ფინალში გავიდა.

მოსკოვში 16 წლამდელ ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატში, ჩვენები წყვილთა თანრიგში აგრძელებდნენ ტიტულისთვის ბრძოლას. მაგრამ **ალექსანდრე მეტრეველის** და **დავით ხუციშვილის** დუეტი მე-12 ნომრად განთესილ ბელარუსებთან (**პაველ ფილინი, იაროსლავ შილა**) შერცხვა – 1:6, 0:6. გოგონებში **ნინო მებუკე** და **სალომე კვიტაიშვილი** სლოვაკებთან (**იანა ჩეპელოვა, პეტრა ჟუროვა**) დამარცხდნენ – 6:7 (6), 3:6. ავსტრიაში, რუსეთში და ჩეხეთში (სადაც 14-წლამდელთა ტურნირი მიმდინარეობს) ქართველი ჩოგბურთელები დამამშვიდებელ ბადეში გადაერთვნენ, თუმცა ამის შესახებ ევროპის პირველობების დასრულების შემდეგ, [illegible] მოგიყვებით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა

# სტუდენტები ვაჟას მწვერვალზე



ხევსურეთში ჩატარდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორიგი ტრადიციული საზაფხულო ალპინიადა, რომელშიც გ. ნიკოლაძის სახ. ალპური კლუბის წევრებთან ერთად, მონაწილეობდა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 100-ზე მეტი სტუდენტი. ჯგუფი სოფ. ბარისახოს მახლობლად, არაგვის მარჯვენა შენაკადის, ოხერხევის ხეობაში დაბანაკდა. ორდღიანი ვარჯიშის შემდეგ მოლაშქრეები გადახალისებული შემადგენლობით (სუსტები დაბლა დარჩნენ) შეუყვნენ რომკის უღელტეხილისკენ მიმავალ მომქანცველ აღმართს და 2600 მ სიმაღლეზე, აბუდელაურის ტბებთან დაბანაკდნენ. ვარჯიში აქაც გაგრძელდა, რის შემდეგ კვლავ გადახალისდა ჯგუფი. უფროს კოლეგებთან, გამოცდილ მთამსვლელებთან და პედაგოგ-მასწავლებლებთან ერთად, 80-ზე მეტმა მონაწილემ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის **შოთა მირიანაშვილის** ხელმძღვანელობით, ჭაუხების მასივის 3900 მ. სიმაღლის მწვერვალი ვაჟა-ფშაველა დალაშქრა. ორდღიანი დასვენების შემდეგ, შთაბეჭდილებებით დატვირთული ახალგაზრდები 23 ივლისს თბილისს დაუბრუნდნენ.

წინა წლების ალპინიადებისგან განსხვავებით, შესამჩნევია ახალგაზრდობის მზარდი დაინტერესება ასეთი ღონისძიებებისადმი.

ალპინიადის ეფექტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, მაგრამ 26-მა ახალგაზრდამ, საჭურველისა და ჩაცმულობის დეფიციტის გამო ვერ შეძლო მწვერვალზე ასვლა. სამწუხაროდ, საჭურველის ფასები ბევრისთვის ხელმიუწვდომელია. თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა, მასობრივი ტურიზმი ვერ განვითარდება.

**ვაჟა მათითაიშვილი**
ალპინიადის სასწავლო ნაწილის უფროსი

# ქართლში პურნაჭამი სამართალი



გორში მოქმედმა ერთადერთმა ტურისტულ-სპორტულმა ცენტრმა „ტონთიომ" (ხელმძღვანელი **მიხეილ ცერცვაძე**), რამდენიმე დღის წინათ ატენის ხეობაში საზაფხული ბანაკი დასცა და ქართლის ენერგიულად მომართული მოსწავლე-ახალგაზრდობა ამ ხეობისკენ დაიძრა.

ალპინიადების, ტურისტული ლაშქრობების, საზაფხულო სპორტული ბანაკების და სხვა უამრავი ღონისძიების მოწყობით ეს ორგანიზაცია არა მხოლოდ ამ რეგიონისთვისაა ცნობილი. არადა, ადგილობრივ ხელისუფლებას შარშან მისი დაშლა სურდა.

25-წლიანი ისტორიის სპორტული ცენტრი დღესდღეობით მისთვის ჩვეული კონდიციებით, სრულადაა ამოქმედებული. მისი ორგანიზებით ცოტა ხნის წინათ გორელები კიდევ ერთხელ იყვნენ მყინვარზე. სექტემბერში კავკასიონზე მწვერვალ გორის დალაშქვრიდან 50 წლის აღსანიშნავად მოეწყობა ალპინისტური ლაშქრობა. მიმდინარე თვეში კი ამოქმედდა და აგვისტოს ბოლომდე იფუნქციონირებს ატენის ხეობის სოფელ ბიისთან, მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი ბანაკი, სადაც ტონთიოელები ახალგაზრდებს ტურისტულ ცხოვრებას აჩვევენ და ალპინიზმს ასწავლიან. ხეობაში სისტემატურად ეწყობა ტურისტული ლაშქრობები ქართველი მთამსვლელებისათვის ცნობილ იმ ადგილისაკენ, სადაც ბოლო წლებია, ზამთარში გაყინულ ჩანჩქერზე საქართველოს პირველობა იმართება ხოლმე.

აშკარაა, რომ მავანთა მერკანტილურ ინტერესებს კინაღამ შეწირული „ტონთიოს" ძველებურად ამოქმედება ბევრს წაადგება. კარგია, რომ სამართალმა ამ შემთხვევაში მაინც „ჭამა პური".

**ვასილ ბალახაძე**
ატენის ხეობა

რაგბი

# პირველი წრე ლოკომოტივისაა



**ლოკომოტივი-ყოჩები 27:12**

ლოკომოტივი (15-9) ნიკლაური, ჩიტიძე, ქავთარაძე, ბერძენიშვილი, გუგავა (ანდღულაძე 73), კვინიხიძე, ლვინჯილია; (1-8) ნატრიაშვილი, ზარიძე, პეტრიაშვილი, გუჯარაიძე, კორკოტაძე (ახვლედიანი 62), გენებაშვილი, ნიშნიანიძე, მაისურაძე

*4 ლ (ლვინჯილია(2), ქავთარაძე, ნიშნიანიძე); 2 გ, ს (კვინიხიძე)*

ყოჩები (15-9) დადაშიანი, ნიჟარაძე (ელოშვილი 65), ინაშვილი, ადანაია (სონღულაშვილი 65), გეგენავა, გრძელიშვილი, ხელაძე (მახარაშვილი 75; (1-8) ასეიშვილი (ჭავჭავაძე 65), ბრეგვაძე, კიკნაველიძე (კიკუაშვილი 65), მელაშვილი, არჩუაშვილი, კალმახელიძე, მარგველაშვილი (ბარბაქაძე 75), თოთაძე

*2 ლ (დადაშიანი, ინაშვილი); გ (დადაშიანი)*

სინბინი (ჭავჭავაძე)

მსაჯი: გ. ჯავახიშვილი

საქართველოს ჩემპიონატის გადატანილ შეხვედრაში გათამაშების ფავორიტი "ლოკომოტივი" მოქმედ ჩემპიონს "ყოჩებს" დაუპირისპირდა და 27:12 დაამარცხა.

შეხვედრა "ყოჩებმა" ომახიანად დაიწყეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მეტოქეს, რომელსაც წლეულს საფუძვლიანი საჩემპიონო ამბიციები აქვს, საკმაოდ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და დასაწყისშივე საჯარიმო დარტყმა გამოსტყუეს, თუმცა, ძალზედ ხელსაყრელი მდგომარეობიდან **მიხეილ დადაშიანმა** ვერ გაიტანა.

ანგარიში შეხვედრაში ლოკომოტიველებმა მე-15 წუთზე გახსნეს. "ყოჩების" ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში მათ სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. იქიდან გამოსულ ბურთს კი ყველაზე უმალ "ლოკომოტივის" ცხრა ნომერი **ლევან ლვინჯილია** დაეუფლა და მეტოქის ლელოში შეაღწია; **ბობა კვინიხიძემ** გარდასახვა ვერ გაიტანა.

თერთმეტ წუთში ლვინჯილიამ მეორე ლელოც მიითვალა, საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან თავისუფალი დარტყმა სწრაფად გაათამაშა, ოდნავ წინ წაიწია და მარცხნივ, გარემარბად მოთამაშე **დავით ჩიტიძეს** მიაწოდა. ამან მეტოქის ლელომდე ისე ირბინა, რომ გზად ოთხი მოწინააღმდეგე ჩამოიტოვა და ზედ ჩათვლის მოედნის ხაზთან, ბურთი ისევ ლვინჯილიას დაუბრუნა. კვინიხიძემ ვერც ამჯერად გარდასახა, თუმცა მანვე ექვსი წუთით ადრე საჯარიმოდან მაინც გაიტანა 13:0.

მომდევნო ლელო "ლოკომოტივმა" ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გაიტანა. დერეფანი მათ მეტოქის ოცდაორმეტრიან ხაზთან მოიგეს და ბურთი მყისვე ხაზზე გაიტანეს, შუამარბმა გიორგი ქავთარაძემ ხაზი გაჭრა და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. კვინიხიძემ გარდასახა, 20:0.

"ყოჩებმა" ტაიმის მშრალად წაგებას თავი ბოლო წუთზე დააღწიეს. ყოჩი მორკინალები შუიდან ცდილობდნენ მოკლე დარტყმებით ოცდაორმეტრიან ზონაში შეღწევას. მერე ბურთი მარჯვენივ ფრთაზე გამოიტანეს, ფულ ბეკი დადაშიანი ორ მეტოქეს ხელიდან დაუსხლტა და კარის ძელებს შორის შეიჭრა. ლელო მანვე გარდასახა - 7:20.

მეორე ტაიმი შეუპოვარ, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. 70-ე წუთამდე ანგარიში ისევ პირველი ტაიმის იყო. ბოლო ათ წუთში კი გუნდებმა თითო ლელო გაცვალეს და შეხვედრა "ლოკომოტივის" გამარჯვებით დასრულდა - 27:12.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 8 | 7 | 0 | 1 | +110 | 14 |
| 2. ლელო | 8 | 6 | 0 | 2 | +8 | 12 |
| 3. უნივერსიტეტი | 8 | 4 | 1 | 3 | -12 | 9 |
| 4. აკადემია | 7 | 4 | 0 | 3 | +11 | 8 |
| 5. ყოჩები | 8 | 4 | 0 | 4 | -7 | 8 |
| 6. აია | 8 | 3 | 1 | 4 | -25 | 7 |
| 7. დინამო | 7 | 1 | 0 | 6 | -34 | 2 |
| 8. არმაზი | 8 | 1 | 0 | 7 | -56 | 2 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# მარაის მეორე ტიტული

გუშინ "კოკა-კოლას" თასის გათამაშებაზე წყვილთა შორის ფინალური მატჩი გაიმართა და ჩემპიონებიც გამოვლინდნენ: იტალიელმა **მატეო მარაიმ** ამჯერად მეწყვილედ ლატვიელი **დენისს პავლოვსი** აირჩია და გამოიცნო კიდეც - უკრაინელი ძმების - **გლებ** და **ვადიმ ალეკსეენკოების** დამარცხებით, ისინი ჩემპიონები გახდნენ - 6:7 (7), 6:4, 10:8. მოგეხსენებათ, წყვილთა შორის მესამე, გადამწყვეტი სეტი ტაიბრეიკის წესით იმართება. ანგარიშიდან კარგად ჩანს, რომ თანაბარი უშელავათო ბრძოლა იყო, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ იქამდე მატეო მარაის ერთეულთა თანრიგში ნახევარფინალური მატჩი ჰქონდა ნათამაშები, თანაც სამსეტიანი დაძაბული ორთაბძოლა მოიგო, იტალიელის და ლატვიელის გამარჯვება ფრიად გასაკვირიც ჩანს.

გუშინ, ისევე როგორც ბოლო რამდენიმე დღე, თბილისში საშინლად ცხელოდა. ერთეულთა ნახევარფინალური შეხვედრები 12 საათზე დაიწყო და ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. სწორედ ამ დროს იყო მზე ზენიტში. მატეოს მეტოქე უკრაინელი **დენის მოლჩანოვი** გახლდათ და მაგარი წინააღმდეგობაც გაუწია: პირველი სეტი 4:6 დათმო, მეორეში კი იმარჯვა უკრაინელმა, მხოლოდ ტაიბრეიკზე - 7:6 (4). იოლი არც მესამე სეტი გამოდგა რომელიმე მხარისთვის, მაგრამ უფრო წარმატებული მაინც მარაი გამოვიდა და 6:4 მოიგო.

ერთეულთა ფინალი დღეს 12 საათზე დაიწყება. მესამე თბილისური ტიტულის მოგებაში მატეოსთვის ხელის შეშლას ფრანგი **შარლ როშე** შეეცდება, რომელმაც გუშინ დენისს პავლოვსი ბავშვივით დაიბრიყვა - 6:0, 6:1. როგორც ჩანს, ფრანგი ალმავლობას განიცდის და იტალიელს რომც მოუგოს, არავის გაუკვირდება...

# სოფიო მელიქიშვილის პირველი გამარჯვება

ევანსვილში (აშშ) 10-ათასიან ტურნირში ითამაშა 21 წლის **სოფიო მელიქიშვილმა**. მელიქიშვილმა ტრავმის გამო რამდენიმე თვე გამოტოვა, ამიტომაც ერთ დროს მსოფლიოს 259-ე ჩოგანმა რეიტინგის პირველ ათესეულშიც კი დაკარგა ადგილი. ერთწლიანი შესვენების შემდეგ საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში პირველი გამარჯვება სოფიომ ამერიკელ **ემილი გელბერზე** მოიპოვა – 6:3, 6:2. მელიქიშვილი მერვედფინალში დამარცხდა, სადაც მას სლოვაკმა **ჟუჟანა ზემენოვამ** აჯობა – 3:6, 6:7 (4).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კალაშნიკოვამ ხარკოვში გაისროლა

17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** წყვილთა რეიტინგში 351-ე ჩოგანია, ორშაბათიდან კი ჩვენებური საგრძნობლად წაიწევს წინ კლასიფიკაციაში, რადგან მან ხარკოვის საერთაშორისო ტურნირის წყვილთა ბადე მოიგო. ეს ოქსანას მე-4 ტიტულია პროფესიულ ჩოგბურთში, ოთხივეჯერ კალაშნიკოვამ წყვილთა თანრიგში იყოჩაღა. შარშან მან გერმანიაში გარხინგის საერთაშორისო ტურნირის წყვილთა ბადე მოიგო, წლეულს, მარტში ჩვენებურმა ზედიზედ ორი ტურნირი დაიპყრო ქაიროში. წინა სამი ტრიუმფი 10-ათასიან ტურნირებზე მოდის, ხარკოვში საპრიზო ფონდი მეტია – 25 ათასი ამერიკული დოლარი.

წყვილთა ბადეში ოქსანა კალაშნიკოვა და რუმინელი **მიხაელა ბუზარნესკუ** მე-2 ნომრად იყვნენ განთესილები. გთავაზობთ მათ გავლილ გზას ფინალამდე: **ჩალოვა, გალანინა** (რუსეთი) – 7:6, 6:3; **ავდიენკო, ტეპლიაკოვა** (უკრაინა) – 6:2, 7:5; **ნ. კიჩენოკი, ლ. კიჩენოკი** (უკრაინა) – 6:3, 6:0. კალაშნიკოვას ფინალში კვლავ უკრაინული დუეტის წინააღმდეგ მოუწია თამაში, **ხრისტინა ანტონიჩუკმა** მას ერთეულთა თანრიგში აჯობა, ანტონიჩუკთან ერთად კი **ლესია ცურენკო** თამაშობდა. ჩვენებურის შურისძიება შედგა – 6:1, 6:4.

ლუქსემბურგის ქალაქ პეტანჟში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გრძელდება, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია. საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (197) წყვილთა თანრიგში გაგვახარა, სადაც ესტონელ **მარიტ რუუტელს** შეეწყვილდა. მეოთხედფინალში მათ ბულგარელი **ევტიმოვა** და სერბი **კოჟიჩი** დაამარცხეს – 6:3, 6:3. ნახევარფინალში მაკას კვლავ ფრანგი **სტეფანი ფორეტსი** (102) გადაეყარა, **იპეკ სენოღლუსთან** (თურქეთი) ერთად. შეგახსენებთ, რომ ერთეულებში ჩახნაშვილი სწორედ ფრანგმა ჩოგბურთელმა გააგდო. სამწუხაროდ, ჩახნაშვილი მეორედაც დამარცხდა ფორეტსთან ბრძოლაში, ამჯერად მეწყვილესთან ერთად – 1:6, 3:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ელენა ანას წინააღმდეგ



ორშაბათიდან, ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციას, შესაძლოა, ახალი ჩოგბურთელი ჩაუგეს სათავეში. ამ კვირას, ლოს ანჯელესში WTA-ს პირველი კატეგორიის ტურნირი იმართება, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარი გახლავთ. რეიტინგის წამყვანი მოთამაშეებიდან, აქ მხოლოდ სერბი **ელენა იანკოვიჩი** თამაშობს და თუ კლასიფიკაციის მეორე ნომერი ტურნირის მოგებას შეძლებს, შესაბამისად, გაასწრებს თავის თანამემამულეს, **ანა ივანოვიჩს** და კარიერაში პირველად დაიკავებს WTA-ს რეიტინგის პირველ პოზიციას. ამჟამად, ივანოვიჩსა და იანკოვიჩს შორის სხვაობა 143 ქულას შეადგენს.

*"სულ რაღაც სამი თამაშის მოგება მრჩება ოცნების ასასრულებლად და ამისთვის ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებ. რაც მთავარია, ტრავმირებული მუხლი ბოლომდე მოვირჩინე და ტკივილი აღარ მაწუხებს"*, - ამბობს ისტორიული მოვლენის წინ იანკოვიჩი.

ელენამ გუშინ, გვიან ღამით უნგრელი **მელინდა ჟინკი** დაამარცხა. მომდევნო ეტაპებზე მისი სავარაუდო მეტოქეები არიან რუსები - **ნადეჟდა პეტროვა, ვერა ზვონარევა** ან **დინარა საფინა**.

გია თვალაბეიშვილი

# უკრაინული აფერისტობა

უცნაური ფაქტი მოხდა 10 წლამდე გოგონათა შორის ტურნირზე, რომელსაც ახალი ზელანდიის ქალაქი კრისტჩერჩი მასპინძლობდა. ორგანიზატორებმა დისკვალიფიკაცია მისცეს 8 წლის უკრაინელ **ანასტასია კორჟს**, რომელიც კარიერაში პირველ ტურნირს ატარებდა. სასჯელი ტოტალიზატორზე თამაშით, ან დოპინგის მიღებით არ ყოფილა განპირობებული. მსაჯმა და ტურნირის მენეჯერმა აღმოაჩინეს, რომ ნორჩი ჩოგბურთელი თანამედროვე რადიოკავშირის მეშვეობით, კორტზე მამის კარნახს უგდებდა ყურს. ამისთვის ოჯახი რადიოკლიპსს იყენებდა, რომელიც ანასტასიას ყურში ჰქონდა გარჭობილი (და მას ქუდით მალავდა), ხოლო ეს კლიპსი კაბელით ტანსაცმლის ქვეშ დამალულ რესივერთან იყო დაკავშირებული.

გოგონას მამა (თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი) ამტკიცებს, რომ რადიოკავშირის საშუალებით შვილს მხოლოდ მატჩის ანგარიშს ატყობინებდა. როგორც წესი, ბავშვების ტურნირებზე, მონაწილეები ანგარიშს თავად ითვლიან. **დიმიტრი კორჟის** სიტყვებით,



ანასტასიას მეტოქეები იყენებდნენ იმ ფაქტს, რომ უკრაინელი თავის პირველ ტურნირს თამაშობდა და ანგარიშის თვლა უჭირდა.

გია თვალაბეიშვილი

ველოსპორტი. პეკინი 2008

# კონტადორის მეთაურობით

ესპანეთის ველომრბოლთა ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით მიემგზავრება პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე. პირენეელთა დამრიგებელმა **ფრანსისკო ანტეკერმა** გუშინ გამოაცხადა შემადგენლობა, რომელსაც სათავეში უდგას 2007 წლის ტურ დე ფრანსისა და 2008 წლის ჯირო დ'იტალიას ჩემპიონი, **ალბერტო კონტადორი**.

მას გვერდს უმშვენებენ არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონი **ოსკარ ფრეირე, კარლოს სასტრე, ალეხანდრო ვალვერდე** და **სამუელ სანჩესი**. კონტადორის გარდა, აქ ჩამოთვლილი ყველა ველომრბოლი, ამჟამად ტურ დე ფრანსზე გამარჯვებისთვის იბრძვის.

ესპანელებს ერთადერთი დანაკლისი აქვთ. წლევანდელი ტურის ერთ-ერთ ეტაპზე მძიმე ტრავმა მიიღო 2006 წლის ტურ დე ფრანსის გამარჯვებულმა, **ოსკარ პერეირომ** და ნაკრებში მისი ადგილი სანჩესმა დაიკავა. ეს უკანასკნელი დროზე ინდივიდუალურ რბოლაში გამოვა, სადაც კონტადორსაც ვიხილავთ.

სპეციალისტების აზრით, ესპანეთის ნაკრები ოლიმპიური მედლების მოპოვების მთავარი პრეტენდენტი იქნება.

გია თვალაბეიშვილი

ტურნირები

# ტორონტო ფავორიტებს კარგავს

**როჯერ ფედერერის** შემდეგ, ტორონტოს მასტერსის სერიის ტურნირს მესამე წრეში კიდევ რამდენიმე ძლიერი მოთამაშე გამოეთიშა – ტურნირი დატოვეს ამერიკელმა **ენდი როდიკმა**, რუსმა **ნიკოლაი დავიდენკომ** და ესპანელმა **დავიდ ფერერმა**, რომლებიც შესაბამისად, მე-4, მე-5 და მე-6 ნომრებად იყვნენ ვანთესილნი.

როდიკი ხორვატ **მარინ ჩილიჩთან** სამ სეტში დამარცხდა, კორტიდან გასვლის წინ კი განაცხადა, ჩემი მეტოქე ძალიან აგრესიულად თამაშობდა და შეხვედრაც ამან მოაგებინაო. შემდეგ კი დასძინა, რომ სასურველ ფორმაში არ იმყოფება და ამ ეტაპზე გავარდნას სრულიად იმსახურებდა.

როდიკი თავიდანვე ინდიფერენტულად გამოიყურებოდა. ხანდახან ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ბურთის მოგერიებაც ეზარებაო. შედეგად, ჩილიჩმა პირველ ხელში მესამე და მეშვიდე გეიმებში შეძლო ბრეიკის მოპოვება. არადა, პირველ სეტში, ხორვატის პირველი მოწოდების მხოლოდ ნახევარი აღწევდა მეტოქის პერიმეტრს.

მეორე ხელში, როდიკმა მაყურებლის აქტიურობის წყალობით გამოიღვიძა და ეს შედეგზეც აისახა. ამერიკელმა ორჯერ, მერვე და მეათე გეიმებში გატეხა მეტოქე მისსავე სერვისზე და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა. მაგრამ ამით 19 წლის ჩილიჩი არ გატყდა. მან გადამწყვეტი სეტის დასაწყისშივე შეძლო ბრეიკის აღება და აქედან მოყოლებული, მეტოქისთვის ანგარიშის გათანაბრების შანსიც კი არ მიუცია. ნამატჩევს ჩილიჩმა განაცხადა, ეს ჩემს კარიერაში ყველაზე გამორჩეული გამარჯვებააო.

დავიდენკომაც სამ სეტში წააგო გერმანელ **ნიკოლას კიფერთან**, ფერერი კი ფრანგ **რიშარ გასკესთან** დამარცხდა. ამგვარად, ტურნირის მოქმედ ჩემპიონს, სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და მსოფლიოს მეორე ჩოგან **რაფაელ ნადალს** ნახევარფინალისკენ (ბადე მათ სწორედ ნახევარფინალში ახვედრებს) გზა მაქსიმალურად გაუსუფთავდათ, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ საჩემპიონო შეხვედრამდე ადვილი გზა ექნებათ, რადგან ტურნირის მონაწილეთაგან რამდენიმე ჩოგბურთელი შესანიშნავ ფორმაში იმყოფება.

ერთ-ერთი მათგანია ფრანგი **ჟილ სიმონი**, ვინც მეორე წრეში ტურნირი ფედერერს დაატოვებინა, გუშინ კი იოლად გაუსწორდა არგენტინელ კერკეტ კაკალ **ხოსე აკასუსოს**. მეოთხედფინალში სიმონს საქმე ჩილიჩთან ექნება.

არანაკლებ კარგ ფორმაშია ბრიტანელი **ენდრიუ მარეიც**, რომელსაც სამი სეტი დასჭირდა შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკას** დასამარცხებლად. მარეი თავადვე აღიარებს, კარგ ფორმაში ვარო და თუ ასევე კარგად ვითამაშე, მომდევნო ეტაპზე ჯოკოვიჩსაც გავუსწორდებიო. სწორედ სერბი ჩოგბურთელი იქნება მისი მომდევნო მეტოქე.

ნადალმაც ორ სეტში მოიგო თავისი თამაში, რომელშიც მის პირისპირ რუსი **იგორ ანდრეევი** იდგა. *"გუშინდელთან შედარებით, ასი პროცენტით უკეთ ვითამაშე, თუმცა მეორე სეტში ცოტა კი ვინერვიულე, რადგან ფედერერს სწორედ მეორე სეტიდან შეექმნა პრობლემები და მეც ვფიქრობდი, იგივე არ დამემართოს-მეთქი"*, - განაცხადა ნადალმა.

მერაბ ლორთქიფანიძე



ჟილ სიმონი წინსვლას აგრძელებს

**ATP**

**ტორონტოს მასტერსი**

**ტორონტო (კანადა). ჰარდი**

საპრიზო ფონდი: 2 615 000 დოლარი

**მესამე წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:2, 7:6(1); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-რობინ სოდერლინგი (შვედ) 6:4, 6:4; **ნიკოლას კიფერი (გერმ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 4:6, 6:4, 6:4; **რიშარ გასკე (საფრ, 10)**-დავიდ ფერერი (ესპ, 5) 6:3, 6:3; **მარინ ჩილიჩი (ხორვ)**-ენდი როდიკი (აშშ, 6) 6:4, 4:6, 6:4; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 7)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 4:6, 6:1, 6:4; **ენდი მარეი (ბრიტ, 8)**-სტანისლას ვავრინკა (შვეი) 6:2, 0:6, 6:4; **ჟილ სიმონი (საფრ)**-ხოსე აკასუსო (არგ) 6:3, 6:4

**WTA**

**ლოს ანჯელესის კლასიკური**

**ლოს ანჯელესი (აშშ, კალიფორნია). ჰარდი**

საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

**მესამე წრე**

**ელენა იანკოვიჩი (სერბ, 1)**-მელინდა შინკი (უნგ) 6:3, 6:2; **სიბილ ბამერი (ავსტ, 14)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 3) 6:4, 5:7, 6:2; **დინარა საფინა (რუს, 4)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 7:6(1), 0:6, 7:6(3); **ნადია პეტროვა (რუს, 9)**-ვერა ზვონარევა (რუს, 5) 6:4, 7:5; **ვიქტორია აზარენკა (ბელა, 8)**-სამანტა სტოშური (ავსტრალ) 6:4, 7:6(4); **ფლავია პენეტა (იტა, 10)**-აი სუგიამა (იაპ) 7:6(5), 6:3; **ბეთანი მატეკი (აშშ)**-ოლგა გოვორცოვა (ბელა) 7:5, 6:2; **მენ იუანი (ჩინ)**-მელანი საუთი (ბრიტ) 6:2, 6:3

ოლიმპიზმი. დისკვალიფიკაცია

# ერაყელებს პეკინში არ უშვებენ

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ოლიმპიური ოჯახის წევრობა დროებით შეუჩერდა ერაყის ოლიმპიურ კომიტეტს და შესაბამისად, ამ ქვეყნის ოლიმპიელები პეკინის თამაშებზე ასპარეზობას ვერ შეძლებენ. ამის თაობაზე, ოფიციალური განცხადება ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, **ჰუსეინ ალ-ამიდიმ** გააკეთა.

სოკ-ის ესოდენ მკაცრი გადაწყვეტილების მიზეზი ის ფაქტი გახდა, რომ ერაყის მთავრობამ, ჯერ კიდევ მაისში დაითხოვა ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. სოკ-მა ერაყს ამ გადაწყვეტილების გასაუქმებლად ვადა მისცა, მაგრამ სიტუაცია არ შეცვლილა, რის გამოც, ამ ქვეყანას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრობა გაურკვეველი ვადით შეუჩერდა.



ერაყელი ნიჩბოსნები - ჰაიდარ ნოზადი (მარჯვნივ) და ჰამზაჰ ჰუსეინი პეკინის ოლიმპიადისთვის ტყუილად ემზადებოდნენ

მას შემდეგ, რაც ერაყში აშშ-ის ჯარი შევიდა, ამ ქვეყნის დაახლოებით ასი სპორტსმენი დაიღუპა. თუმცა, ამის მიუხედავად, ერაყი პეკინში რამდენიმე სპორტსმენის მივლენას მაინც აპირებდა. ამ ეტაპზე, შვიდ ერაყელ სპორტსმენს (მათ შორის ორ ნიჩბოსანსა და თითო ძალოსანს, სპრინტერს, ბადროს მტყორცნელს, ძიუდოს მოჭიდავე ქალსა და მშვილდოსანს) ჰქონდა მოპოვებული პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია.

*"სამწუხაროდ, ვერაფერს ვიზამთ. როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის მთავრობას სურდა, რომ ჩვენ ოლიმპიადაზე არ გავმგზავრებულიყავით. ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია, რომ პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლას ვერ შევძლებ"*, - ამბობს მშვილდოსანი **ალი ადნანი**, ვინც პეკინისთვის ეგვიპტეში, სოკ-ის ხელშეწყობით ემზადებოდა.

თავის მხრივ, საკუთარი გადაწყვეტილებით თავადვე განაწყენებულია სოკ-იც, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში, ერაყელ სპორტსმენებს ყველანაირად ეხმარებოდა. მაგრამ სოკ-ი თავის წესდების წინააღმდეგ ვერ წავიდა.

რა თქმა უნდა, არსებობს ძალიან მცირე შანსი იმისა, რომ ერაყის სპორტული დელეგაცია პეკინში დაუშვან, თუმცა ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ ერაყის მთავრობა დათმობაზე არ წავა. მისი არგუმენტი კი საკმაოდ მყარია – ის აცხადებს, რომ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არალეგიტიმური იყო, რადგან მისი არჩევისას ქვორუმი არ შედგა, განმეორებითი არჩევნები კი არ ჩატარებულა. ერაყის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი **ჟასემ მოჰამედი** ირწმუნება, რომ ერაყის მთავრობა თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის, რადგან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაშლა კანონის შესაბამისად მოხდა.

თავის მხრივ, საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ქარტია ერთმნიშვნელოვნად კრძალავს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების საქმიანობაში ქვეყნის მთავრობათა ჩარევას. სოკ-მა ერაყის მთავრობა პრობლემის განსახილველად ლოზანაში მიიწვია, მაგრამ შეხვედრა არ შედგა...

მერაბ ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოპინგი. პეკინი 2008

# ჰარდი დოპინგზე გამოიჭირეს

აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს ცნობით, აშშ-ის მოცურავეთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის დროს ჩატარებულმა ერთ-ერთმა შემოწმებამ, ოლიმპიელ მოცურავე **ჯესიკა ჰარდის** სინჯში აკრძალული პრეპარატი კლენბუტეროლი აღმოაჩინა.

ტურნირის დროს, ჰარდი სამჯერ გაისინჯა, მაგრამ პირველ და მესამე სინჯებზე უარყოფითი პასუხი დაფიქსირდა. სამაგიეროდ, დოპინგის შემცველობაზე დადებითი პასუხი გასცა მეორე ტესტმა. უფრო მეტიც, უკვე მოესწრო განმეორებითი ანალიზის ჩატარება, რომელმაც პირველის პასუხი დაადასტურა. ამგვარად, ჰარდი ვერ შეძლებს პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლას, სადაც მას მონაწილეობა 100 მეტრზე ბრასსა და 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უნდა მიეღო.

*"თავი საშინელ სიზმარში მგონია. გულისცემა გაორმაგებული მაქვს. წარმოდგენაც არ მაქვს, როგორ შეიძლებოდა ეს ნივთიერება ჩემს სინჯში აღმოჩენილიყო. მე ხომ ვიცი, რომ სტიმულატორები არასდროს გამომიყენებია. მე მყავს ადვოკატები და ექსპერტები, რომლებიც მომხდარს გააანალიზებენ, ამ ეტაპზე კი ვერ ვხვდები, როგორ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო"*, - აშკარად დაბნეულია ჰარდი, ვინც მოკლე აუზში, მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე, 50 და 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მსოფლიოს რეკორდები დაამყარა.

მოცურავე არ ტყდება და ამბობს, რომ აუცილებლად გაასაჩივრებს ტესტის შედეგებს და იმედოვნებს, რომ პეკინში გამოსვლის უფლებას დაიბრუნებს. თუმცა, ისიც ესმის, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება: *"ვიცი, რომ მართალი ვარ და ამიტომ, ჩემი უდანაშაულობის სასამართლოში დამტკიცებას ვეცდები. და თუ სასწაული მოხდა, პეკინში გამოსვლის უფლებასაც დავიბრუნებ"*.

სხვათა შორის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი **გერი ჰოლ უმცროსი** დიდი ხანია ირწმუნება, რომ დოპინგი ცურვაშიც ისევე გავრცელებულია, როგორც მძლეოსნობასა და ბეისბოლში. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ცურვას დოპინგსკანდალები იშვიათად აწუხებს.

ჰოლისგან განსხვავებით, აშშ-ის ცურვის ფედერაციის შეფი **ჩაკ ვიელგუსი** თვლის, რომ ცურვაში მოღვაწე ხალხმა კარგად იცის, რა არის დოპინგი და როგორ მოქმედებს ის ადამიანზე, როცა დანიშნულების მიხედვით არ იყენებენ. *"ჩვენმა სპორტსმენებმა კარგად იციან, როგორ მოქმედებს სტიმულატორი ორგანიზმზე და ისინი მას იშვიათად ეკარებიან. და თუ მაინც ხდება გამონაკლისები, დამრღვევებს სწრაფად ვავლენთ და უხმაუროდ ვსჯით"*, - ამბობს ვიელგუსი.

კლენბუტეროლი მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს მიერ შედგენილ აკრძალულ პრეპარატთა სიაში ორი წლის წინათ შეიტანეს. იმ სიაში სულ ხუთი სახეობის ანაბოლური სტეროიდია შეტანილი. ამ პრეპარატს ხშირად წონის დასაკლებად იყენებენ და ის ლეგალიზებულია აშშ-ის ცხენოსნობაში. ამ პრეპარატის მეშვეობით, ცხენების ფილტვების ტევადობა იზრდება. ამ წამალს აშშ-ში ვერ იყიდით. სამაგიეროდ, ზოგიერთ ქვეყანაში მას ასთმით დაავადებულებისთვის იყენებენ, რათა პაციენტებს სუნთქვა გაუადვილდეთ.

ეს წამალი უსიამოვნო ისტორიითაცაა ცნობილი. ორი წლის წინათ, შანხაიში რამდენიმე ასეული ადამიანი მოიწამლა ღორის ხორცით, რომელიც ჭარბად შეიცავდა კლენბუტეროლს. ამ პრეპარატს კი ფერმერები იმისთვის იყენებდნენ, რომ მჭლე ხორცი მიეღოთ.

სხვათა შორის, ამერიკელმა ოლიმპიელებმა, რომელთა შორისაც არიან **მაიკლ ფელპსი, დარა ტორესი** და **ნატალი კაფლინი**, აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოსთან წლის დასაწყისში ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის მიხედვითაც, ისინი სააგენტოს მიერ შემუშავებულ საპილოტო პროგრამაში ღებულობენ მონაწილეობას. ამით, ისინი აქარწყლებენ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დოპინგის მომხმარებლები არიან.

გერი ჰოლი კი მსოფლიოს დოპინგსაწინაღმდეგო სააგენტოს ურჩევს, აკრძალული პრეპარატების სიის ნაცვლად, შეადგინოს დასაშვები პრეპარატების სია, რომლებსაც ყველა სპორტსმენი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე გამოიყენებდა. ჰოლი ამბობს, რომ ხშირია შემთხვევები, როცა სპორტსმენები შემთხვევით ღებულობენ აკრძალული ნივთიერების შემცველ პრეპარატებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



## ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

მე-19 ეტაპი. რონიდან მონლუსონამდე (165.5 კმ)

1. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) 3:37.09 (45.73 კმ/სთ); 2. ჟერემი რუა (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) იგივე დროში; 3. გერალდ ჩოლეკი (გერმანია, კოლუმბია) 1.13; 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) 1.13; 5. ჰაინრიხ ჰაუსლერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 1.13; 6. ლეონარდო დუკე (კოლუმბია, კოფიდისი) 1.13; 7. ფილიპო პოცატო (იტალია, ლიკვიგაზი) 1.13; 8. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 1.13; 9. რობერტ ფორსტერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 1.13; 10. ჯულიან დინი (ახ.ზელანდია, გარმინ-ჩიპოტლე) 1.13...

კლასიფიკაცია 19 ეტაპის შემდეგ

1. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 82:54.36; 2. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 1.24; 3. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 1.33; 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 1.34; 5. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 2.39; 6. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 4.41; 7. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.35; 8. სამუელ სანჩეს გონსალესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.52; 9. ტადეი ვალიავეცი (სლოვენია, AG2R ლა მონდიალი) 8.10; 10. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, AG2R ლა მონდიალი) 8.24...

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ამიენი-ვარეგემი | 2:0 |
| ჰანოვერი-ვიგანი | 2:2 |
| მალიორკა-ვოლფსბურგი | 0:1 |
| დენ ჰააგი-როსენდალი | 2:0 |
| კაიზერი-ჰართსი | 1:0 |
| ლილი-რუზელარე | 3:0 |
| მაინცი-რასინგი | 2:2 |
| ჰევერლე-გენკი | 1:4 |
| სპარტა-კორტრიიკი | 0:0 |
| სუონსი-ესპანიოლი | 0:4 |
| როჩდეილი-ბოლტონი | 0:0 |
| უეიმაუთი-ბრისტოლი | 3:3 |
| ნოტინგემი-ევერტონი | 1:1 |
| უდინეზე-ბილბაო | 0:3 |
| ბენფიკა-ბლექბერნი | 2:3 |
| ნიურნბერგი-პლიმუტი | გადაიდო |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ერფურტი-დინამო (დრ) | 0:1 |
| **ავსტრია** | |
| ლინცერი-აუსტრია (კ) | 3:2 |
| **II დივიზიონი** | |
| აუსტრია (ლ)-ზალცბურგი A | 1:2 |
| აუსტრია A-ლეოზენი | 1:2 |
| გრიოდიგი-ადმირა | 2:1 |
| ფოკლაბრუკი-გრატკორნი | 4:1 |
| ვინერი-ლუშტენაუ | 1:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| გოსაუ-ვოლენი | 2:0 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-უნივერსიტი | 2:0 |
| გალვეი-დერი | 0:4 |
| შემროკი-სლიგო | 1:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| დ. სტრედა-ტრნავა | 3:0 |
| **პოლონეთი** | |
| არკა-პოლონია | გადაიდო |
| ვისლა-რუხი | გადაიდო |
| **რუსეთი** | |
| ხიმკი-ნალჩიკი | 2:0 |
| **უკრაინა** | |
| დნიპრო-დინამო | 1:3 |
| **უნგრეთი** | |
| კაპოშვარი-მტკ | 3:1 |
| **ბრაზილია** | |
| პალმეირასი-სანტოსი | 4:2 |
| ფიგუერენსე-გრემიო | 1:7 |
| სპორტ რესიფე-ატ. პარანაენსე | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სერბეთი-უკრაინა | 90:56 |
| რუსეთი-ლატვია | 84:63 |

| ფრენბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიო ლიგა** | |
| ბრაზილია-იაპონია | 3:0 |
| სერბეთი-პოლონეთი | 3:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ტორონტო (მასტერსი)** | |
| სიმონი-ჩილიჩი | 3:6, 6:2, 6:3 |
| ბლეიკი-კიფერი | 1:6, 2:6 |
| **WTA. პორტოროჟი** | |
| ვოზნიაჩკი-დუშევინა | 6:0, 6:1 |
| მედინა გარიგესი-ბოვინა | 6:3, 6:2 |
| კირილენკო-ერანი | 1:6, 5:7 |

## TV სპორტი

### 26 ივლისი. შაბათი

**I არხი**

12:20 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. კაცები (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:50 რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-ზენიტი (LIVE).
18:00 ევრო 2008. ფინალი. თურქეთი-ჩეხეთი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 საერთაშორისო ტურნირი - VODACOM CHALLENGE. ფინალი. სამხრეთ აფრიკა.
22:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ევრო 2008. ფინალი. პოლონეთი-ხორვატია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ტორონტო. კანადა.
15:15 სპორტის სამყარო.
15:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჰანოვერი-ვერდერი.
16:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:40 ფეხბურთი. ევრო 2008. ჰოლანდია-საფრანგეთი.
22:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ტორონტო. კანადა (LIVE).
01:30 სპორტის სამყარო.
01:55 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
02:20 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
03:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ტორონტო. კანადა (LIVE).
05:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
05:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჰანოვერი-ვერდერი.

**EUROSPORT**

10:30 ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
10:45 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. კვალიფიკაცია. ჰინტერცარტენი. გერმანია.
11:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. 1/2 ფინალი. შვეიცარია (LIVE).
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. კვალიფიკაცია. ჰინტერცარტენი. გერმანია.
15:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. ბრიტანეთი (LIVE).
15:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ეტაპის წინ (LIVE).
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XX ტური (LIVE).
19:45 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS108. ჰინტერცარტენი. გერმანია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ფინალი. ჩეხეთი-იტალია. ჩეხეთი.
23:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XX ტური.
01:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ლოს ანჯელესი. აშშ.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი. ბრაზილია.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი. ბრაზილია.
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. მე-3 ადგილისთვის. შვეიცარია (LIVE).
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. შვეიცარია (LIVE).
18:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. ბრიტანეთი (LIVE).
18:45 ავტოსპორტი. სეატის ევროთასი. I რბოლა. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 ახალი ამბები.
22:45 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. კონფერენციის ფინალი. აშშ.
00:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
02:15 ახალი ამბები.

### 27 ივლისი. კვირა

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

11:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:05 საერთაშორისო ტურნირი - VODACOM CHALLENGE. ფინალი. სამხრეთ აფრიკა.
13:50 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.
15:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:50 რუსეთის ჩემპიონატი. მოსკოვი-ლოკომოტივი (LIVE).
18:00 ევრო 2008. ფინალი. პოლონეთი-ხორვატია.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-არსენალი.
22:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:35 ევრო 2008. ფინალი. ავსტრია-გერმანია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:50 ფეხბურთი. ევრო 2008. ჰოლანდია-საფრანგეთი.
09:50 სპორტის სამყარო.
10:20 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ლონდონი. ბრიტანეთი.
12:50 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
13:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ტორონტო. კანადა.
15:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
15:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-ლევერკუზენი.
17:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-კრუზეირო.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. თურქეთი-ჩეხეთი.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. ტორონტო. კანადა (LIVE).
00:30 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
01:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-პალმეირასი.
02:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-ლევერკუზენი.
04:35 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
05:00 ფეხბურთი. ევრო 2008. თურქეთი-ჩეხეთი.

**EUROSPORT**

10:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
11:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. შვეიცარია.
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. კაცები. 1/2 ფინალი. შვეიცარია (LIVE).
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS108. ჰინტერცარტენი. გერმანია (LIVE).
14:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. ბრიტანეთი (LIVE).
15:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XX ტური.
16:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრიტანეთი (LIVE).
17:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XXI ტური (LIVE).
20:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მე-3 ადგილისთვის. მარსელი. საფრანგეთი.
21:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
22:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. კაცები. ფინალი. შვეიცარია.
22:45 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS108. ჰინტერცარტენი. გერმანია.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XXI ტური.
01:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ლოს ანჯელესი. აშშ (LIVE).
03:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი. ბრაზილია.
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრიტანეთი (LIVE).
13:30 ახალი ამბები.
13:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
14:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი. ბრაზილია.
15:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. შვეიცარია (LIVE).
16:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
17:15 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. ბრიტანეთი (LIVE).
18:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
19:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მე-3 ადგილისთვის. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ავტოსპორტი. სეატის ევროთასი. II რბოლა. ბრიტანეთი.
22:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
23:00 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. ფინალი. აშშ (LIVE).
01:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
02:30 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

# ამერიკა გმირებს ივიწყებს



ამერიკის მძლეოსნობის ფედერაცია ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ წარსულში ცნობილმა მორბენალმა, **მერიონ ჯონსმა** აშშ-ის მთავრობისგან ამნისტია არ მიიღოს. ამ მიზნით, ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ღია წერილი გაუგზავნა ამერიკის პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშს**.

2007 წლამდე, ჯონსი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი იყო. მან სიდნეის ოლიმპიადაზე ოქროს სამი და ვერცხლის ორი მედალი მოიგო და დიდი ხანი, მსოფლიოს საუკეთესო მორბენლად ითვლებოდა. მერიონისთვის დამღუპველი აღმოჩნდა 2004 წელი, როცა ამერიკაში ლაბორატორია BALCO-ს მოღვაწეობაზე გამოძიება დაიწყო.

მაშინ ლაბორატორიის დამაარსებელმა, **ვიქტორ კონტემ** ABC-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პირადად აძლევდა ჯონსს ხუთი სახის აკრძალულ პრეპარატს. ეს სიდნეის ოლიმპიადის მსვლელობისას და მის შემდეგ ხდებოდა. მერიონი 2007 წლამდე უარყოფდა ბრალდებას, მათ შორის იმ კომისიის წინაშე, რომელიც ამ საქმის გამოძიებით იყო დაკავებული. იმის გამო, რომ ის ცრუ ჩვენებებს ფიცის ქვეშ აძლევდა, საქმის გარჩევა სისხლის სამართლის პროცესად გადაიქცა. და როცა 2007 წელს, აშკარა მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ, მერიონმა თავისი დანაშაული აღიარა, მას არა მარტო ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, არამედ 6-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს ცრუ ჩვენებების მიცემის გამო.

მძლეოსანმა სასჯელის მოხდა მარტში დაიწყო და პატიმრობის 4 თვის თავზე, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს შეწყალების თხოვნით მიმართა. მერიონის ამ ნაბიჯს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაცია.

*"ჩვენი ქვეყანა დიდი ხანი ხუჭავდა თვალს ამერიკის გმირების უზნეო საქციელის გამო, - წერია ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის, **დუგლას ლოგანის** წერილში. - თუ ათლეტის ნიჭი, ფული და დიდება გაქვს, შენს მიმართ კანონს ისე არ იყენებენ, როგორც ნელი, ღარიბი და უბრალოდ, ჩვეულებრივი ამერიკელის წინააღმდეგ. მისის ჯონსისთვის სასჯელის შემსუბუქება საშინელი მესიჯი იქნება იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ოდესღაც მას ეთაყვანებოდნენ. ეს იქნება პირდაპირი დასტური იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში დაშვებულია ტყუილი და რომ აქ შეიძლება მართლმსაჯულებას გაექცე..."*

*"ოლიმპიადის მსგავსი გლობალური მასშტაბის მოვლენები არც ისე ბევრია და თუ ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მაქინაციის ავტორს შევიწყალებთ, ეს არც მეტი, არც ნაკლები, მთელი მსოფლიოს დაცინვა იქნება"*, - ასე მთავრდება ეს წერილი.

ასეთი რამ ჩვენი ყურისთვის ცოტათი უცნაური მოსასმენია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენთან რომელიმე ორგანიზაციამ მსგავსი რამ გააკეთოს, თანაც საკუთარი ინიციატივით. ვიღაც იტყვის, რომ ასე არ ექცევიან ადამიანს, რომელმაც თავის დროზე ქვეყანა ასახელა. მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ მრავალი არგუმენტის მოყვანა შეიძლება. ამერიკის ფედერაცია იქიდან გამოდის, რომ აუცილებელია კანონი ყველა დამნაშავის წინააღმდეგ ერთნაირად იყოს გამოყენებული. ის, რომ ჯონსი დამნაშავეა, ეს უკვე დამტკიცებულია. მერიონი მართლაც დიდი ხანი შეგნებულად იტყუებოდა. ხოლო იმის გამო, რომ ეს კანონით ისჯება, სავსებით ლოგიკურია, სპრინტერი ახლა ციხეში რომ ზის.

მისი საქციელი ჩვეულებრივი ადამიანის ანალოგიურ საქციელზე უფრო მძიმეა. ის ხომ მილიონების კუმირი იყო: ბავშვებს სურდათ მერიონს დამსგავსებოდნენ, მძლეოსნობაზე დადიოდნენ, რადგან მათი კუმირიც ასე იქცეოდა. და უცებ ირკვევა, რომ ის ყველას ატყუებდა. ამიტომაც, სავსებით სწორი მოსაზრებაა, რომ ჯონსის შეწყალება ცუდ როლს ითამაშებს ახალგაზრდა ამერიკელების ცნობიერებაზე.

ფოტო-ინფო



"ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი**, ექსპერიმენტულ ვარჯიშებს ატარებს - თავის ფეხბურთელებს ნუდისტურ პლაჟზე დაარბენინებს.

ფორმულა 1. ახალი ამბები

# ლუისს ვერ მოუგებენ

რუბრიკას წარმოგიდგენთ
Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ლეგენდარული ავსტრიელი **ნიკი ლაუდა** უმაღლეს შეფასებას აძლევს **ლუის ჰემილტონის** ბოლოდროინდელ გამოსვლებს და აცხადებს, რომ თუ "მაკლარენის" ბრიტანელი პილოტი ასეთ სტილში გააგრძელებს რბოლას, მალე ის დაუმარცხებელი გახდება.

*"გასულ წელს, ლუისი ჩემი ფავორიტი იყო, მაგრამ ბოლო ორი რბოლა ჩააგდო და ტიტულის გარეშე დარჩა. ვფიქრობ, ბრიტანელმა სწორი დასკვნები გააკეთა და თითქმის იდეალურად იასპარეზა სილვერსტოუნსა და ჰოკენჰაიმში. ჰემილტონი სწორ გზას ადგას და თუ ასე გააგრძელებს, მისი დამარცხება შეუძლებელი გახდება"*, - ამბობს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი.



შეგახსენებთ, რომ ზედიზედ ორი ეტაპის მოგების შემდეგ, "მაკლარენის" პილოტი ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა - ის ოთხი ქულით უსწრებს **ფელიპე მასას** და შვიდით - "ფერარის" კიდევ ერთ წარმომადგენელს, **კიმი რაიკონენს**. ახლა, ჰემილტონს სულ უფრო ხშირად ადარებენ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს, **მიხაელ შუმახერს**, მაგრამ ნიკი ლაუდას ამასთან დაკავშირებით, სხვა აზრი აქვს:

*"მას აირტონ სენას მართვის სტილი აქვს. ლუისი ბრწყინვალედ გამოიყურება და აუცილებლად მიაღწევს მწვერვალს. მთავარია, სიმშვიდე შეინარჩუნოს და არ ეცადოს ყველა ეტაპის ძალის ხარჯზე მოგებას. ის მხოლოდ სიმშვიდეში შეძლებს მართვის საკუთარი სწრაფი მანერის გონივრულად გამოყენებას, როგორც ეს ბოლო რბოლებში იყო. თუ ლუისი და "მაკლარენი" შეწყობილად იმოქმედებენ, "ფერარი" მათ ველარ დაამარცხებს"*.

კალათბურთი

# გარბახოსაც რუსეთში წავიდა

## ხიმკის უკვე ორი ექსტორონტოელი ჰყავს



რუსეთის ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანმა "ხიმკიმ" მეორე ხმაურიანი შენაძენი გააკეთა. არგენტინელი ოლიმპიური ჩემპიონის, **კარლოს დელფინოს** შემდეგ, ამ გუნდმა შემადგენლობა ესპანელი **ხორხე გარბახოსათი** გააძლიერა.

ორივე კალათბურთელი შარშან NBA-ში "ტორონტოს" შემადგენლობაში ირიცხებოდა. გარბახოსამ "რეპტორზთან" კონტრაქტი 18 ივლისს გაწყვიტა. ამის მიზეზი გახდა კანადური კლუბისა და ესპანეთის კალათბურთის ფედერაციას შორის კონფლიქტი - ამ უკანასკნელს არ სურდა მოთამაშის დაზღვევის გადახდა, რათა ხორხეს ოლიმპიადაზე მიეღო მონაწილეობა.

2007 წლის მარტში, ესპანელმა "ბოსტონთან" შეხვედრაში მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც ოპერაცია გაუკეთეს. კლუბის ექიმებმა გარბახოსას ზაფხულში თამაშისგან თავის შეკავება ურჩიეს. მიუხედავად ამისა, ხორხემ მაინც მიიღო მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატში და ძველი ტრავმა გაიმიზეზა. ამის გამო, ესპანეთის კალათბურთის ფედერაციამ მილიონი დოლარის ოდენობის დაზღვევა გადაიხადა.

მოედანზე დაბრუნების შემდეგ, ესპანელმა ლეგიონერმა "ტორონტოს" რიგებში მხოლოდ 6 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ მხოლოდ 3.1 ქულა დააგროვა. საბოლოოდ, სამედიცინო მოსაზრებებით, შემადგენლობიდან გამოიყვანეს, მაგრამ ამჯერად ფედერაციამ დაზღვევის გადახდაზე უარი განაცხადა.

NBA-დან წამოსვლის შემდეგ, გარბახოსას უამრავი შეთავაზება ჰქონდა, მათ შორის ასოციაციის კლუბებიდან. თავად კალათბურთელი ევროპაში ამჯობინებდა თამაშს. მისთვის უფრო პრიორიტეტული ესპანეთის ჩემპიონატი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, გადამწყვეტი როლი მაინც ფინანსურმა მხარემ ითამაშა. სხვანაირად როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ გარბახოსამ მოსკოვის ოლქის გუნდში თამაში გადაწყვიტა. თანაც, სხვა პრეტენდენტებისგან განსხვავებით, "ხიმკი" მომავალ სეზონში ევროლიგაში არ ითამაშებს.

გარბახოსას კონტრაქტი ორწლიანია. ესპანელი სეზონში 3 მილიონ დოლარს მიიღებს. გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში მის განკარგულებაში იქნება მანქანა მძღოლით და კიდევ, სეზონის მსვლელობისას ესპანეთში ფრენის საშუალებასაც მისცემენ.

■ ■ ■

გუშინ, Yahoo-მ ერთი საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. მოსკოვის "დინამოს" ხელმძღვანელობამ ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა "კლივლენდის" ფორვარდ **დელონტე უესტს**. მოსკოველები ამერიკელს წლიური ხელფასის სახით, 5 მილიონ დოლარს სთავაზობენ.

ჰოკეი

# იაგრი ნაკრებშიც ითამაშებს

ძველ კონტინენტზე ბრუნდებიან ჰოკეის ევროპელი ვარსკვლავებიც. როგორც იცით, ომსკის "ავანგარდში" გააგრძელებს კარიერას ლეგენდარული ჩეხი ფორვარდი **იარომირ იაგრი**. გარდა ამისა, გაირკვა, რომ თავდამსხმელი ჩეხეთის ნაკრებში თამაშსაც განაახლებს. ჰოკეისტი ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს, **ვლადიმერ რუჟიჩკას** შეხვდა და დაპირდა, რომ სანაკრებო დონეზე ყველა დიდ ტურნირში დაეხმარება გუნდს.

საქმე ეხება 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატსა და 2010 წელს, ვანკუვერში გასამართ ოლიმპიადას. რუჟიჩკამ არც ის ვარიანტი გამორიცხა, რომ იაგრმა ევროტურის ეტაპებშიც მიიღოს მონაწილეობა.

უფრო ადრე, ნაგანოს ოლიმპიურმა ჩემპიონმა და სტენლის თასის ორგზის მფლობელმა გამოაცხადა, რომ აღარ მიიღებდა მონაწილეობას სანაკრებო თამაშებში.

■ ■ ■

ამასობაში, ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა იმ ჰოკეისტების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლებმაც გასული სეზონის შემდეგ დატოვეს NHL. ოკეანისგაღმელმა ექსპერტებმა ყველაზე მნიშვნელოვან დანაკარგად იმავე იაგრის რუსეთში წასვლა ჩათვალეს. შემდეგ მოდის იარომირის თანაგუნდელი - ლეგენდარული მეკარე **დომინიკ ჰაშეკი**, რომელმაც ამ სეზონის შემდეგ დაასრულა კარიერა. რეიტინგში მესამეა "ვანკუვერის" ვეტერანი **ტრევორ ლინდერი** - მანაც ასევე დაანება თავი ჰოკეის თამაშს. შემდეგ მოდიან ევროპაში დაბრუნებული **მარტინ სტრაკა**, **გლენ უესლი** და **მატიას ნორსტრიომი** (ამ ორმაც ჩამოკიდა ციგურები ლურსმანზე).



ალსანიშნავია, რომ ამ რეიტინგში მე-7-10 ადგილები რუსეთში გადასულ ჰოკეისტებს უჭირავთ: მეშვიდეა ცნობილი მეკარე **რეი ემერი**, მერვე - **კრის საიმონი**, მეცხრე - **ჯონ გრემი** და მეათე - **ბრანკო რადივოევიჩი**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა